




საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ვ. ყოლბაია    ი. ხაინდრაძე    ნ. სარჯველაძე  
ე. ჩოხეიძე    ა. გეგეუძე



**სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები:  
საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზური  
ურთიერთობების კონტექსტში**

თბილისი  
2009



საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ვ.ყოლბაია, ი.ხაინდრავა, ნ.სარჯველაძე, ე.ჩომახიძე, ა.გეგეშიძე

**სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის გარანტიები:  
საფრთხის მოლოდინი ქართულ-აფხაზური  
ურთიერთობების კონტექსტში**

თბილისი  
2009

წინამდებარე ნაშრომის გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა ბრიტანული ორგანიზაციის “საერთაშორისო განგაში” მხარდაჭერით, დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტების თავიდან აცილების გლობალური ფონდის დაფინანსებით.

“საერთაშორისო განგაში” დამოუკიდებელი სამშვიდობო ორგანიზაციაა, რომელიც 20 წელზე მეტია მოღვაწეობს ძალადობრივი კონფლიქტით მოცულ საზოგადოებაში მდგრადი მშვიდობისა და უსაფრთხოების საფუძვლის შექმნის სფეროში.

დაბეჭდილია საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ

თბილისი, საქართველო

პროექტის კოორდინატორი: არჩილ გეგეშიძე

რუსულიდან თარგმანი: დეა ლადუა

ტექნიკური რედაქტირება: არტემ მელიქ-ნუბაროვი

ტირაჟი: 300

© ვახტანგ ყოლბაია, ივლიანე ხაინდრავა, ნოდარ სარჯველაძე,  
ელენე ჩომახიძე, არჩილ გეგეშიძე

ISBN 978-9941-0-2159-6

## შინაარსი

შესავალი .....	5
თავი 1. საკითხის წინა ისტორია (ვ. ყოლბაია) .....	7
შესავალი .....	7
1.1. აქტიური სამხედრო დაპირისპირების პერიოდი .....	7
1.2. პირველი ომის შემდგომი პერიოდი .....	9
1.3. ომის შემდგომი პერიოდის მეორე ეტაპი .....	11
1.4. ომის შემდგომი პერიოდის მესამე ეტაპი .....	13
1.5. ომის შემდგომი პერიოდის მეოთხე ეტაპი .....	16
დასკვნა .....	17
თავი 2. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ანალიზი ახალი რეალობის კონტექსტში (ა. გეგეშიძე) .....	20
შესავალი .....	20
2.1. რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები .....	31
2.1. რა იქნება შემდგომ? .....	32
თავი 3. სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის გარანტიის უზრუნველყოფის საერთაშორისო გამოცდილება (ივლიანე ხაინდრავა) .....	34
3.1. კვიპროსი .....	34
3.2. მთიანი ყარაბაღი .....	36
თავი 4. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების სამსჯავრო შეფასება (ნ. სარჯველაძე, მ. ბალიაშვილი, ნ. შუმანია) .....	40
4.1. ნაწილი პირველი .....	40
4.1.1. საქართველო .....	40
4.1.2 რუსეთი .....	42
4.1.3. აფხაზეთი .....	44
4.1.4. სამხრეთ ოსეთი .....	45
4.1.5. ამერიკის შეერთებული შტატები .....	46
4.1.6. დასავლეთ ევროპა .....	46
4.2. მეორე ნაწილი: ავტორის პოზიცია .....	47
თავი 5. აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის მიმართ დამოკიდებულება (ა. გეგეშიძე, ე. ჩომახიძე) .....	49
შესავალი .....	49
5.1. ნაწილი 1. თვისებრივი კვლევის შედეგები .....	49
5.1.1. აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის საჭიროების გაცნობიერება .....	50
5.1.2. შეთანხმების მხარეები .....	51
5.1.3. აუცილებელია თუ არა შეთანხმების შეძლებისდაგვარად სწრაფად ხელმოწერა? .....	52
5.1.4. შეთანხმების ხელმოწერის პირობები .....	52
5.1.5. შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები .....	53
5.1.6. შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის მოსალოდნელი შედეგები .....	54
5.1.7. შეთანხმების შესრულებისათვის აუცილებელი პირობები .....	55
5.1.8. შეთანხმების დარღვევის შესაძლებლობა და მოსალოდნელი შედეგები .....	55
5.2. ნაწილი 2. რაოდენობრივი ანალიზის შედეგები .....	56
5.2.1. შეთანხმების ხელმოწერის აუცილებლობის გაცნობიერება .....	57
5.2.2. შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები .....	63
5.2.3. შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები .....	66
5.2.4. შეთანხმებაზე ხელმოწერის პირობები .....	68
5.2.5. შეთანხმების შესრულების პირობები .....	72
5.2.6. შეთანხმების დარღვევის/შეუსრულებლობის შესაძლებლობა .....	74

5.2.7. შეთანხმების დარღვევის მოსალოდნელი შედეგები .....	76
საერთო დასკვნები და რეკომენდაციები.....	80
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა .....	84
დანართი 1 კითხვარი “ომის შედეგები” .....	86
დანართი 2 თვისებრივი კვლევის კითხვარი.....	88
დანართი 3 რაოდენობრივი კვლევის კითხვარი .....	89
დანართი 4 დიაგრამები V თავისათვის .....	91

## შესავალი

სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობა ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ზონაში კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთობაში ყოველთვის ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორი იყო. დაზავების თაობაზე შეთანხმების დაცვის გარანტიის თემამ თავისი აქტიულობა ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას, 1992-1993 წლებში, შეიძინა. მას შემდეგ შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერას ურიცხვი რაოდენობის მოლაპარაკებები მიეძღვნა სხვადასხვა ფორმატის ფარგლებში. ზოგ შემთხვევაში ხერხდებოდა დაზავების პირობების შეთანხმება და დოკუმენტებსაც ხელი ეწერებოდა. შედეგად მყარდებოდა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი, თუმცა მყიფე მშვიდობა ყოველ ჯერზე ირღვეოდა, ვინაიდან მხარეები დადებულ შეთანხმებას არ იცავდნენ. ხდებოდა ისეც, რომ შეთანხმების მიღწევა საერთოდ ვერ ხერხდებოდა. ამიტომაც, სრულმასშტაბიან საომარ მოქმედებათა განახლების რისკი ყოველთვის არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ დაზავების მყარი რეჟიმის უზრუნველყოფა უდაოდ აქტიუალური იყო ყოველთვის, ბოლო დრომდე მხარეების მიერ შესაბამისი შეთანხმების დარღვევის მიზეზების ან სამხედრო მოქმედებების განუახლებლობისათვის მყარი გარანტიების შექმნის პირობების შესწავლას სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა არც საექსპერტო საზოგადოების და არც აკადემიური წრეების მხრიდან. ამავე დროს, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ფონზე კიდევ უფრო აქტიუალური გახდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მდგრადი მშვიდობისათვის გარანტიების შექმნის თემა, რადგანაც რეგიონში მშვიდობისათვის საფრთხის შემცველი წყაროები მომრავლდა. საქმე იმაშია, რომ ქართულ-რუსული ომის შედეგად, რუსეთის ფედერაცია გახდა კიდევ ერთი, და თანაც უეჭველად მთავარი “კონფლიქტის მხარე”, მათ შორის ქართულ-აფხაზური დაპირისპირების ზონაშიც. შემთხვევითი არ არის, რომ 2008 წლის 12 აგვისტოს საფრანგეთის, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება ეხება ცეცხლის შეწყვეტას, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, რუსეთს შორის, და არა აფხაზეთსა ან სამხრეთ ოსეთს შორის. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ მონინალმდევე მხარეები “უარს ამბობენ ძალის გამოყენებაზე” და “საბოლოოდ ამბობენ უარს საომარ მოქმედებებზე”. ამ პრინციპების დაცვა მთელი შეთანხმების<sup>1</sup> შესრულების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით მოცემული შეთანხმება ერთადერთი დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც შეწყვეტილია ცეცხლი, შენარჩუნებულია ზავი და ქ. ჟენევაში მიმდინარეობს მაღალი დონის საერთაშორისო პოლიტიკური მოლაპარაკებები უსაფრთხოებისა და სიტუაციის სტაბილიზაციის უზრუნველსაყოფად. დავაზუსტებთ, რომ “ჟენევის პროცესი” მიზნად ისახავს მთელს რეგიონში, ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური დაპირისპირების ზონების ჩათვლით, კომპლექსური მექანიზმებისა და უსაფრთხოების გარანტიების შემუშავებას. იგულისხმება, რომ გათვალისწინებული უნდა იქნეს აფხაზური და სამხრეთოსური მხარეების ინტერესები და, აგრეთვე, უნდა განისაზღვროს მათი პასუხისმგებლობის ნილიც. თუმცა, წარსული გამოცდილება ეჭვს ბადებს ხსენებული შეთანხმების ქმედითუნარიანობის თაობაზე, განსაკუთრებით იმ ნაწილში, სადაც საუბარია მხარეებს შორის ძალის გამოყენების უარყოფაზე. ასეთ ფონზე იკვეთება შეთანხმების შესრულების როგორც ხელშემშლელი, ისე ხელშემწყობის ფაქტორების კვლევის აუცილებლობა. ამგვარი კვლევის მიზანი კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მყარი გარანტიების შექმნის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებაში მდგომარეობს.

2008 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით ქართველი ექსპერტების ჯგუფმა<sup>2</sup> ჩაატარა კომპლექსური კვლევა, რომლის მიზანიც ზემოაღნიშნული ნიშის შევსებას იყო. კვლევის ამოცანები იყო შემდეგი:

1. კონფლიქტის მხარეებს შორის უშედეგო მოლაპარაკებების მიზეზების დადგენა;
2. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კონტექსტში ახალი რეალიების ანალიზი;
3. დაზავების პირობების შესრულების დარგში საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა.
4. ქართული საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიერ ქართულ-რუსული ომის შედეგების აღქმის შესწავლა.

<sup>1</sup> შეთანხმება 6 პრინციპს შეიცავს: 1) ძალის გამოყენებაზე უარის თქმა; 2) საბოლოოდ უარის თქმა საომარ მოქმედებებზე; 3) ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი მოძრაობის უზრუნველყოფა; 4) ქართული შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეული დისლოკაციის ადგილებზე; 5) რუსული შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ საომარ მოქმედებამდე არსებულ ხაზზე; საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს; 6) საერთაშორისო დისკუსიის დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფორმის (პირობების) თაობაზე.

<sup>2</sup> ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: ელენე ჩომახიძე, ნოდარ სარჯველაძე, ვახტანგ ყოლბაია, ივლიანე ხაინდრავა და არჩილ გეგეშიძე. IV თავისათვის ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზში მარინა ბალიაშვილი და ნინო შუმანია მონაწილეობდნენ.

5. საომარი მოქმედებების განუახლებლობის თემასთან დაკავშირებით ქართული საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულების შესწავლა.

მომდევნო თავებში განხილულია პრობლემების ფართე თემატური სპექტრი და ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციები. აქვე აღვნიშნავთ, რომ ცალკეულ საკითხებთან გამოტანილი დასკვნები და მოსაზრებები კვლევის შესაბამისი ნაწილების ავტორთა შეხედულებებს წარმოადგენს და ყოველთვის არ არის გაზიარებული მოცემული პროექტის დანარჩენი მონაწილეების მიერ. ამასთანავე, კვლევის პროცესში გაკეთდა რამდენიმე იდენტური დასკვნა, სადამდეც ავტორები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მივიდნენ.

# თავი I. საკითხის წინა ისტორია

(ვ. ყოლბაია)

## შესავალი

მიმდინარე წელს 17 წელი სრულდება აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის დაწყებიდან, თუმცა, სინამდვილეში მას დროის თვალსაზრისით უფრო ღრმა ფესვები აქვს. განვიხილოთ წლებში თითქოსდა მოლაპარაკებების გამართვის ყველა ვარიანტი გამოიცადა: პირდაპირი ორმხრივი, სხვადასხვა მრავალმხრივი ფორმატი, მათ შორის მეგობარი-ქვეყნების და გაეროს გენერალური მდივნის მონაწილეობით. ამ ხნის განმავლობაში გაეროს უშიშროების საბჭომ ქართულ-აფხაზურ საკითხთან დაკავშირებით 40-მდე რეზოლუცია მიიღო, მდინარე ენგურის გასწვრივ საზღვარზე განლაგებულ რუსულ სამშვიდობო ჯარის კონტინგენტში არაერთხელ მოხდა როტაცია, იცვლებოდნენ გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლებიც და გაეროს სამხედრო დამკვირვებლები. მაგრამ კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით არაფერი იცვლებოდა. ქართული მხარე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ურყეობის შესახებ საერთაშორისო სამართალის ფუძემდებლურ დებულებებზე აპელირებდა, მიაჩნდა რა, რომ აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის თაობაზე რეალური კომპრომისების განხილვა მხოლოდ დევნილთა მშობლიურ მხარეში დაბრუნების შემდეგ იყო შესაძლებელი. აფხაზური მხარე, თავის მხრივ, ერის თვითგამორკვევის უფლების პრინციპით ხელმძღვანელობდა.

ყველა ექსპერტი თანხმდება, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესი ჩიხში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ მხარეების დაპირება ძალისმიერი მეთოდების გამოყენებლობისა და სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის თაობაზე არაერთხელ და მკაფიოდ იქნა დაფიქსირებული მრავალ შეთანხმებასა თუ პროტოკოლურ შეხვედრებში, მშვიდობა ორივე მხარის მიერ მაინც ირღვეოდა (მაგალითად, 1994 წელს გალის რაიონში სამხედრო ოპერაცია, ე.წ. “წმენდა” პარტიზანების გამოსტომების საპასუხოდ; გალის რაიონში 1998 წლის მაისის მოვლენები, 2001 წლის შემოდგომაზე გელაევის “ლამქრობა” კოდორში და სხვ).

### 1.1. აქტიური სამხედრო დაპირისპირების პერიოდი

1992 წლის 14-15 აგვისტოს, სოხუმის მისადგომებთან შეიარაღებული შეტაკების შემდეგ აფხაზეთის მთავრობის სახლში დაპირისპირებული მხარეების პირველი შეხვედრა შედგა. მოლაპარაკებების მაგიდასთან მხარეების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პირველ შეთანხმებას კონფლიქტის შემდგომი სამხედრო ესკალაციის თავიდან აცილების თაობაზე. კერძოდ, შეთანხმების თანახმად, ქართული მხარე იღებდა ვალდებულებას, ქალაქში ჯარი არ შეეყვანა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილების<sup>3</sup> შესასრულებლად მხარეებმა გადაწყვიტეს თითოეულს ოფიციალურად გამოეყო 200 სამხედრო, სარკინიგზო ტვირთების დასაცავად მდ. ფსოუდან სამტრედიაში. მაგრამ ქართულმა მხარემ პირობა დაარღვია და ქართული ჯარები, საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის თ. კიტოვანის ხელმძღვანელობით, 18 აგვისტოს სოხუმში შევიდნენ.

ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე პირველი დოკუმენტი გახლდათ 1992 წელს 29 აგვისტოს, ქ. სოჭში, თ. კიტოვანის, ს. შოიგუსა და ვ. არძინბას<sup>4</sup> მიერ ხელმოწერილი “ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის კონფლიქტის დარეგულირების შესახებ კონსულტაციების ოქმი”. მას მოჰყვა იმავე წლის 3 სექტემბრის მოსკოვის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, რომლის პირველივე მუხლი იუნყებოდა: “1992 წლის 5 სექტემბრის 12.00 საათიდან კონფლიქტში მონაწილე ყველა შეიარაღებული ფორმირება წყვეტს ერთმანეთის წინააღმდეგ ცეცხლს და ძალის ნებისმიერ გამოყენებას”. ხოლო მე-9 მუხლის თანახმად: “საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთშიც, დროებით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები იცავენ მკაცრ ნეიტრალიტეტს და არ მონაწილეობენ შიდა კონფლიქტებში”. შეთანხმებაში აგრეთვე დაფიქსირებულია ის ზომები, რომელიც მშვიდობის აღდგენას შეუწყობდა ხელს (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ცეცხლის შეწყვეტა, რუსეთის ჯარის ნეიტრალიტეტი, ტყვეთა გაცვლა, ტერორისტული აქტების დაუშვებლობა, კომუნიკაციისა და ტვირთბრუნვის დარეგულირება, საზღვრის დაცვა, დევნილთა პრობლემა, “რუსეთის ტერი-

<sup>3</sup> რუსეთიდან საქართველოში და სომხეთში სარკინიგზო ტვირთების უსაფრთხოდ გადატანის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფსოუ-სამტრედიის მარშუტზე კომუნიკაციების დაცვის შესაბამისი ზომების მიღების თაობაზე, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკისა და შეიარაღებული ფორმირებების შეყვანის საბაზი გახდა.

<sup>4</sup> ს.შოიგუ – რუსეთის ფედერაციის საგანგებო სიტუაციების მინისტრი, ვ.არძინბა – აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე



ტორიიდან ნებისმიერი ქმედების აღკვეთა და დაუშვებლობა”). ამ შეთანხმების გარანტიად რუსეთის ფედერაცია გამოდიოდა.

სინამდილეში, ყველა ამ შეთანხმებამ გამოიწვია ის, რომ აფხაზური მხარის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად ქ. გაგრას რაიონში ქართული პლაცდარმი განადგურდა, რასაც, შესაბამისად, სამხედრო-სტრატეგიული ვითარების ცვლილება მოჰყვა.

1993 წლის 14 მარტს ხელი მოეწერა შემდგომ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მას შემდეგ, რაც ოჩამჩირეს რაიონში გააფთრებული ბრძოლის შემდეგ აფხაზურმა მხარემ შესძლო დესანტის გადმოსხმა და სოლად ჩაერჭო იქ განლაგებულ ქართულ შეიარაღებულ ძალებში. თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ქართულმა ფორმირებებმა შეძლეს ნონასწორობის აღდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ შეთანხმების შემდგომმა ზავმა აფხაზ ფორმირებებს საშუალება მისცა სული მოეთქვათ და ქართული მხარის ტაქტიკური უპირატესობა აღმოეფხვრა.

1993 წლის 27 ივნისს, ქალაქ სოჭში, მხარებმა ხელი მოაწერეს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვის კონტროლის მექანიზმის თაობაზე შეთანხმებას. განისაზღვრა მოცემული ხელშეკრულების შესრულების მექანიზმი “განიარაღებისა და კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის” თაობაზე, რომელიც კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის კონტექსტში ორივე მხარის მიერ კონფლიქტის ზონის ფარგლებს გარეთ მძიმე ჯავშანტექნიკისა და არტილერიის გაყვანას ითვალისწინებდა.

სექტემბრის დასასრულს ქართულმა ჯარმა დატოვა აფხაზეთი. მანამდე, აფხაზი დამკვირვებლების მონაწილეობით, რომლებსაც მიეცათ უსაფრთხოების სრული გარანტია და საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის დათვალიერების საშუალება, მოხდა საზღვაო გზით ქართული არტილერიისა და ჯავშანტექნიკის კონფლიქტის ზონიდან გაყვანა. აღნიშნული ღონისძიებისთვის რუსმა სამხედროებმა ქართულ მხარეს თავისი სადესანტო ხომალდებიც კი “მიაშველეს”, თუმცა წინასწარ სათანადო საზღაურის გადახდა მოითხოვეს. ქართული მხარე მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის ამარა დარჩა. ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის დემილიტარიზაციის აქტს ყველა მხარემ მოაწერა ხელი.

აფხაზურმა მხარემ საკუთარი არტილერიისა და ჯავშანტექნიკის მდ. ფსოუზე რუსეთ-საქართველოს საზღვრის გავლით რუსეთის ტერიტორიაზე გატანისას მოახერხა არ დაემჯა ქართველი დამკვირვებლები. ამასთან დაკავშირებით გაეროს დამკვირვებლებმა აფხაზურ მხარეს პროტესტი განუცხადეს. საბოლოოდ, საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსულმა მხარემ უარი თქვა როგორც ქართველი, ისე გაეროს დამკვირვებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. პროცესი ფაქტობრივად ჩიხში შევიდა. რუსეთმა წამოაყენა წინადადება მძიმე ტექნიკისა და არტილერიის კონფლიქტის ზონიდან გაყვანა ვიდეოფირზე გადაეღოთ და მტკიცებულების სახით გაეროს მისიისთვის წარედგინათ. გაეროს დამკვირვებლებს მართლაც გადაეცათ ვიდეომასალა, სადაც აფხაზური მხარის კონტროლირებადი ტერიტორიიდან ჯავშანტექნიკისა და არტილერიის გაყვანის პროცესი იყო დაფიქსირებული. თუმცა, ქართველ სამხედროებს, დამკვირვებელთა ნაწილს და ქართული საზოგადოების წარმომადგენლებს ეჭვი შეეპარათ ხსენებული მასალების სარწმუნოებაში.

შედეგად, კონფლიქტის სამხედრო ფაზა “დამარცხებული” ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების გაძევებით დასრულდა, და საქართველოს ტერიტორიაზე გაჩნდა ასი ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი (სხვადასხვა მონაცემებით, აფხაზეთი 200 ათასმა ქართველმა დატოვა), ქართველი, აფხაზი, რუსი, ბერძენი, ებრაელი და სხვა ეროვნების მოქალაქეების ჩათვლით. მოგვიანებით, პრეზიდენტი ე.შევარდნაძე ჩიოდა, რომ მაშინ “რუსეთის მხარემ იგი მოატყუა”.<sup>5</sup>

აქტიური სამხედრო დაპირისპირების პერიოდის შედეგები ნათლად ადასტურებს, რომ სოხუმი და თბილისი სამხედრო კონფლიქტის დასაწყისშივე (ალბათ, ძველი ჩვევისამებრ) მოსკოვოვზე აპელირებდნენ, ცდილობდნენ მისი ინტერესები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ. თუმცა, ჩვენი აზრით, თბილისის მსგავსი მცდელობები თავიდანვე წარუმატებლობისთვის იყო განწირული, ვინაიდან მას პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას ჩამოგდების შემდეგ ლეგიტიმუ-

<sup>5</sup> 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზურმა მხარემ, ისარგებლა რა იმით, რომ ქართულ მხარეს აღარ გააჩნდა არტილერია და ჯავშანტექნიკა, ყველა მიმართულებიდან წამოიწყო მსხვილმასშტაბიანი შეტევა ქ.სოხუმზე საქედანიშნულების ორი რაზმის მონაწილეობით (იხ. ნევეზოროვის დოკუმენტური ფილმი “გარეული ბატები”). იმავე დღეს, რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გამოსვლისას, რუსეთის გენშტაბის უფროსმა კოლესნიკოვმა (გუდაუთაში დაბადებულმა) სოხუმის სამ დღეში დაცემა “ინინასწარმეტყველა”. სოხუმის ალების ვიდეოკადრებში, რომლებმაც მთელი მსოფლიო მოიარა, კარგად ჩანს, რომ ქალაქი გაძედილი იყო იყო რუსეთის დროშებიანი აფხაზური სამხედრო ტექნიკით. შტურმის დროს ქალაქს არტილერია ბომბავდა, მათ შორის ზალპური ცეცხლის იარაღის — BM-21 “გრადის” გამოყენებით. ქალაქში შევიდნენ ქვეითთა ტანკები და სამხედრო მანქანები, მთავრობის სახლს ესროდნენ ტანკები და სატვირთო მანქანებზე დამაგრებული 3Y-32.

რობის პრობლემებიც ჰქონდა. ლეგიტიმურობის დეფიციტი, თავის მხრივ, ბოჭავდა ნებას და ავინროებდა შესაძლებლობებს, რაც გამორიცხავდა არაპოპულარული, მაგრამ, შესაძლოა, საქართველოსთვის სტრატეგიულად ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. მაგალითად, ე. შევარდნაძემ უარყო რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პ. გრაჩოვის წინადადება აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის შეწყვეტის გარანტიად დამატებით ერთი დივიზიისა და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ორი ბრიგადის განლაგების თაობაზე.

მაგრამ ყველა შემთხვევაში საქართველოს მიერ ევრო-ატლანტიკური მიმართულებით აღებული კურსი, რეგიონში ბალანსის შეცვლის და ახალი "მოთამაშეების" გამოჩენის რეალურ პერსპექტივებს ქმნიდა, რაც, ბუნებრივია, რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ამან კი იმთავითვე განაპირობა რუსეთის მიერ აფხაზეთის მხარდაჭერა, როგორც რეგიონში საკუთარი პოზიციების შენარჩუნების საშუალება. რუსეთის ნისქვილზე დაასხა წყალი საერთაშორისო საზოგადოების პასიურობამაც, რომელსაც პერსპექტივაში სურდა რუსეთი პარტნიორად ეხილა.

დაბოლოს, მხოლოდ იმის კონსტატაცია გვინევს, რომ, სამწუხაროდ, შეთანხმებები და ხელშეკრულებები, როგორც ასეთი, სულაც არ იძლევა მასში შემავალი დებულებების დაცვის გარანტიას. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს რომის სამართლის პრინციპის ჯაცტა შუნტ სერვანდა ("შეთანხმებებს პატივი უნდა სცე") ურყეობას.

## 1.2. პირველი ომის შემდგომი პერიოდი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამხედრო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ მოლაპარაკებების პროცესის დასაწყისს საფუძვლად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ფართომასშტაბიანი დარეგულირების თაობაზე კონსულტაციები დაედო. იგი გაეროს ეგიდით შენევაში მიმდინარეობდა, სადაც რუსეთი მხარდამჭერ მხარედ გამოდიოდა, ხოლო ევროპაში უსაფრთხოების თანამშრომლობის თათბირის წარმომადგენლები ჩვეულებრივი სტატუსით მონაწილეობდნენ. 1993 წლის 1 დეკემბერს, პირველი რაუნდის მსვლელობისას ხელი მოეწერა პირველ შემაჯამებელ დოკუმენტს "ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი".<sup>6</sup> მხარეები იღებდნენ ვალდებულებას აფხაზეთის კონფლიქტის ფართომასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების შესახებ მოლაპარაკებების მსვლელობის პერიოდში არ გამოეყენებინათ ძალა ან ძალის მუქარა. გაეროს უშიშროების საბჭოსა და გაეროს გენერალური მდივნის თანხმობით მხარეები კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო დამკვირვებელთა რაოდენობის გაზრდასა და საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გამოყენების თაობაზე შეთანხმდნენ (რასაც მთელი ამ ხნის მანძილზე ასე ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მხარე). მიღწეულ იქნა შეთანხმება სამხედრო ტყვეების გაცვლასთან, უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიებისათვის საჭირო ზომების მიღებასთან და დაღუპულთა გადასვენებასთან დაკავშირებით.

ამ დროისათვის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უკვე მიღებული იყო 1993 წლის 9 ივლისის №849, 1993 წლის 24 აგვისტოს №858, 1993 წლის 19 ოქტომბრის №876 და 1993 წლის 4 ნოემბრის №881 რეზოლუციები. აღსანიშნავია, რომ №876 რეზოლუცია, გარდა პროტოკოლური პუნქტებისა, აშკარა გარღვევა მხარეების ქმედებების გაკიცხვის თვალსაზრისით. კერძოდ, უკვე პრეამბულაშივე იგრძნობა შემოფოთება და კრიტიკა - "ღრმად შემოფოთებულნი რეგიონში კონფლიქტით გამონვეული ადამიანური ტანჯვის, "ეთნიკური წმენდის" შესახებ ცნობების, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის სხვა სერიოზული დარღვევების გამო, ვთვლით რა, რომ აფხაზეთში კონფლიქტის გაგრძელება რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას უქმნის საფრთხეს..."

1994 წლის აპრილში ოთხმხრივ შეხვედრაზე (ქართული და აფხაზური მხარეები, რუსეთის ფედერაცია და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი) ხელი მოეწერა "შეთანხმებას დევნილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების თაობაზე", ანუ პირველად გამოჩნდა მხარეების მიერ შეთანხმებული კონფლიქტის გადაწყვეტის ფუძემდებლური ჰუმანიტარული და პოლიტიკური პრინციპები იმ პუნქტების მითითებით, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ადასტურებენ. კერძოდ, დოკუმენტში აღინიშნა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს აქვთ წარმოშობის თუ საცხოვრებელ ადგილებში ნებაყოფლობითი მშვიდობიანი დაბრუნების უფლება დაკავების, ციხეში დატყვევების რისკის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ქართული მხარე მუდმივად ახდენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხის აქტუალიზაციას, გაეროს საშუალებით ინარჩუნებდა რა ამ თემის სიმწვავეს. მიუხედავად ამისა, თბილისს სულ უფრო უჭირდა გადაეწყვიტა იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური, ეკონომიკური და საცხოვრებელი პრობლემები; შესაბამისად, ისინი სულ უფრო მეტ პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენდნენ საქართველოსთვის.

<sup>6</sup> საქართველოს პარლამენტის უწყებანი. — 1993, №9 — გვ. 223-227

ხსენებული შეთანხმება მნიშვნელოვანი იმიტომაც იყო, რომ მსგავსი იმუნიტეტი არ ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომლებიც საერთაშორისო დოკუმენტებით განსაზღვრულ სამხედრო დანაშაულის ან კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩადენაში იყვნენ ექვმიტანილნი; აგრეთვე – იმ პირებზე, რომლებსაც ადრე არ მიუღიათ მონაწილეობა სამხედრო მოქმედებებში, მაგრამ ამჟამად სამხედრო მოქმედებებისათვის მზადებაში მყოფი შეიარაღებული ფორმირებების შემადგენლობაში არიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში არაფერი თქმულა აფხაზური მხრიდან ანალოგიური კატეგორიის პირთა შესახებ. ამგვარად, ქართულმა მხარემ, რომელსაც კარგად ესმოდა დევნილთა მასობრივ დაბრუნებასთან დაკავშირებული პრობლემები, მოქნილობა გამოამჟღავნა, დაადასტურა რა პრობლემების მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის განზრახვა.

ამ დროისთვის კონფლიქტის მოგვარების პროცესში ჯერ კიდევ თანაბარი უფლებით მონაწილეობდნენ საერთაშორისო ინსტიტუტების და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები. 1994 წლის 4 აპრილის განცხადების “ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების ზომების თაობაზე” თანახმად, “ძალისა და ძალის მუქარის გამოუყენებლობის ვალდებულებების” შესრულების გარანტიებად გამოდიოდნენ გაეროს, რუსეთის ფედერაციისა და ეუთოს წარმომადგენლები. 1994 წლის 14 მაისს ამ დოკუმენტის საფუძველზე მხარეებმა ხელი მოაწერეს “ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორების შეთანხმებას”, რომელიც მხარეებს ავალდებულებდა არა მხოლოდ “მკაცრად დაეცვათ ცეცხლის ოფიციალური შეწყვეტა ამ თარიღიდან”, არამედ კვლავ დაედასტურებინათ საკუთარი ვალდებულებები ძალისა და ძალის მუქარის გამოუყენებლობის თაობაზე. ამ დოკუმენტში დათქმული იყო სამშვიდობო პროცესის კონკრეტული პრინციპები, კერძოდ, ჯარების დაშორების დეტალები, უსაფრთხოების ზონების ხაზები, სამხედრო ტექნიკის ტიპები, მათი დისლოკაციის ადგილები და ა.შ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კონფლიქტის ზონებში მოქმედებდნენ ქართული შეიარაღებული ჯგუფები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობა “პარტიზანულ ჯგუფებს” უწოდებდა, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამ ფაქტს უარყოფდა. მეტიც, ხელისუფლება ხშირად აქეზებდა ამ ჯგუფებს, რომლებიც, ძირითადად, გალის რაიონში ეთნიკური ქართველების უფლებების დარღვევის ფაქტებზე რუსეთის მშვიდობისმყოფელების თვალის დახუჭვის საპასუხოდ სტიქიურად აღმოცენდებოდნენ ხოლმე. მაგრამ ამ დროისთვის ქართული მხარე იძულებული იყო ეღიარებინა ეს ფაქტი და ვალდებულება აეღო “აფხაზეთში ტერორისტული და დივერსიული ჯგუფების, შეიარაღებული ფორმირებებისა და პირების შეღწევის აღკვეთის ეფექტური ზომების გატარების” თაობაზე, თუმცა თავისი ვალდებულების მთელი ძალით აღსრულება ქართულმა მხარემ ვერ შესძლო.

სამშვიდობო პროცესის ინტენსიფიკაციისა და ნდობის აღდგენის მნიშვნელობის გაცნობიერების შედეგად, მხარეები კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კონტინგენტის განთავსებას დათანხმდნენ. მათ მიმართეს დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს თხოვნით კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების განლაგებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.<sup>7</sup> მაგრამ დსთ-ს წევრ-სახელმწიფოებს იმ დროისათვის საკუთარი საზღვრების შიგნით გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სირთულეების გამო არ გააჩნდათ არც პოლიტიკური ნება და არც შესაძლებლობა პრობლემის გადაწყვეტაში რეალურად მიეღოთ მონაწილეობა. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობაც საერთაშორისო ორგანიზაციების არაეფექტურობის და შინაგანი დაპირისპირებების გამო იძულებული იყო შეგუებოდა მოვლენების ასეთ განვითარებას. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დაინტერესებული იყო კონფლიქტის ზონაში ჯარების განლაგებით, იყო რუსეთი, რომელიც ამ გზით საქართველოზე გავლენის სერიოზულ ბერკეტს მოიპოვებდა. საბოლოოდ, რეგიონში გაიგზავნა რუსეთის ფედერაციის ჯარები 3 ათასი ადამიანის ოდენობით. დასავლეთმა დათმო საქართველოზე გავლენის ძირითადი ბერკეტები, ქართულმა მხარემ კი მდინარე ენგურზე რუსეთთან დე-ფაქტო საზღვარი მიიღო.

გაერომ თავიდანვე პასიური პოზიცია დაიკავა, თუმცა ხვდებოდა სამშვიდობო პროცესის აქტუალურობას და მხარეებს შორის ნდობის აღდგენის აუცილებლობას. იგი ყოველთვის ცდილობდა მიმდინარე პროცესი დოკუმენტურად გაემყარებინა. ამასობაში რუსეთი, იყენებდა რა მხარეთა ომისშემდგომ სინდრომს, ყველანაირი გზით ცდილობდა დაემტკიცებინა მის მიერ

<sup>7</sup> Сборник документов по вопросу урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., Составитель Г. Уридия, Тб., 1999., – გვ. 107

<sup>8</sup> 1991 წლის 8 დეკემბრის დსთ-ს შექმნის თაობაზე შეთანხმების მე-12 მუხლი იუნყება: “შეიარაღებული ძალების ერთობლივი გამოყენების გადაწყვეტილება მიიღება დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მიერ”.

მშვიდობისმყოფელის მანდატის მოპოვების აუცილებლობა. ამრიგად, ამ პერიოდმა კონფლიქტის მოგვარებაში რუსეთის როლის ფაქტობრივი და სამართლებრივი გაფორმების ნიშნით ჩაიარა.

აფხაზეთი კვლავ არ იყო დარწმუნებული, რომ საქართველო თავს შეიკავებდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისაგან, თბილისისათვის კი სულ უფრო რთული ხდებოდა მოლაპარაკებების პროცესში მოქნილობა და შემოქმედებითი მიდგომა გამოევილინა. ამ დროისთვის უკვე დაიწყო რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური ისტებლიშმენტის სიმპათიების გამოკვეთა აფხაზეთის სასარგებლოდ (საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული მეგობრობის შესახებ ჩარჩო ხელშეკრულების დუმის მიერ უარყოფა (1993 წელი); სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე პარაფირებული ხელშეკრულების უარყოფა (1994 წელი).

### 1.3. ომისშემდგომი პერიოდის მეორე ეტაპი

სიტუაცია “არც ომი და არც მშვიდობა” მხარეებს ახალი დაძაბულობის ესკალაციისა და სამხედრო მოქმედებების განახლებისაკენ ხშირად უბიძგებდა. საქმის ამგვარი ვითარების მიზეზს იმაში ხედავდნენ, რომ კონფლიქტის მხარეებმა მიაღწიეს შესაძლებლის მაქსიმუმს: საქართველომ საერთაშორისო სამართალისა და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დონეზე საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას მიაღწია, ხოლო აფხაზეთმა შესძლო მთელი მსოფლიოსთვის საკუთარი დამოუკიდებლობის დეკლარირება.

1996 წლის 19 იანვარს დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭომ იმ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო “კონფლიქტის დარეგულირების ზომების შესახებ აფხაზეთში, საქართველო”. ქვეყნების მეთაურებმა მიიჩნიეს, რომ სოხუმში პრევალირებდა კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარებისათვის ურთიერთმისაღები შეთანხმებების მიღწევისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მუდვი საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის ხელისშემშლელი პოზიციები. ამ გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებდა აფხაზეთის მხარის მიერ სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის თაობაზე პარაფირებული დოკუმენტის<sup>9</sup> უკან გამოწვევა და 1995 წლის გვიან შემოდგომაზე გალის რაიონის მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამის დოკუმენტებშიც<sup>10</sup> აისახა.

მოლაპარაკებების პროცესის მსვლელობისას აღსანიშნავია პერიოდი, რომელიც ზოგერთი ექსპერტის მიერ ხასიათდება როგორც “მუდმივი სტაგნაციის პერიოდი”. თუმცა, ნაწილი ექსპერტებისა, მათ შორის აფხაზეთშიც, ემხრობიან იმ აზრს, რომ ეს იყო გაშვებული შესაძლებლობების პერიოდი. თბილისში, ერთ-ერთ ასეთ გაშვებულ შესაძლებლობად 1995 წლის ზაფხულში აფხაზური მხარის მიერ ერთიანი სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის პარაფირებული დოკუმენტის უკან განწვევას მიიჩნევენ; ამის საპირისპიროდ, სოხუმში დაკარგულ შესაძლებლობად 1997 წლის ზაფხულში ქართული მხარის მიერ ქართულ-აფხაზური დარეგულირების ოქმის ხელმოწერაზე უარს თვლიან.

აფხაზეთის საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ჩათვალა, რომ 1995 წლის ქართულ-აფხაზური დარეგულირების შესახებ ოქმი “ფაქტიურად ამცირებდა აფხაზეთის სტატუსს საქართველოს ფედერაციის სუბიექტამდე ან ავტონომიამდე საქართველოს შემადგენლობაში”. სინამდვილეში, მოცემული ოქმი ფედერალური საკანონმდებლო ორგანოს შექმნას ითვალისწინებდა: “აფხაზეთს რჩება... ნაწილი სადეპუტატო ადგილებისა ფედერალურ საკანონმდებლო ორგანოში..., რომლის გადაწყვეტილებასაც აფხაზეთის ინტერესებში შემავალი საკითხების ირგვლივ ძალა აქვს მხოლოდ აფხაზეთის დეპუტატების თანხმობის შემთხვევაში... აფხაზეთს უფლება აქვს საერთაშორისო შეთანხმებების დადებისა”. აქვე, მხარეებმა სურვილი გამოთქვეს მიერთებოდნენ რუსეთს, ბელორუსიასა და ყაზახეთს შორის არსებულ საბაჟო კავშირს. ქართული მხარე დაეთანხმა სოხუმის შენიშვნას იმის თაობაზე, რომ “მე-6 მუხლის კორექტირებასთან დაკავშირებით შესაძლოა ყოფილიყო დამატებითი წინადადებები” (საკითხი იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას ეხებოდა — ვ. ყ.).

ამგვარად, 1995 წლის ოქმის თანახმად, საქართველო და აფხაზეთი ერთობლივ ფედერაციულ სახელმწიფოს ქმნიდნენ, რომლის ფარგლებშიც თბილისისა და სოხუმის უფლებამოსილებების განაწილება იგულისხმებოდა. აღსანიშნავია, რომ ცნება “დამოუკიდებლობა” აფხაზეთის კონსტიტუციაში მხოლოდ 1999 წლის ოქტომბერში გამოჩნდა. აქედან გამომდინარე, 1995 წელს წინადადება ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის თაობაზე არ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი.

<sup>9</sup> ოქმი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე, 22 ივლისი, 1995წ.

<sup>10</sup> გაეროს უშიშროების საბჭოს №1036 რეზოლუცია, 1996 წ.

თბილისს, თავის მხრივ, 1997 წლის 13-14 ივნისის ქართულ-აფხაზური დარეგულირების ოქმში არ მოსწონდა დებულებები: “თითოეული მხარე ინარჩუნებს თავის კონსტიტუციას”, “ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში დგება საკითხი მისი შეწყვეტის თაობაზე”. ამასთანავე, ქართულ მხარეს არც ის ანეობდა, რომ შეთანხმების დაცვის გარანტიად რუსეთი მოიაზრებოდა. დამკვირვებელთა ნაწილის აზრით, ეს ფორმულირებები არ შეიცავდა ისეთ რისკს, რის გამოც თბილისს ხელიდან უნდა გაეშვა ამ დოკუმენტზე ხელმოწერა.

საფიქრებელია, რომ თუკი ორივე მხარე გამოიჩინდა დიდ მოქნილობას, პრაგმატიზმსა და პოლიტიკურ ნებას, ხოლო საერთაშორისო საზოგადოება – დიდ ძალისხმევას, ოქმს ხელი მოეწერებოდა.

ამასობაში, 1997 წლის 23-25 ივნისის ჟენევის შეხვედრაზე, მრავალმხრივი კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, რუსეთმა შესძლო თავისი ნამყვანი როლის შენარჩუნება.<sup>11</sup> ამის დემონსტრირება, მათ შორის, იყო 1997 წლის 14-15 აგვისტოს, აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების დაწყების წლისთავზე, თბილისში ვიზიტად რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის ე.პრიმაკოვის ჩამოსვლა ვ.არძინბასთან ერთად. ვიზიტის მთავარ მოვლენად დამკვირვებელმა მიიჩნიეს ერთიანი განცხადება “ქართული და აფხაზური მხარეების შეხვედრის თაობაზე”, სადაც ნათქვამია: “მხარეებმა აიღეს ვალდებულება არ მიმართონ იარაღს მათი შორის არსებული დაპირისპირების გადასაწყვეტად და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან სისხლისღვრის განმეორება”.

1997 წლის 17-19 ნოემბერს, ჟენევაში, მხარეებმა დაადასტურეს 1997 წლის 14 აგვისტოს თბილისში მიღებული განცხადება ერთმანეთის წინააღმდეგ ძალისა ან ძალის მუქარის არ გამოყენების ვალდებულების თაობაზე. მხარეები დაეთანხმნენ იმას, რომ მათ შორის ნდობის აღდგენის, ურთიერთგაგების და თანამშრომლობის კუთხით შედარებითი პროგრესი შესაძლოა მიღწეულ იქნას პირდაპირი ორმხრივი მოლაპარაკებების გზით. მნიშვნელოვანი იყო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომლის ფარგლებშიც უნდა ემოქმედათ ცეცხლის განუახებლობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფებს.

1998 წლის 31 მარტს ე. სოხუმში საკოორდინაციო საბჭოს მესამე სესიაზე სამუშაო ჯგუფებს დაევალიათ დაეჩქარებინათ სპეციალური მექანიზმის შემუშავება, სადაც მონაწილეობას მიიღებდნენ კონფლიქტის მხარეების, გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები. აღნიშნული მექანიზმი მონოდებული უნდა ყოფილიყო გამოეკვლია და თავიდან აეცილებინა “ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორისშორების შესახებ მოსკოვის შეთანხმების” დარღვევის ფაქტები, ასევე, კონფლიქტის ზონაში ჩადენილი დივერსიულ-ტერორისტული აქტები.

იმ ეტაპზე, მიუხედავად მოლაპარაკებების პროცესში გარკვეული წინსვლისა, არსებითი პროგრესი კონფლიქტის მასშტაბური დარეგულირებისა არ შეიმჩნეოდა. ეს, ქართული მხარის აზრით, დიდწილად, რუსეთის როგორც “დაინტერესებული შუამავლის” სულ უფრო გაძლიერებული როლით აიხსნებოდა. ასე, საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ რუსეთის მხარე, ფორმალურად უჭერდა რა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სინამდვილეში რეგულარულად არღვევდა აღებულ ვალდებულებებს<sup>12</sup>. თუმცა, საერთაშორისო საზოგადოება ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთის როლს კონფლიქტის დარეგულირების საქმეში: “ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საერთაშორისო საზოგადოება, კერძოდ –

<sup>11</sup> მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მეგობრების ჯგუფის სტატუსი, რომელიც გენერალურმა მდივანმა 1994 წელს საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის ფედერაციის, გაერთიანებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობით შექმნა, მსგავსი უნდა ყოფილიყო გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა სხვა ჯგუფებისა. მათ შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ შეხვედრებსა და სხდომებში, გამოსულიყვნენ განცხადებებით და წინადადებებით სამშვიდობო პროცესის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით, პოლიტიკური დარეგულირების ჩათვლით. ამავე დროს, ისინი არ წარმოადგენდნენ მხარეს მოლაპარაკებებში და არ იქნებოდნენ მინვეულნი კონფლიქტის მხარეების მიერ მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმებულ დოკუმენტებზე ხელმოსაწერად.

<sup>12</sup> უკვე ამავე წლის 14-24 თებერვალს, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვ. ჩერნომირდინის განკარგულებით, რუსეთიდან ფსოუს გავლით და საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით, აფხაზეთში ჩავიდა 2.5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ტვირთი; მათ შორის 100 ტონა სანვაგი, 120 ტონა ხორბლის ფქვილი; ანაჰიდან სოხუმში ჩატანილ იქნა 4 ერთეული მძიმე სამხედრო ტექნიკა. 1996 წლის 4 მაისს მაიკოპში ჩატარდა “ჩრდილოეთ კავკასიის ასოციაციის” საბჭოს სხდომა, რომელზეც ოფიციალურად მიიპატიჟეს დელეგაცია სოხუმიდან ვ.არძინბას მეთაურობით; იმავე თვეს მოსკოვის საპატრიარქოს გადაეცა ახალი ათონის მონასტერი. მოსკოვში, აფხაზეთის პრემიერ-მინისტრსა და რუსეთის ვიცე-პრემიერს ა. ბოლშაკოვს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც რუსეთს უცხოური გემების სოხუმის პორტში მიღებისათვის ხელი არ უნდა შეეშალა.

გაერო, ეუთო და რუსეთის ფედერაცია შუამავლის როლში, მომავალშიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის ძიებაში...<sup>13</sup>

გაეროს უშიშროების საბჭომ, რომელმაც 1993 წლიდან 1997 წლის ჩათვლით 17 რეზოლუცია<sup>14</sup> მიიღო, საზღვრების ურღვევობის ფაქტის კონსტატაციითა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის დადასტურებით შემოიფარგლებოდა. გაეროს სამშვიდობო პროცესზე საგრძნობი გავლენა არ გააჩნდა უშიშროების საბჭოში რუსეთის ნონადი როლის გამო და მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხის შედარებით დაბალი პრიორიტეტულობისა.

1996 წლის ივლისის თვეში, გაეროს სხდომაზე ე. შევარდნაძე საუბრობდა, რომ: “რთულია იმ აპათიისა და იმედგაცრუების გრძნობის აღწერა, რომელმაც ქართველი ხალხი შეიპყრო საერთაშორისო საზოგადოების მიერ კონფლიქტის მოგვარების უუნარობის გამო... მიუხედავად უშიშროების საბჭოს ათეულობით რეზოლუციისა, ვერ მოიძებნა ვერც ფინანსური საშუალება, ვერც საჯარისო კონტინგენტი აფხაზეთში მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციისათვის”. საქართველოს პარლამენტიც სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას გამოთქვამდა კონფლიქტის ზონაში რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების ქმედების გამო, ადანაშაულებდა რა მათ უმოქმედობაში. ასეთ ფონზე, თბილისმა დაიწყო სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობის მოძიება, რომლის მიზანიც კონფლიქტის მოგვარების ფორმატის შეცვლასა და, საბოლოოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რუსულ-ქართულ კონფლიქტად ტრანსფორმირებაში მდგომარეობდა. თავის მხრივ, ამ ტრანსფორმირების საბოლოო მიზანი გახლდათ “რუსეთის ფედერაციისათვის აფხაზეთში ეთნოპოლიტიკური სტაბილურობის გარანტიის ექსკლუზიური უფლების ჩამორთმევა”.<sup>15</sup>

საქართველო საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას აფხაზეთის საზოგადოებაზე სხვადასხვა ზომებით ზეგავლენის – ეკონომიკური, იდეოლოგიური, პოლიტიკური და სხვ. – საშუალებით ცდილობდა. გაჩნდა მოსაზრება, რომ “თბილისში მიზნად მხოლოდ პოლიტიკურ ამოცანას ისახავდნენ – საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, განცალკევებით არანაკლებ მნიშვნელოვანი ზნეობრივი ამოცანისაგან – აფხაზეთის ხალხთან მორალური ერთობის აღდგენისა”.<sup>16</sup> საქართველოში, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის არ ისმებოდა საკითხი: მთელი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში რატომ ვერ იქნა მიღწეული რამდენადმე არსებითი წინსვლა სამშვიდობო პროცესში? არადა, ომის დასრულების შემდეგ ბევრი ძირითადი პარამეტრით მხარეთა პოზიციები, პირიქით, კიდევ უფრო მეტად დაშორდა ერთმანეთს.

ამასთანავე, უნდა ვაღიაროთ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის მასობრივ ცნობიერებაში ვერ მოხდა რამდენადმე რადიკალური, მასშტაბური ცვლილება აფხაზეთის კონფლიქტის მიზეზებისა და შედეგების გააზრებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის სასწრაფოდ აღდგენის მოთხოვნით საქართველომ, ჰქონდა რა ყველა საფუძველი კონფლიქტის გადაწყვეტაში საერთაშორისო ორგანიზაციების და მეგობარი ქვეყნების მაქსიმალური ჩართვის გზით წინ ემოდრავა, საკუთარი თავი ჩიხში მოიწვევდა. იგი უკიდურესად სწორხაზოვნად მოქმედებდა, იგნორირებდა რა სოხუმთან ნდობის აღდგენის პრაგმატულ და ეფექტიან ფორმებს, მათ შორის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ თანამშრომლობას.

#### 1.4. ომის შემდგომი პერიოდის მესამე ეტაპი

1998 წლის მაისში გალის რაიონში სიტუაციის გამწვავებამ, აგრეთვე 2001 წლის ოქტომბერში გელაევის “ლაშქრობასთან” დაკავშირებულმა მოვლენებმა, აქტუალობა დაუბრუნა სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის თაობაზე შეთანხმების ხელმოწერის საკითხს, რომელიც მანამდე და მერეც აქტიურად განიხილებოდა პოლიტიკოსების, ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიერ. ცხადია, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტში ვერ ჩაენაცვლებოდა ძალის გამოუყენებლობის ვალდებულებას; ამან, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო სამხედრო მოქმედებების განახლებას. 1998 წლის მაისის მოვლენებს, რომლებიც თავისთავად მეტად შემამოფოთებელი ფაქტი გახლდათ, ევროპაში რეზონანსი მოჰყვა - ევროპარლამენტმა საკმაოდ ოპერატიულად მიიღო

<sup>13</sup> «Свободная Грузия», №186, 24 ივლისი, 1998

<sup>14</sup> იხ. მაგალითად, გაეროს რეზოლუციები №№ 849, 854, 858, 876, 881, 892, 896, 901, 906, 934, 937, 971, 993, 1036, 1065, 1096, 1124.

<sup>15</sup> С.Маркедонов, Распутывается ли абхазский клубок?, Политком.ру, 14 августа 2006г. ([www.politcom.ru/3223.html](http://www.politcom.ru/3223.html))

<sup>16</sup> «Абхазский меридиан», №2/58, 2007

რეზოლუცია “საქართველოში სიტუაციის შესახებ”. მასში ხაზგასმით აღინიშნა, რომ გალის რაიონში სიტუაციის გაუარესება სერიოზულ საფრთხეს უქმნის გაეროს ეგიდის ქვეშ მიმდინარე პროცესებს და ზიანს აყენებს მთელი კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებას.

1998 წლის 25 მაისს, ქალაქ გაგრამი, ხელი მოეწერა “ცეცხლის შეწყვეტის, შეიარაღებული ფორმირებების დაშორებისა და ძალისმიერი მოქმედებების გამოუყენებლობის გარანტიის ოქმი”, რომელშიც აფხაზეთის მხარე ვალდებული იქნა იღებდა გალის რაიონში ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ არ დაეშვა უკანონო ძალისმიერი ქმედებები. ქართულმა მხარემ, თავის მხრივ, აფხაზეთში შეიარაღებული ფორმირებების შეღწევის აღკვეთისათვის ეფექტური ზომების მიღება იკისრა.

გაიზარდა საერთაშორისო საზოგადოების აქტივობა საქართველოში მიმდინარე პროცესებზე პოზიტიური გავლენის მხრივ. ამის მაგალითად ე.წ. “ნდობის შეხვედრებიც” გამოდგება.<sup>17</sup> მხარეები კონტაქტების განვითარების მიზნით მსგავსი შეხვედრების ჩატარების გაგრძელებაზე შეთანხმდნენ, რაც ერთ-ერთ ასეთ შეხვედრაზე მიღებულ დოკუმენტშიც აისახა: “ზემოხსენებული ურთიერთშეთანხმებული ზომების რეალიზაცია საკოორდინაციო საბჭოსა და ორმხრივი კონტაქტების ფარგლებში ჩატარდება.” სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანი ფაქტორების გამო, მათ შორის რუსეთის წონადი გავლენის დაკარგვის ალბათობის გამოც, ასეთი შეხვედრები დროთა მანძილზე შეწყდა (თუმცა იყო მცდელობები მათი განახლებისა, მაგალითად გაეროს სპეციალური წარმომადგენლის დ. ბოდენის მცდელობა).

საკოორდინაციო საბჭოს სხდომები 1998 წლის 21 დეკემბერს და 1999 წლის 11 თებერვალს თბილისში, ხოლო 1999 წლის 29 აპრილს სოხუმში ჩატარდა. ე. წ. “ქენევის პროცესი”, საქართველოს პარტნიორების ჩანაფიქრის მიხედვით, კონფლიქტის დარეგულირების პროცესში რუსეთის როლის შემცირებას გულისხმობდა. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, იმ დროისათვის მსგავსი მიდგომა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ საერთაშორისო საზოგადოება თანდათან მიდიოდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში არსებული კონფლიქტები – ევროპის უსაფრთხოების საკითხია.

1999 წლის 2 აპრილს, მოსკოვში დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა მორიგი შეხვედრა ჩატარდა, რომელზეც თითქოს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მხარეებს შორის კომპრომისის პერსპექტივა.<sup>18</sup> მაგრამ, პროცესი კვლავ გაიწვია და 1999 წლის 12 ოქტომბერს, ხუთი თვის შემდეგ, სოხუმში აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ სახელმწიფო აქტი მიიღეს. ამიტომ, მოსკოვის შეხვედრაზე მიღებული დოკუმენტების შეთანხმება აფხაზ მხარესთან, რომელიც თვლიდა, რომ თბილისმა ხელიდან გაუშვა მსგავსი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობა, არ მოხერხდა.

კონფლიქტის მიმდინარეობის მთელი პერიოდის მანძილზე ქართულ მხარეს ეშინოდა არ მომხდარიყო შეიარაღებული ფორმირებების კოდორის ხეობაში შეჭრა. ამ საკითხის დარეგულირების მიზნით, 2002 წლის 29 მარტს, ქალაქ სოხუმში მხარეთა დელეგაციებს შორის შეხვედრა ჩატარდა. მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თობაზე, რომ 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების შესაბამისად, კოდორის ხეობიდან გაყვანილ იქნებოდა ყველა სამხედრო ფორმირება გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების ზედამხედველობისა და კონტროლის ქვეშ. ეს იყო ნდობის აღდგენისკენ სვლის კიდევ ერთი დადებითი მაგალითი.<sup>19</sup> ქართული მხარე დათანხმდა, რომ კოდორის ხეობის პატრულირების აღდგენა გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ ხელს შეუწყობდა სიტუაციის სტაბილიზაციას. აფხაზეთის მხარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ კოდორის ხეობაში ქართველი მესაზღვრეების და შეიარაღებული რეზერვისტების ყოფნა არსებული შეთანხმების დარღვევას წარმოადგენს. ამ შეხვედრაზე, აფხაზურმა მხარემ გაეროს დამკვირვებელთა მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების მუდმივმოქმედი პოსტების შექმნა (კოდორის ხეობის ზედა ნაწილში) და ხეობის სრული დემილიტარიზაცია მოითხოვა.

გარკვეული მოლოდინები უკავშირდებოდა “თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის” შესახებ დოკუმენტს (ე.წ. “ბოდენის დოკუმენტი”), რომელიც 2002 წლის 31 იანვარს მხარდაჭერილ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს №1393 რეზოლუციით. გაეროს არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს დოკუმენტი ქართულ და აფხაზურ

<sup>17</sup> “Accord”, выпуск 7, 1999 ([www.c-r.org/accord](http://www.c-r.org/accord))

<sup>18</sup> შეხვედრაზე კონფლიქტის მხარეებს გაენია რეკომენდაცია ერთი თვის ვადაში დაესრულებინათ “მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკების აღკვეთის გარანტიების შესახებ შეთანხმების” და “გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების და ეკონომიკის აღსადგენი ღონისძიებების თაობაზე ოქმის” პროექტებზე შეთანხმება და აღნიშნულ დოკუმენტებზე ხელმოწერა.

<sup>19</sup> «Абхазский меридиан», op.cit.

მხარეებს განსახილველადაც კი არ მიუღიათ. კრემლთან ახლო მყოფ საექსპერტო წრეებში კი გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხსენებული დოკუმენტის მიხედვით იგულისხმებოდა დევნილთა დაბრუნება არა მხოლოდ გალის რაიონში, არამედ სოხუმში, გაგრაში, განთიადში, ლესელიძეში. “რას მივიღებთ შედეგად? ჯერ ერთი, “დაბრუნებულები” ძირეულად შეცვლიან დღევანდელ ეთნო-დემოგრაფიულ სიტუაციას და აფხაზები კვლავ ეთნიკურ უმცირესობად გადაიქცევიან. “მოსყიდული” აფხაზური ელიტა მყისიერად გადაიქცევა ნაციონალ-მოლაღატეებად, აქედან გამომდინარე შედეგებით. ასეთ როლს არალიარებული ელიტიდან ნებაყოფლობით არავინ დათანხმდება”.<sup>20</sup>

აფხაზური მხარის მიერ დოკუმენტის მიუღებლობა, ძირითადად, “პრინციპების” პირველი და მეექვსე პუნქტებით იყო გამოწვეული. პირველი პუნქტის მიხედვით: საქართველო წარმოადგენს სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ სუვერენულ სახელმწიფოს. საქართველოს სახელმწიფო საზღვრები, დამტკიცებული 1991 წლის 21 დეკემბერს, არ ექვემდებარება იმგვარ ცვლილებას, რომელიც საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. მეექვსე პუნქტში კი ეწერა, რომ აფხაზეთის კონსტიტუცია, რომლის საფუძვლად შეიძლება ჩაიდოს 1994 წლის 26 ნოემბრის კონსტიტუცია, უნდა შეიცვალოს თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, როგორც ამას ფედერაციული შეთანხმება განსაზღვრავს.

საქართველოში მიუღებლად მიიჩნიეს დოკუმენტის მეორე და მეხუთე პუნქტები, რომლის მიხედვითაც “აფხაზეთი წარმოადგენს სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებულ სუვერენულ წარმონაქმნს საქართველოს სახელმწიფოს შიგნით. აფხაზეთი სახელმწიფოს შიგნით განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს... საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს; ...ამისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკური ღონისძიებების შესახებ”.

ალინიშნებოდა ზანტი მცდელობები სოჭის შეხვედრაზე<sup>21</sup> მიღწეული შეთანხმებების იმპლემენტაციასთან დაკავშირებითაც. კერძოდ, შეთანხმებები ისეთ საკითხებზე, როგორცაა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, სოჭი-თბილისი გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ენგურჰისის კასკადის მოდერნიზაცია და ენგურის ზემო წელში სხვა ჰიდროტექნიკური ობიექტების მშენებლობის პერსპექტივების რეალიზაცია<sup>22</sup>.

ამგვარად, მხარეთა რეგულარული შეხვედრების მიუხედავად, პოზიტიური შედეგები არ დამდგარა და საბრძოლო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ მასშტაბური დოკუმენტის მიღების ან მომზადების აუცილებლობის გაცნობიერებაზე არსებითი გავლენა მომხდარა.

აფხაზური მხარის პოზიცია, განსაკუთრებით 1999 წლის შემდეგ, სულ უფრო ხისტი ხდებოდა და დსთ-ს სამშვიდობოების გამოყენებით ტერიტორიაზე კონტროლის შენარჩუნების ამოცანით შემოიფარგლებოდა. ლტოლვილებისა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების საკითხის გაჭიანურებით აფხაზური მხარე ცდილობდა არ დაეშვა ომამდელი დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენა, შეექმნა შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები, მიეღწია საერთაშორისო აღიარებისთვის, აღედგინა ეკონომიკა და მოეზიდა ინვესტიციები. აფხაზური მხარის შიშს, ძირითადად, კონფლიქტის ძალისმიერი გზით შესაძლო გადანაცვლება იწვევდა. აფხაზური საზოგადოება, ბუნებრივია, ახალი ომის პერსპექტივით ძალზე შემოფოთებული იყო. მიუხედავად ქართული მხარის არაერთი მცდელობისა, მეორე მხარე კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარებისადმი ერთგულებაში დაერწმუნებინა, სოხუმის გადაჯერება ვერ მოხერხდა.

ქართული მხარე ცდილობდა სამშვიდობო ოპერაციის სამხედრო კომპონენტის ინტერნაციონალიზაციისთვის მიეღწია და ოპერაციის სამხედრო ფორმატი საპოლიციოთი შეეცვალა. ამავედროულად, სამშვიდობო მისია უნდა გადანაცვლებულიყო ქ. ოჩამჩირეს დასავლეთით. ქართული გეგმით, პირველ ხანებში გალის და ოჩამჩირეს რაიონებში ერთობლივი სამოქალაქო ადმინისტრაცია უნდა შექმნილიყო, ამავე რაიონებში უნდა დაწყებულიყო დევნილების ეტაპობრივი დაბრუნებაც.

ყოველივე ზემოხსენებული მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე მიმდინარეობდა. კერძოდ, აღსანიშნავია რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე გარდამავალი პერიოდის სირთულეები, მსოფლიო წესრიგისადმი ნატოსა და ევროკავშირის ახალი სტრატეგიული მიდგომები, გლობალური ენერგეტიკული პრობლემები და ამ სფეროში ახალი ალტერნატივების ძიება, საერთაშორისო ტერორიზმის გაძლიერება.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ მხარეთა რეგულარული შეხვედრები და მიღებული დოკუმენტები კონფლიქტის მოწესრიგების პროცესზე არსებითი ზეგავლენისთვის საკმარისი

<sup>20</sup> С.Маркедонов, op.cit

<sup>21</sup> იგულისხმება პუტინ-შევარდნაძის ქ. სოჭში 2003 წლის 7 მარტის შეხვედრა.

<sup>22</sup> Абхазский вопрос в официальных документах, часть 3, гл. 347-349



არ აღმოჩნდა. საერთაშორისო ურთიერთობების სპექტრში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ობიექტურად ვერ თამაშობდა პირველხარისხის როლს და მხოლოდ მსხვილი პოლიტიკური აქტორების თვალთახედვით განიხილებოდა.

### 1.5. ომის შემდგომი პერიოდის მეოთხე ეტაპი

პრეზიდენტ ე. შევარდნაძის და აჭარის ხელმძღვანელის ა. აბაშიძის თანამდებობიდან უმტკივნეულო გადაყენებით (“ვარდების რევოლუციით”) ხელისუფლებაში მოსულ ახალ პოლიტიკურ ძალას შეექმნა ილუზია იმისა, რომ მსგავსი წარმატება შესაძლებელია მიღწეულიყო სამხრეთ ოსეთშიც და შემდგომ აფხაზეთშიც. 2004 წლის ივლისის მოვლენებმა, ასევე 2008 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა ცხინვალში თვალნათლივ აჩვენა ამგვარი მიდგომის უსუსურობა.

შეცვლილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ მცდარი მოლოდინები გააჩინა — ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ, ვინაიდან საერთაშორისო საზოგადოებრიობა პოზიტიურად რეაგირებდა საქართველოში მომხდარ ცვლილებებზე და ყველანაირ მხარდაჭერას უცხადებდა,<sup>23</sup> ეს მმართველ წრეებს “კარტ-ბლანშს” აძლევდა კონფლიქტის სწრაფად დარეგულირების მხრივაც. მსგავსმა მიდგომამ საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოში კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.

2008 წლის გაზაფხულზე დაძაბულობის გაზრდას ხელი შეუწყო 2008 წლის 4 მარტის რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამ, რომლის თანახმადაც, რუსეთს ფედერაცია ცალმხრივი წესით ოფიციალურად გამოვიდა ზემოხსენებული 1996 წლის 19 იანვრის დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს შეთანხმებიდან. 2008 წლის აპრილში მიღებულ იქნა საპრეზიდენტო დეკრეტი: “აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის საგნობრივი დახმარების თაობაზე”. ამასთან, რუსეთის ხელისუფლებამ არ სცნო საჭიროდ ფორმალურადაც კი რომ დაეცვა დსთ-ს ფუნდამენტური შეთანხმებების სამართლებრივი საფუძვლები: არ განაცხადა აღმა-ათისა და მოსკოვის შეთანხმებებიდან, ასევე 1995 წლის დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს მემორანდუმიდან გასვლის შესახებ.

თბილისში სულ უფრო აქტიურად დაიწყო საუბარი სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის თაობაზე შეთანხმებაზე ხელმოწერის აუცილებლობაზე. ამას მოითხოვდა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი და ასევე ფრთხილად მიანიშნებდნენ საქართველოში აკრედიტებული ორგანიზაციებიც. ამაზევე საუბრობდნენ სახელისუფლებო სტრუქტურების კულუარებშიც. როგორც ცნობილია, მოლაპარაკების პროცესში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი ი. ალასანია აქტიურად მუშაობდა შეთანხმების ტექსტზე იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პროცესის კონტექსტში. ეს საკითხი, ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისთვისაც აქტუალური გახდა.

თითქოს საერთაშორისო საზოგადოების ზენოლით ყოველივე იქით მიდოდა, რომ წლების მანძილზე მიმდინარე მყიფე “მშვიდობიანი” ურთიერთდაპირისპირება” სამართლებრივ სივრცეში გადასულიყო. მაგრამ, ამის ნაცვლად, 2008 წლის 29 მარტს საქართველო აფხაზეთის კრიზისის დარეგულირებასთან დაკავშირებით ახალი “ძველი” წინადადებით გამოვიდა. კერძოდ, აფხაზეთის პოლიტიკურ ელიტას სთავაზობდნენ: ვიცე-პრეზიდენტის პოსტს აფხაზეთის საკითხებზე ვეტოს დადების უფლებით; ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში გარანტირებულ წარმომადგენლობას; აფხაზეთისათვის საერთაშორისო გარანტიებს, ფართო ფედერალიზმის და განუსაზღვრელი ავტონომიის უზრუნველყოფას; კულტურის, ენისა და ეთნიკური იდენტობის დაცვის გარანტიას; უსაფრთხოების გარანტიას; ერთიან სამართლებრივ, საბაჟო და საზღვაო სივრცის ფორმირებას; ერთობლივი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას. თუმცა, ექსპერტთა ნაწილისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების აზრით, მართალია საქართველომ აფხაზეთს შესთავაზა “სიმშვიდე და დაცულობა, კრიმინალისა და კორუფციის გარეშე ცხოვრება, თავისუფალი და კანონიერი ბიზნესი, ჯანდაცვისა და განათლების საუკეთესო პირობები, გახსნილი ეკონომიკა და გამჭვირვალე საზღვრები”, მაგრამ ეს უფრო მეტად უცხოურ აუდიტორიაზე იყო გათვლილი, რადგან ზემოხსენებულმა წინადადებებმა აფხაზეთისთვის უკვე დაკარგა აქტუალობა და მიმზიდველობა. მითუმეტეს, რომ ყოველივე ამით, თავად ქართული საზოგადოება არ არის უზრუნველყოფილი.

თბილისის ინიციატივებმა სოხუმში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

<sup>23</sup> იხ. მაგალითად, ეროპარლამენტის 2004 წლის 13 ოქტომბრის რეზოლუცია საქართველოს შესახებ

## დასკვნა

წინამდებარე თავში გაკეთდა მცდელობა დოკუმენტურად გაგვედევინა თვალი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების მთელი პროცესისთვის და გაგვეანალიზებინა იგი 1992 წლის აგვისტოდან მოყოლებული, ანუ სამხედრო მოქმედებების დაწყების მომენტიდან. ამ პროცესის საწყის ეტაპზე მხარეთა პოზიციების შედარებით დამთმობი იყო. ქართული და აფხაზური მხარეები ცდილობდნენ რაც შეიძლება სწრაფად შეეჩერებინათ სისხლისღვრა და შეიარაღებული დაპირისპირება; აფხაზეთის მთავრობას ნაკლებად რადიკალური პოზიცია ეკავა. მაგრამ, ამ პერიოდში ხელმონერილი ძირითადი შეთანხმებები დაირღვა.

აქტიური სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ მოლაპარაკებების პირველ ეტაპზე მიღებულ დოკუმენტებზე ხელმონერის გზით კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისათვის სერიოზული გარანტიები ჩაიდო. სამწუხაროდ, გაჩენილი შანსი გაშვებულ იქნა და შემდგომ ეტაპებზე მხარეთა საერთო შეხების წერტილებისა და გადამკვეთი ინტერესების პოვნა გაცილებით რთული აღმოჩნდა.

საერთაშორისო აქტორების შუამავლობა, უფრო მეტად, დეკლარაციულ და შეზღუდულ ხასიათს ატარებდა და პროცესებზე არსებით გავლენას ვერ ახდენდა. ასე, მაგალითად, გაეროს წარმომადგენლები თავიანთი მანდატის ფარგლებში მომხდარ ფაქტებს და მოვლენებს მხოლოდ აფიქსირებდნენ. ამაზე ნათლად მეტყველებს გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებები და უშიშროების საბჭოს ერთფეროვანი განმეორებადი ფორმულირებები და მონოდეტები მხარეების მიმართ დაეცვათ მიღწეული შეთანხმებები.

რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის თაობაზე თავისი განცხადებების დეზავუირება მოახდინა. ამას წინ უძღოდა სასწრაფო წესით, გამარტივებული სქემითა და ყველა საერთაშორისო ნორმის დარღვევით აფხაზეთის ათიათასობით მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება. რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო სამართალზე, მსგავსი ქმედებები 1996 წლის 19 იანვრის დსთ-ს სამიტის გადაწყვეტილების პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს.

2008 წლის აპრილში ჩატარებული გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ და საფრანგეთმა ერთობლივი კომუნიკე მიიღეს, რომელშიც ისინი არალიარებული რესპუბლიკების მიმართ რუსეთის დამოკიდებულებით შემოფოტებას გამოხატავდნენ. კერძოდ, საუბარი ეხებოდა მოსკოვის გადაწყვეტილებას აფხაზეთის მიმართ მოქმედი ეკონომიკური სანქციების რეჟიმიდან ცალმხრივად გამოსვლის თაობაზე, და რუსეთის სახელმწიფო ორგანოების მიერ აფხაზეთის ოფიციალური სტრუქტურებთან ურთიერთობების დამყარებას. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს შესაბამისი სტრუქტურების გვერდის ავლით საკუთარ ტერიტორიულ დანაყოფებს დაავალა კრასნოდარის მხარესა და ჩრდილოეთ ოსეთში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის საკონსულო ფუნქციები ეტვირთათ. ამას წინ უძღოდა მოსკოვის პოზიციის უპრეცედენტო გამკაცრება თბილისთან მიმართებაში – დაწყებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციასა და მინერალურ წყალზე ემბარგოს დანესებითა და რუსეთში მცხოვრები ქართველი ეროვნების მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ჩატარებული ანტიჰუმანური აქციით, მათ შორის ქართველი ბავშვების რუსული სკოლებიდან გარიცხვით დამთავრებული.

“კოსოვოს პრეცედენტის” შემდეგ რუსეთის პოზიცია საქართველოში არსებული კონფლიქტების საკითხში მკვეთრად გადაიხარა არალიარებული რესპუბლიკების მხარეს.

მშვიდობისმყოფელები არათუ არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, არამედ ხშირად თავისი მანდატის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ, რაც მხარეებს შორის ნდობის აღდგენას ხელს არ უწყობდა. ბოლო დროს, საქართველო რუსეთის მშვიდობისმყოფელების ყოფნას განიხილავდა არა როგორც მშვიდობის შენარჩუნების გარანტიას, არამედ ინსტრუმენტს აფხაზეთის ფაქტიური დამოუკიდებლობის მხარდაჭერისთვის, ამიტომაც იგი სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციას ცდილობდა. 2008 წლის აპრილში, ბრიუსელში, ნატოს საბჭოს სხდომაზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მყოფი სამშვიდობო მისიების საკითხი დადგა.

ითვალისწინებდა რა თბილისის საომარ რიტორიკას, საპასუხოდ, რუსეთმა სამშვიდობობის რაოდენობა გაზარდა. დაძაბული სიტუაციის “გასანეიტრალებლად” რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს.ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი არ აპირებს საქართველოსთან ომს. მაგრამ, როგორც რუსული პრესაც კი წერდა, “საუბარი მისი პროფესიისა, ხოლო რეალურ პოლიტიკაში, შესაძლოა, სიტუაცია სულ სხვაგვარად დალაგდეს”.

პროცესს წითელ ხაზად გასდევდა, ერთი მხრივ, უნდობლობა, მეორე მხრივ კი — მხარეთა და მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეთა არასაკმარისი მოტივაცია შეთანხმებების ხელისმონერასთან დაკავშირებით.

ერთმანეთის მიმართ უნდობლობა ორივე მხარის მიერ მიღებული შეთანხმებების არაერთგზის დარღვევით იყო განპირობებული როგორც ომამდე, ისე საომარი მოქმედებების დროს.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ უნდობლობა გამონვეული იყო იმით, რომ მათ ვერ შესძლეს მხარეების მიერ შეთანხმებების დაურღვევლობის მიზნით ქმედითი გარანტიების შექმნა.

საქართველოს უნდობლობას რუსეთს მიმართ, რომელიც, მისი აზრით, სულ უფრო მეტად მიკერძოებული ხდებოდა და კონფლიქტის მხარედ გადაიქცა, გაპირობებდა:

- სახელმწიფო სათათბიროს უარი საქართველოს პარლამენტის მიერ მეგობრული ურთიერთობების თაობაზე ჩარჩო ხელშეკრულების რატიფიკაციაზე;
- დსთ-ში საქართველოს განევრიანების შემდეგ სამხედრო თანამშრომლობის შესახებ პარაფირებულ შეთანხმების ხელმოწერაზე რუსეთის უარი;
- ზავის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების ცალმხრივი განიარაღება, რის შედეგადაც ქართველებმა სტრატეგიული პოზიციები დაკარგეს;
- რუსეთის საჯარისო დანაყოფების საომარ ოპერაციებში მონაწილეობა;
- რუსეთის მაღალჩინოსანი სამხედრო პირების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაკეთებული განცხადებები და სხვ.

რაც შეეხება ცეცხლის განუახლებლობის შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის მოტივაციის ნაკლებობას, ქართული მხარის შემთხვევაში ეს იყო განპირობებული შემდეგით:

- საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ წყვეტდა რუსეთი საკუთარ ამოცანებს აფხაზეთში, კარგად ვერ აცნობიერებდა მის გრძელვადიან ზრახვებს ამ რეგიონში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიტანოთ ნანყვეტი ცნობილი და გავლენიანი საზოგადო მოღვაწის ზ.აჩბას ერთ-ერთი რუსული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუდან: “საქართველოსა და აფხაზეთს შორის მოლაპარაკებებში რუსეთის შუამავლობით ვერანაირ პერსპექტივას ვერ ვხედავ. პირველყოვლისა, ის ტექნიკურად არასწორია. შუამავლობა გულისხმობს ამ უკანასკნელის მიერ სხვა პრიორიტეტების არქონას, გარდა მასზე დაკისრებული მისიისა და აახლოვოს კონფლიქტის მხარეები. რუსეთს კი კონფლიქტის ზონაში უამრავი საკუთარი ინტერესი აქვს, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე საქართველოსა და აფხაზეთს. ეს ინტერესები არ ცხადდება, მაგრამ რეალურად არსებობს და მათი გათვალისწინების გარეშე ვერანაირი შეთანხმება საქართველოსა და აფხაზეთს შორის ვერ შედგება. აქედან გამომდინარე, კონსენსუსამდე უნდა მივიდეს არა ორი, არამედ სამი დაინტერესებული მხარე და, ამასთანავე, შუამავლის გარეშე”. მალე ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ზ.აჩბა სოხუმში საკუთარ სახლთან ჩაცხრილეს.
- საქართველო დიდი ხნის მანძილზე არაერთხელ უმტკიცებდა გაეროს სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობას, მაგრამ უშედეგოდ.
- საქართველოს წარმოუდგენლად მიაჩნდა შეთანხმებაზე ხელმოწერა აფხაზეთში რუსეთის ჯარების ყოფნის პირობებში (ეუთომ ვერ შესძლო გუდაუთას (ბომბორა) სამხედრო ბაზის დახურვასთან დაკავშირებით დასკვნის გამოტანა, ვერ მიიღო რა თანხმობა მისი ინსპექტირების თაობაზე) საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ შესძლო ადეკვატური გარანტიების შეთავაზება.
- დიდი რაოდენობით იძულებით გადაადგილებულ პირთა (200 ათასი) არსებობის და მკაცრი პოლიტიკური ბრძოლის პირობებში, სადაც მოცემული საკითხი კონიუნქტურული იყო, საქართველოს ხელისუფლებას უჭირდა გადაენწყვიტა შეთანხმებაზე ხელმოწერა მასზე რაიმე მნიშვნელოვანი ამოცანის მიზნის გარეშე.
- მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი ყოველთვის მოუწოდებდა საქართველოს კრემლთან ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე, მოსკოვის შუამდგომლობით კონფლიქტის გადაწყვეტა არ შედიოდა დასავლეთისა და აშშ-ს გეგმებში, რადგან ეს გზა საქართველოსა და მთელ რეგიონზე რუსეთის გავლენის დაბრუნებას გულისხმობდა. თავის მხრივ, რუსეთი გრძნობდა საქართველოს არაგულწრფელობასა და არადამაჯერებლობას, რომელმაც მუდმივი კონფრონტაციის გზა აიჩრია, მოქმედებდა სწორხაზოვნად, ყოველგვარი მოქნილობის და შემოქმედებითი მიდგომის გარეშე.
- თბილისი ანგარიშს არ უწევდა სოხუმისთვის რეალურ საშიშროებებსა და რისკებს, აფხაზეთის საზოგადოების შემფოთებას (ყოველი გახმოვანებული გარანტია ან დაგვი-

ანებული იყო, ან საბჭოთა ეპოქისდროინდელი რწმუნებების კალკირებას წარმოადგენდა).

აფხაზური მხარის არასაკმარისი მოტივაციის მიზეზებია:

- შეთანხმებაში რუსეთი მხოლოდ როგორც დსთ-ს სუბიექტი ფიგურირებდა. ასეთ ფაქტს უკვე ჰქონდა ადგილი ყირიმში უსაფრთხოების გარანტიების თაობაზე ხელმოწერილ ოქმში, რომელშიც, ასევე იყო საუბარი არა რუსეთზე, არამედ დსთ-ზე. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ეს შემთხვევით შეცდომად ჩათვალეს და მინისტრის მოადგილე დაკავებული პოსტიდან გაათავისუფლეს.
- მოლაპარაკებების მწარმოებელი ყველა აქტორის მიმართ არსებული უნდობლობა, გარდა რუსეთისა, მათ მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების გამო, რომლებმაც არ მოინდომეს კონფრონტაციაში შესვლა რუსეთთან არც საქართველოს და არც აფხაზეთისთვის.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხის გადაბმა შეთანხმების ხელმოწერაზე სარისკო და არაადეკვატურ ფასად ითვლებოდა, რადგანაც შეთანხმების არქონის პირობებში ომის განახლების რისკი ნაკლებ შიშს იწვევდა, ვიდრე ომამდელი დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენა.

დაბოლოს, აღსანიშნავია დასავლეთის მიერ სრულად ვერგაცნობიერებული კონფლიქტის ესკალაციის საშიშროება და პრეზიდენტ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ერთპოლუსიან მსოფლიოში რუსეთის სათანადოდ ვერშეფასებული ამბიციები.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა გამოააშკარავა ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სამხედრო გზით გადაწყვეტა შეუძლებელია. მეორე მხრივ, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ აფხაზეთის რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაციის ალბათობა გაზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ეხლა მსგავსი განცხადება სკეფსის და ზოგჯერ მიუღებლობას იწვევს აფხაზეთის საზოგადოების უმეტეს ნაწილში, ჩვენი აზრით, ყოველივე ეს პერსპექტივაში აფხაზეთის ეთნოსს დიდ საშიშროებას უქადის.

მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთ საშუალებაში, თუმცა მოკრძალებით, მაგრამ მაინც გაისმის წინადადებები იმის თაობაზე, რომ ხელი უნდა შეეწყოს მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ შემოსვლას აფხაზეთში. აგვისტოს 5 დღიანი ომი გაკვეთილი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვის, რათა მომავალში აღარ აღეძრას რევანშისტული ზრახვები.

თუმცა, დღემდე ჯერ კიდევ არ ჩანს ნიშნები იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად არის შეცვალოს საკუთარი პრიორიტეტები. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ისევე, როგორც ქართულ-ოსური, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კუთხით განიხილება. ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ უჩვენებია კონფლიქტის დარეგულირების ალტერნატიული საშუალებების გამოყენების მზაობა.<sup>24</sup> საქართველოს ხელისუფლება ფარულად იმედოვნებს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის საკითხის ისევე მესამე ძალაზე დაყრდნობით გადაწყვეტას. საეჭვოა, ჩვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლების მტკიცება იმის თაობაზე, რომ ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი რუსეთის რესურსებს შეამცირებს და საქართველო ამას თავისი მიზნებისთვის, კერძოდ კონფლიქტის დარეგულირების მისაღწევად გამოიყენებს.

ამ ფონზე ახალი და განსხვავებული მიდგომები და ინიციატივები შესაძლოა მისაღები აღმოჩნდეს ქართული საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის, ოპოზიციის ჩათვლით. დარწმუნებული ვართ, რომ ადრე თუ გვიან, საქართველოში საღად და კრიტიკულად შეაფასებენ შექმნილ ვითარებას, და მაშინ უეჭველად გადაიდგმება აუცილებელი ნაბიჯები აფხაზური საზოგადოების გამონვევების, საჭიროებისა და შიშების სათანადოდ შესაფასებლად. ეს კი ქართველებისა და აფხაზების ისტორიული შერიგების აუცილებელი წინაპირობაა.

<sup>24</sup> მოცემულ მასალაზე მუშაობის დასრულებისთვის ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული საქართველოს მთავრობის ახალი "სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ".

## თავი 2. ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ანალიზი ანალიზის რეალობის კონტექსტში (ა. გეგეშიძე)

### შესავალი

1993 წელს აფხაზეთში ომის დასრულებიდან მოყოლებულ მთელ შემდგომ პერიოდში ქართულ-აფხაზური ურთიერთობები რთულად ვითარდებოდა. ამ ურთიერთობების პრობლემატიურობა, ძირითადად, იმით იყო განპირობებული, რომ ქართული და აფხაზური საზოგადოებების ე.წ. ეროვნული პროექტები შეუთავსებელი იყო – საქართველო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ მიისწრაფოდა, ხოლო აფხაზეთი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის იღწვოდა. აღნიშნულის გარდა, გართულებული ურთიერთობების უშუალო მიზეზი ასევე იყო ერთმანეთის მიმართ უნდობლობის გრძნობა, მტრის ხატის მზარდი ფაქტორი, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელი აფხაზეთის აღქმისთვის იყო. ურთიერთობების ამგვარი ხასიათი, ძირითადად, შემდეგი ფაქტორებით იყო განპირობებული:

ჯერ ერთი, ქართული მხარე თვლის, რომ ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას აფხაზურმა მხარემ არაერთხელ დაარღვია დაზავების პირობები. პირობის დარღვევის თითოეული შემთხვევა, კი, სერიოზულად ამძიმებდა ქართული მხარის პოზიციებს, რამაც, საბოლოო ჯამში, ქართული მხარე დამარცხებამდე მიიყვანა. ომის შემდეგაც აფხაზური მხარე ამა თუ იმ ხელშეკრულების ჩარჩოებში აღებული ვალდებულებების შესრულებას არაერთხელ არიდებდა თავს, მათ შორის დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებში. შედეგად, ქართულ პოლიტიკურ ელიტაში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ აფხაზეთის მხარეს ბოლომდე ვერ ენდობი, მათ არ ძალუძთ სიტყვის შესრულება, მითუმეტეს “რუსეთის ფაქტორის” ზენოლის პირობებში. მეტიც, თავიანთი გრძელვადიანი ინტერესების საზიანოდ აფხაზები “რუსების დაკრულზე ცეკვავენ” და არ ენინააღმდეგებიან, ზოგჯერ კი, ეხმარებიან კიდევ, ჩრდილოელ მეზობელს რეგიონში მისი შორსმიმავალი მიზნების განხორციელებაში.

მეორეც, 1992-1993 წლების ომის შედეგად, აფხაზეთის შეგნებაში განმტკიცდა ქართული ეროვნული იდეის როგორც მტრული ჩანაფიქრის აღქმა. ომის დანაშაულისა და მსვლელობის შესახებ ჯპროაფხაზურ წყაროებში მიღებული ფაქტოგრაფიული ინტერპრეტაციის თანახმად, ქართული მხარე ესწრაფვოდა გაენწყვიტა ან გაეყარა აფხაზები აფხაზეთიდან. “ძირძველი აფხაზური მიწების გაქართულება” ქართველი და პროქართულად განწყობილი მმართველების უძველეს ოცნებას წარმოადგენს, რომელზეც ეხლანდელი ქართული სახელმწიფოც არ ამბობს უარს. მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის მხარეს არაერთხელ სთავაზობდნენ ერთიან ქართულ სახელმწიფოში დაბრუნებას მათი უსაფრთხოების გარანტიებისა და კულტურული განვითარების ავტონომიურობის უფლებების სრული დაცვით, ქართული მხარის მიმართ უნდობლობა კვლავ ძალაში რჩებოდა. მეტიც, დროთა განმავლობაში, უნდობლობა ძლიერდებოდა და თანდათან ქართული სახელმწიფოს მიმართ შიშში გადაიზარდა. ეს ამკარად გამოვლინდა 2003 წელს “ვარდების რევოლუციის” შედეგად ხელისუფლების ცვლილების შემდეგ. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ, წინამორბედთაგან მემკვიდრეობით მიიღო კონფლიქტის მოგვარების არათანმიმდევრული პოლიტიკა. თუმცა, აფხაზთა დაშინების მთავარი ფაქტორი იყო ის, რომ სააკაშვილის მთავრობამ, ერთის მხრივ, უზარმაზარი რესურსები მიმართა სამხედრო მშენებლობისაკენ, ხოლო მეორე მხრივ – დასავლეთის წამყვანი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების უპრეცედენტო პოლიტიკური მხარდაჭერის შეპირება შეძლო. ფართოდ რეკლამირებული თბილისის “სამშვიდობო ინიციატივებს”, რომელიც, პირველ რიგში, სტატუსის საკითხებს შეიცავდა, თან ახლდა სულ უფრო მზარდი სამხედრო ძლიერების დემონსტრირება სხვადასხვა სახის სწავლებებისა და/ან სამხედრო აღლუმების სახით. აყოველივე ეს საომარი რიტორიკის ფონზე მიმდინარეობდა. ბუნებრივია, აფხაზეთის მხარეს გაუძლიერდა თბილისის მხრიდან პრობლემის ძალისმიერი გზით გადაწყვეტის შიში. ამიტომ, აფხაზეთისათვის მთავარი ტაქტიკური ამოცანა “საქართველოს მორიგი აგრესიისაგან” თავის რუსეთის ფრთებქვეშ შეფარების გზით საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნვა გახდა.

მესამეც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ გეოპოლიტიკურ ნოკდაუნში აღმოჩენილი რუსეთი, ინსტინქტურად მიხვდა პოსტსაბჭოთა სივრცეზე ხელიდან გამსხლტარი გავლენის აღდგენის აუცილებლობას. განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველომ შეიძინა, იგი მოულოდნელად და რუსეთის პოლიტიკური ელიტისათვის სანყენად, “რუსული იმპერიალიზმის” წინააღმდეგ თავისი ბრძოლით მაგალითს აძლევდა დამოუკიდებლობაადგენილ თუ დამოუკიდებლობამინიჭებულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს. მაშასადამე, საქართველო, რომელიც გეოგრაფიული ადგილმდებარეობის გამო სამხრეთ კავკასიაში საკვანძო ქვეყანას წარმოად-

გენს და, ამავდროულად, ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის სულ უფრო მეტად მშფოთვარე სუბიექტებს ჩრდილოეთ კავკასიაში, უნდა დასჯილიყო და შეჩერებულიყო. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო საყრდენი გახდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ელიტის სეპარატისტული განწყობები, რომლებმაც რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით საქართველოსთან კონფრონტაციისათვის იდეოლოგიური საფუძველი შექმნეს. შემდგომში, რუსეთმა მოახერხა წარმატებით სპეკულირება ეთნიკურ განსხვავებებზე, ერთი მხრივ, ქართველ და, მეორე მხრივ, აფხაზურ და ოსურ ელიტებს შორის და დიპლომატიური მანევრებით, სიტუაციის სხვადასხვა ფორმით მანიპულირებით შესძლო კონფლიქტის დარეგულირების პროცესის გაყინვა. ამით რუსეთი ცდილობდა არ დაეშვა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და სეპარატისტებს შორის პირდაპირი დიალოგის დამყარება. რუსეთი ამგვარ ტაქტიკას განსაკუთრებით აქტიურად ბოლო წლებში საქართველოს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დახლოების აღკვეთის მიზნითაც იყენებდა.

მეოთხეც, ცალკეული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრიობის გაძლიერების პოლიტიკას ეფუძნებოდა, ეჭვს იწვევდა აფხაზეთის მმართველ წრეებში. ასეთი პოლიტიკა აღიქმებოდა, როგორც “მტრისთვის დახმარების განწვევა”, რომელიც, როგორც კი მოძლიერდება, “აფხაზეთის წინააღმდეგ ომზე წავა”. მართლაც, კონფლიქტის დარეგულირების საკითხში საქართველოს პოზიციის, მისი “სამშვიდობო ინიციატივების” მყარი მხარდაჭერა, რომლის პარალელურად სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის არმიის, გაძლიერებისათვის მრავალმილიონიანი პროგრამების განხორციელება ხდებოდა, აფხაზურ მხარეში, ერთი მხრივ განგაშს, მეორე მხრივ, გაცრუებასა და ნუხილს იწვევდა. ჩგანებივრებული ქართული ხელისუფლება კი, თავის მხრივ, სულ უფრო უტიფარი ხდებოდა. ამავდროულად, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და დასავლეთის იმ ქვეყნებმა, რომლებიც საქართველოსთან თანამშრომლობდნენ, ვერ მოიცალეს აფხაზური საზოგადოებისთვის სათანადოდ განემარტათ თავისი პოლიტიკის ჭეშმარიტი მოტივები და დასავლური ფასეულობებისა და ინსტიტუტების პოპულარიზაცია მოეხდინათ. შედეგად, აფხაზური მხარე ქართულ მხარესთან ნდობის აღდგენის მიზნით კონსტრუქციული დიალოგის წარმართვის სტიმულს კარგავდა და იძულებით ექცეოდა რუსეთის მზარდი გავლენის ქვეშ.

ზემოთაღნიშნული ვითარებების გამო ქართულ-აფხაზური ურთიერთობა მუდმივ კრიზისში იმყოფებოდა. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ირგვლივ მომხდარმა მოვლენებმა უფრო მეტად დააჩქარა ამ ურთიერთობების უკვე ჩამოყალიბებული უარყოფითი დინამიკა. იგულისხმება 2006 წლის გაზაფხულიდან დაწყებული პროცესები, რომლის კულმინაციას 2008 წლის აგვისტოს ხუთღიანი რუსეთ-საქართველოს ომი და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება წარმოადგენდა.

ქვემოთ აღწერილია აგვისტოს მოვლენების წინამორბედი ძირითადი პროცესები და მოვლენები, რომლებიც საფუძვლად დაედო რუსულ-ქართული ომის მიზეზებისა და შედეგების ანალიზს.

### **ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ**

2005 წლიდან რუსეთმა ეკონომიკური სანქციების შემოღება დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. თავიდან, აიკრძალა ქართული მწვანის, ხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტიპის პროდუქციის შეტანა. შემდეგი წლის მარტსა და მაისში აკრძალვა ღვინის ნაწარმსა და მინერალურ წყლებზეც გავრცელდა. ეკონომიკური ომი მკვეთრად გაძლიერდა 2006 წლის ოქტომბრის თვეში, საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის დაზვერვის ოთხი ოფიცრის დაკავების შემდეგ. კერძოდ, რუსეთმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა სარკინიგზო, საჰაერო და საზღვაო კავშირი, ასევე საფოსტო კავშირი საქართველოსთან. ჩგანვეულ იქნა ელჩი, ხოლო რუსეთის ქალაქებიდან ქართველი ეროვნების ადამიანების დეპორტაცია დაიწყო.

პარალელურად, მოსკოვი უპრეცედენტო მასშტაბის ფსიქოლოგიურ კამპანიას აწარმოებდა საქართველოს წინააღმდეგ: ოფიციალური მოსკოვი, მათ შორის პრეზიდენტიც, საქართველოს ხელისუფლებას “სახელმწიფო ტერორიზმში” დებდა ბრალს; რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა საქართველოს “განგსტერული სახელმწიფო” უწოდა, “ხოლო, საგარეო საქმეთა მინისტრმა ღიად დააყენა ეჭვქვეშ “საკავშირის რეჟიმის” ლეგიტიმურობა.

მოცემული პოლიტიკის სტრატეგიულ ამოცანას საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის შეფერხება წარმოადგენდა. ამასთანავე, საჭირო იყო აქტიური და ენერგიული ქმედება, რათა მოცემული არასასურველი ტენდენცია შეჩერებულიყო მანამ, სანამ იგი შეუქცევადი არ გახდებოდა.

თუმცა, მალე აშკარა გახდა, რომ ეკონომიკური ემბარგო ვერ მოახდენდა რუსეთისთვის სასურველ გავლენას საქართველოს ხელისუფლებაზე, რადგან ქვეყნის ეკონომიკა მდგრადო-

ბის ყველა ნიშანს ავლენდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის ისეთმა დარგებმა, როგორცაა სოფლის მეურნეობა, მეღვინეობა, ტრანსპორტი, ნაწილობრივ ვაჭრობა, მომსახურება და მშენებლობა სერიოზული ზარალი განიცადა, მთლიანობაში ეკონომიკური ზრდა შენარჩუნდა. 2006 წლის დეკემბერში საქართველოში ჩამოსულმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის კომისიამ საქართველოს ეკონომიკის გადარჩენის სერიოზული რესურსი დააფიქსირა, ხოლო შემდგომში ინფლაციის შემცირებისა და დამატებითი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპები კიდევ მეტად დაჩქარდა.

### **რუსეთის როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების შუამავლის დისკრედიტაციისაკენ მიმართული საქართველოს ხელისუფლების კამპანია**

2006 წლის დასნისში საქართველომ მიზნად დაისახა შექმნილი სტატუს-კვოს საფუძვლების დანგრევა და კონფლიქტის დარეგულირების პროცესის ჩიხური მდგომარეობიდან გამოყვანა. თავისი წინადადებები ქართულმა მხარემ გადმოსცა დოკუმენტში სათაურით “საგზაო რუკა აფხაზეთში კონფლიქტის ყოვლისმომცველი მშვიდობიანი პოლიტიკური მოგვარებისათვის”.<sup>25</sup> მოცემულ დოკუმენტში განსაკუთრებული მნიშვნელობა პროცესის დარეგულირების საკითხში რუსეთის როლის შემცირებას ენიჭებოდა. კერძოდ, იგულისხმებოდა საკოორდინაციო საბჭოსათვის კონფლიქტის მხარეებს შორის “გაეროს პატრონაჟის ქვეშ” პირდაპირი მოლაპარაკებების ფორუმის ფუნქციის მინიჭება. ამავდროულად, საქართველო აგრძელებდა ბრძოლას დსთ-ს სამშვიდობო კონტინგენტის შემდგომი ინტერნაციონალიზაციის, ან მისი საერთაშორისო პოლიტიკური ძალებით სრული ჩანაცვლების შესახებ გადანიშნული გადაწყვეტილებისთვის. ამავ კონტექსტში ქვეყნის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა ხელისუფლებას დაენყო შესაბამისი სამუშაოები კონფლიქტის ზონებში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, საერთაშორისო საპოლიციო ძალების განთავსების უზრუნველსაყოფად.<sup>26</sup> მოგვიანებით, გაეროს გენერალური ასამბლეის ტრიბუნლიდან სააკაშვილმა მოითხოვა “სამშვიდობო პროცესის ყველა ასპექტის ყოვლისმომცველი მიმოხილვა”, რომელიც არსებული სამშუამავლო და სამშვიდობო ფორმატების “ფუნდამენტური ცვლილებებით” უნდა დასრულებულიყო.

### **კოდორის მოვლენები**

საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ალტერნატიული გზების ძიებაში რუსეთი კოდორის ხეობაში სვანეთის მოსახლეობის აჯანყებას შეეცადა. ხელსაყრელი დასაყრდენი აღმოჩნდა ადგილობრივი ნახევრადგასამხედროებული კონტინგენტის მეთაური, ადრე რუსეთის სპეცსამსახურების და აფხაზეთის ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნებთან კავშირში არაერთხელ შემჩნეული ე.კვიციანი. საპასუხოდ, საქართველოს ხელისუფლებამ ხეობაში სამხედრო განაყოფი და პოლიტიკური ძალები შეიყვანა და წესრიგი აღადგინა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ხეობაში აფხაზეთის ლეგიტიმური (დეფნილობაში მყოფი) მთავრობის განთავსების თაობაზე, ხოლო თავად ხეობას სახელი გადაერქვა და ზემო აფხაზეთი ეწოდა. კვიციანიმა აფხაზეთს შეაფარა თავი და იქიდან რამდენჯერმე სცადა დამუქრებოდა საქართველოს ხელისუფლებას. მოგვიანებით, სამხედრო განაყოფები გამოიყვანეს ხეობიდან, ხოლო პოლიცია, რამდენიმე ასეული კაცის ოდენობით, დატოვეს. ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიწყო ხეობის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალური პროგრამების განხორციელება.

ხეობაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გაძლიერებითა და სტატუს კვოს შეცვლით უკიდურესად უკმაყოფილო რუსეთმა და აფხაზეთის მთავრობამ დაიწყეს ვითომცდა 1994 წლის მოსკოვის ხელშეკრულების დარღვევით იქ განთავსებული “საქართველოს სამხედრო ქვედანაყოფების” გაყვანის მოთხოვნა. მიუხედავად იმისა, რომ ხეობაში რეგულარულად ტარდებოდა საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიისა და დსთ-ს სამშვიდობო ძალების ერთობლივი პატრულირება, რის შედეგადაც ზემოთმოხსენებული ხელშეკრულების დარღვევის დამადასტურებელი ჩვენება არ დაფიქსირებულა, რუსეთის და აფხაზეთის მხარეები ჯიუტად განაგრძობდნენ თავისას. საქართველოს ხელისუფლება, თავის მხრივ, იმიზეზებდა სოხუმის სისტემატურ მუქარას იმის თაობაზე, რომ აფხაზეთი შეეცდებოდა “ყველა შესაძლო მეთოდით ხეობაში დე ფაქტო ადმინისტრაციის იურისდიქციის აღდგენას” და არ თანხმდებოდა ხეობიდან პოლიციის გამოყვანას. ოფიციალური თბილისის ხელში დამატებითი არგუმენტი გახდა 2007 წლის მარტში ხეობაზე განხორციელებული საჰაერო შეტევა,

<sup>25</sup> Abkhazia: Ways Forward, Crisis Group Europe Report No.179, 18 February, 2007, გვ.10

<sup>26</sup> იხ. [http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=98&info\\_id=13089](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=98&info_id=13089)

რომელიც რუსეთის მხრიდან საბოტაჟის გამო არ გამოიძიებულა. შედეგად, ეს საკითხი კონფლიქტის მხარეებს შორის პოლიტიკური მოლაპარაკებების მცდელობისას არაერთხელ გამოხდარა საჯილდაო ქვა.

### პროდასავლური ვექტორის ინტენსიფიკაცია

უკანასკნელ წლებში საქართველოს განვითარების პროდასავლური კურსი სულ უფრო ინტენსიური ხდებოდა. თავიდან, გაკეთდა განცხადებები ქვეყნის დსთ-დან შესაძლო გამოსვლის თაობაზე. მთავრობას დაეველა ამ გადაწყვეტილების შესაძლო შედეგების შესწავლა. ამასთანავე, მთავარი ძალისხმევა მაინც უკვე 2006 წელს ნატო-ში განწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებისკენ იყო მიმართული. მაგრამ, ამ საკითხთან დაკავშირებით ალიანსის წევრებს შორის კონსენსუსის არარსებობის გამო საქართველომ ხსენებული სამოქმედო გეგმა ვერ მიიღო. მეორე მხრივ, 2006 წლის 21 სექტემბერს, ალიანსის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების არაფორმალურ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო-ში საქართველოს განწევრიანებასთან დაკავშირებით ინტენსიური დიალოგის დაწყების თაობაზე. ეს საქართველოს ნატოს პარტნიორობის ფორმატიდან წევრობის კანდიდატის შუალედურ ფორმატზე გადასვლას ნიშნავდა. ნატოსთან თანამშრომლობის სტატუსის ამალგება 2006 წლის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად იქცა. ამას მოჰყვა აშშ-ს სენატში კანონპროექტის შეტანა საქართველოს, ხორვატიის, მაკედონიის და ალბანეთის ნატოში დაჩქარებული წესით მიღებისათვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების განწვევის თაობაზე. კანონპროექტი იმით არის საინტერესო, რომ საქართველო იმ ქვეყნებს შორის სახელდება, რომლებიც განწევრიანების სამოქმედო გეგმას უკვე ახორციელებდნენ. ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ნატოში განწევრიანებას ღიად უჭერდა მხარს. თითქოსდა მადლობის ნიშნად, საქართველომ გადაწყვიტა მკვეთრად გაეზარდა თავისი სამშვიდობო კონტინგენტების რაოდენობა ერაყში და ნატოს ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფის მისიაში (ISAF). შემდგომ, თბილისთან ახლოს მდებარე სამხედრო ბაზაზე “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში სამხედრო-საჰაერო სწავლებები “Cooperative Archer 2007” ჩატარდა. სწავლებებში მონაწილეობა მიიღო ოთხმა ნატოს წევრმა ქვეყანამ. ასევე იმსახურებს ყურადღებას ის ფაქტი, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა განიხილეს საქართველოსათვის რადარული მონაცემების<sup>27</sup> გადაცემის შესაძლებლობის საკითხი. აღსანიშნავია, აგრეთვე, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის “ლოსელოტკ”-ის 65-ე სემინარის თბილისში ჩატარებაც.

თუმცა, ამავდროულად ქართულ საზოგადოებაში დაიწყო დებატები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მოგვარებამდე ნატოში შესვლის მიზანშეწონილობის თაობაზე. ეს დებატები დაემთხვა საქართველოში რუსეთის ელჩის ვ. კოვალენკოს განცხადებას, რომლის თანახმადაც მოსკოვს სურდა საქართველო ნეიტრალურ ქვეყნად ეხილა. მაგრამ, ერთი ოპოზიციური დაჯგუფების აქტივისტების მიერ ინიცირებული ეს დებატები მცირეხნიანი აღმოჩნდა. დებატები 2007 წლის 12 მარტს, პარლამენტის ყველა ფრაქციისა და პოლიტიკური პარტიის მიერ საქართველოს ნატოში შესვლის კურსის მხარდამჭერი მემორანდუმის<sup>28</sup> ხელისმონწერისთანავე შეწყდა. მეორე დღეს კი, პარლამენტმა მემორანდუმის პოლიტიკური მხარდაჭერის მიზნით ერთხმად მიიღო შესაბამისი დადგენილება. ამგვარად, მმართველმა პარტიამ და საპარლამენტო ოპოზიციამ საქართველოს საგარეო პოლიტიკის კურსის ერთიანი ხედვა გამოხატა. რამდენიმე თვის მოგვიანებით, მწვავე შიდაპოლიტიკური კრიზისის დროს ათმა გაერთიანებულმა ოპოზიციურმა პარტიამ, მათ შორის არასაპარლამენტომ, კვლავ განაცხადა ნატოში საქართველოს ინტეგრაციის მხარდაჭერა. საინტერესოა, რომ პოლიტიკურ ძალთა კონსენსუსი მოცემული კურსის ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერას ეფუძნებოდა, რაც ავტორიტეტული სოციოლოგიური კვლევებითაც დასტურდებოდა.<sup>29</sup> ამასობაში, დაჩქარებული ტემპებით მიმდინარეობდა ერთობლივი კონსულტაციები ნატოსთან ინტენსიური დიალოგის ფარგლებში. დროის მცირე მონაკვეთში ხუთი თემატური კონსულტაციის რაუნდი იქნა ჩატარებული. ამასთანავე, ჩატარდა ორი შეხვედრა “26+1” ფორმატით.

<sup>27</sup> ამ განხილვას წინ უსწრებდა ნატოს ქვეყნების ელჩების მიერ 2006 წლის 6 აგვისტოს საქართველოში მომხდარი ინციდენტის შესახებ მსჯელობა (*ჩივილ ჩეორგია*, 23 აგვისტო 2007 წ. [www.civil.ge/rus/article.php?id=14119](http://www.civil.ge/rus/article.php?id=14119))

<sup>28</sup> საქართველოს ნატოში განწევრიანების თაობაზე საპარლამენტო ფრაქციებისა და პოლიტიკური პარტიების მემორანდუმი, იხ. [www.parliament.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=98&info\\_id=15215](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=98&info_id=15215)

<sup>29</sup> იხ. მაგალითად: IRI, USAID, Baltic Surveys/ The Gallup Organization, IPM- “Georgian National Voters Study”, September 2007



### რუსულ-ქართული ურთიერთობების გამწვავება

ქართულ-რუსული უთანხმოებების ფონზე 2006 წლის 31 მარტს რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერა იმ პერიოდში საქართველოსა და რუსეთს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის ლამის ერთადერთი გამოხატულება იყო. მიუხედავად იმისა, რომ წლის ბოლოს მოხერხდა ბუნებრივი აირის მოწოდების თაობაზე შეთანხმების მიღწევა, მთლიანობაში, სიტუაცია დაძაბული რჩებოდა. საქართველოს თხოვნით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა რუსულ-ქართული ურთიერთობების განსახილველად ემზადებოდა, რომლის მსვლელობისას რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ გატარებული მკაცრი სანქციების პოლიტიკისათვის არცთუ სასიამოვნო შეფასებები ელოდა. მაგრამ, მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ვ.პუტინმა გადაწყვიტა ელჩის დაბრუნება საქართველოში<sup>30</sup>, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბიურომ განხილვის ზედმეტი პოლიტიზაციის თავიდან ასაცილებლად დებატები გააუქმა. საქართველოში ელჩის დაბრუნებას ოპტიმიზმით შეხვდნენ და ეს გადაწყვეტილება შეფასდა როგორც სანქციების მოხსნის მომასწავებელი ფაქტი. მისასალმებელი განცხადებების გარდა, პასუხად, თბილისმა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლის თაობაზე პოზიციები შეარბილა. მოიხსნა რუსეთის მიმართ ადრე წაყენებული ყველა მოთხოვნა, გარდა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკონტროლო-გამშვები პუნქტების ლეგალიზებისა. მოსკოვმა მოლაპარაკებებში პროგრესი აღნიშნა<sup>31</sup>. ასეთივე პროგრესის იმედად მალე მოსკოვში მოლაპარაკებებზე გაემგზავრნენ სანქციებში მოხვედრილი ქართული ავიაკომპანიების წარმომადგენლები, ხოლო საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთთან დიალოგის წარმოების მზაობაზე საუბარი დაიწყო. ამასთანავე, დაბრუნებულმა რუსეთის ელჩმა ვ.კოვალენკომ თავის ინტერვიუში მიანიშნა, რომ ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზება დამოკიდებულია საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის კორექტირებაზე. კერძოდ, მან განაცხადა: “რუსეთს სურს იხილოს საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ, რომელსაც ექნება ურთიერთობები ყველა ქვეყანასთან და, ცხადია, კეთილმეზობლური ურთიერთობები რუსეთთან”.<sup>32</sup> საზოგადოებაში ამ განცხადებამ, მთლიანობაში, უკმაყოფილება გამოიწვია და, გარკვეულწილად, მობრუნების წერტილად იქცა – ურთიერთობების “გარკვეული გაუმჯობესება” სწრაფად გაქრა და ამას მოჰყვა ერთმანეთის სანინააღმდეგო “გამლიზიანებლების” წყება: “ურანის სკანდალი”; რუსეთის მიერ აფხაზეთის ადგილობრივი საპარლამენტო არჩევნების ცნობა; თურქეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მიერ რეგიონალური თანამშრომლობის ერთიან ხედვასთან დაკავშირებული “თბილისური დეკლარაციის” მიღება; ნატოს გენერალური მდივნის მიერ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა და ევროატლანტიკური ეიფორია საქართველოში; კავკასიაში ამერიკული რაკეტსანინააღმდეგო სისტემების დაყენების პერსპექტივა; რუსეთის ვერტიმფრენების მიერ კოდორის ხეობის დაბომბვა. პარალელურად, თანდათან დროებით ჩაჩუმებული მტრული რიტორიკაც განახლდა და სულ რაღაც კვირეების განმავლობაში ურთიერთობები კვლავ გამწვავდა. განსაკუთრებული რეზონანსი ჰქონდა კოდორის ხეობის დაბომბვის შემთხვევას. მოგვიანებით გამოქვეყნებული საქართველოში გაეროს მისიის მოხსენება მიანიშნებდა, რომ რუსეთის სამხედრო ვერტიმფრენებს მართლაც შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ კოდორის ხეობის ზემო ნაწილის დაბომბვაში. 2007 წლის მარტის თვეში, მოსკოვმა და თბილისმა კვლავ გაცვალეს მორიგი “თავაზიანობა”: რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს.ლავროვმა შეგვახსენა, რომ “კოსოვოს საკითხის მოგვარების ნებისმიერი გზა პრეცედენტს შექმნიდა”. თავის მხრივ, თბილისმა ადამიანის უფლებების ევროპულ სასამართლოში რუსეთის წინააღმდეგ სახელმწიფო-თაშორისი განაცხადი შეიტანა, სადაც მოითხოვა 2006 წლის 27 სექტემბერიდან რუსეთში მომხდარი საქართველოს მოქალაქეებისა და ეთნიკური ქართველების უფლებების უხეში დარღვევის ფაქტების ცნობა და დეპორტაციის პროცესის შედეგად მიყენებული მორალური და მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

ამგვარად, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები კვლავ უკიდურესად დაიძაბა. მეტიც, 6 აგვისტოს ინციდენტის შემდეგ, როდესაც რუსეთის მოიერიშე თვითმფრინავებმა დაბანითელუბნის (შიდა ქართლი) ტერიტორიაზე “ჰაერი-მინა” ტიპის მართული რაკეტა ჩამოაგდეს, ეს ურთიერთობები უმდაბლეს წერტილს მიუახლოვდა. ამჯერად, რუსეთმა ვერ შესძლო პასუხისმგებლობისგან თავის არიდება, რამეთუ დასავლელ ექსპერტთა ორმა სხვადასხვა ჯგუფმა ცალ-ცალკე ჩაატარა ექსპერტიზა და დაადგინა რუსეთის მხრიდან თვითმფრინავის შემოფრე-

<sup>30</sup> 2006 წელს კრემლმა საქართველოდან უკან იხმო თავისი ელჩი, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ჯამუშობაში ეჭვმიტანილი რუსეთის ოთხი ოფიცერი დააკავა.

<sup>31</sup> Civil Georgia, 2007 წლის 26 იანვარი, იხ. [www.civil.ge/rus/article.php?id=12887](http://www.civil.ge/rus/article.php?id=12887)

<sup>32</sup> Civil Georgia, 2007 წლის 6 თებერვალი, იხ. [www.civil.ge/rus/article.php?id=12952](http://www.civil.ge/rus/article.php?id=12952)

ნის ფაქტი<sup>33</sup>. ნითელუბნის ინციდენტი ერთ-ერთ ყველაზე სკანდალურ მოვლენად იქცა არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, არამედ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ურთიერთობების პრობლემურობა აისახა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვაში, სადაც საქართველო არამეგობრულ მიზნობლად არის მოხსენებული და მას “ეთნიკური ნაციონალიზმის” პოლიტიკის გატარება მიენერება<sup>34</sup>. ჭორივე ქვეყანაში ჩატარებულმა ავტორიტეტულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ რუსეთისა და საქართველოს საზოგადოება ერთმანეთს მტრულად აღიქვამს<sup>35</sup>.

ამ სამუხარო რეალობის ფონზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გამოსწორება ვერ მოხერხდა. ერთადერთ ნათელ ეპიზოდად უნდა ჩაითვალოს ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის დასრულება. 2007 წლის 15 ნოემბერს ბათუმის ბაზა სამხედრო ტექნიკით დატვირთულმა უკანასკნელმა ემელონმა დატოვა. ამრიგად, რუსეთმა ერთი წლით ადრე შეასრულა აღებული ვალდებულება საქართველოდან ბაზების გაყვანის თაობაზე. მაგრამ კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა გუდაუთაში ბაზის დახურვის ფაქტი. თუმცა, ეს ისტორიული მოვლენა რუსთაველის გამზირზე შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობების ფონზე მშფოთვარე ქართული საზოგადოებისთვის თითქმის შეუმჩნეველი დარჩა.

### **რუსეთი – დასავლეთი: დაძაბულობის ფაზა**

ვ. პუტინის მეორე საპრეზიდენტო ვადის შუაში, რიგ მიზეზთა გამო, რუსეთის დამოკიდებულება დასავლეთის მიმართ შესამჩნევად გაცვივდა. ეს, ძირითადად, “ცივი ომის” დასრულების შემდგომ ჩამოყალიბებული და ამერიკის ჰეგემონიაზე დაფუძნებული მსოფლიო წესრიგის რუსეთისთვის სულ უფრო მზარდ მიუღებლობასთან იყო დაკავშირებული. სპეკულირებდა რა ზოგიერთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხზე ტრანსატლანტიკური კონსენსუსის არარსებობით და, ასევე, აცნობიერებდა რა თავის მნიშვნელობას ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის, რუსეთმა თავისი ამბიციების გახმოვანება პრესტიჟული საერთაშორისო ფორუმების მაღალი ტრიბუნებიდან დაიწყო. რუსეთის რევიზიონისტული განწყობების დემონსტრირების კულიმინაციად იქცა **ვ.პუტინის გამოსვლა 2007 წელს მიუნხენში უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე**. “ცივი ომის” დროინდელი ლექსიკის გამოყენებით რუსეთის პრეზიდენტმა აშშ-ს, ევროკავშირს, ნატოს, ეუთოს, და მთლიანად დასავლეთს მძაფრი კრიტიკა დაატეხა თავს. ვ.პუტინის განურჩეველი კრიტიკა ყველას ეხებოდა: აშშ-ს – გლობალურ პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღების მონოპოლიზაციისათვის; ევროკავშირს – კოსოვოს გამო; ნატო-ს – გაფართოებისთვის; ეუთოს – არჩევნების მონიტორინგისთვის; არასამთავრობო ორგანიზაციებს – დემოკრატიის ხელშეწყობისთვის. ჩგამოსვლა იმდენად აგრესიული და პროვოკაციული იყო, რომ მეორე დღეს პრესა უკვე “ახალი ცივი ომის” დაწყებაზე საუბრობდა. ბუნებრივია, რომ პუტინის გამოსვლის შინაარსიც და ტონალობაც ყველასათვის მიუღებელი იყო. ერთი პროკრემლური ინტერნეტ-საიტი წერდა, რომ ეს გზავნილი უარყოფილ იქნა პრაქტიკულად ყველას მიერ – ამერიკელი რესპუბლიკელებით დაწყებული და გერმანიის მწვანეებით დამთავრებული<sup>36</sup>.

ამასობაში რუსეთი, რომელსაც ვერბალური პროტესტი აღარ აკმაყოფილბა, უკვე თავისი ქმედებით ცდილობდა დასავლეთის გამონწვევას. დასაწყისში, მოსკოვი დაიმუქრა, რომ შეაჩერებდა თავის მონაწილეობას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებაში, თუკი ხელშეკრულება მისდა სასარგებლოდ არ შეიცვლებოდა და მის მიღმა ძალთა ახალი ბალანსის ჩამოყალიბებისას რუსეთის მიმართ დათმობები არ გაკეთდებოდა. ვენაში, რუსეთის თხოვნით მოწვეულ სპეციალურ კონფერენციაზე, მოსკოვი დაჟინებით მოითხოვდა ხელშეკრულების სასწრაფო რატიფიკაციას და, ამავდროულად, ცდილობდა თანხმობის მიღებას ამ საკითხის გამიჯვნის თაობაზე ე.წ. სტამბოლის ვალდებულებებისაგან, სადაც საუბარია საქართველოდან და მოლდოვადან სამხედრო ბაზების გამოყვანაზე. უუნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული საკითხების გარდა, მოსკოვი ცდილობდა სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვასთან, ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტებთან, ბულგარეთში და რუმინეთში

<sup>33</sup> S.Cornell, D. Smith, F. Starr, “The August 6 Bombing Incident in Georgia: Implications for the Euro-Atlantic Region”, Central Asia – Caucasus Institute, Silk Road Studies Program, Silk Road Paper, October 2007

<sup>34</sup> რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა, საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2007 წლის 27 მარტი. იხ. [www.mid.ru/brp\\_4.nsf/sp/3647DA97748A106BC32572AC4DD](http://www.mid.ru/brp_4.nsf/sp/3647DA97748A106BC32572AC4DD)

<sup>35</sup> იხ. მაგალითად, IRI, USAID, Baltic Surveys/ The Gallup Organization, IPM, op.cit.;

ასევე [http://news.bbc.co.uk/1/hi/russian/russia/newsid\\_6709000/6709933.stm](http://news.bbc.co.uk/1/hi/russian/russia/newsid_6709000/6709933.stm)

<sup>36</sup> P.Felgenhauer, “A Potemkin Democracy, a Potemkin Free Market, and a Potemkin Arms Race”, Eurasia Daily Monitor, Volume 4, Issue 32, 14 February 2007.

ამერიკული სამხედრო ინფრასტრუქტურის განლაგებასთან და კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით დათმობის მიღწევას. მას შემდეგ, რაც რუსეთი მიხვდა, რომ დათმობას არავინ აპირებდა, მოსკოვმა მიიღო გადაწყვეტილება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულებაში მონაწილეობის შეჩერების თაობაზე, რის შესახებაც მან პარტნიორებს 2007 წლის 14 ივლისს აცნობა. როგორც შემდგომ გაირკვა, ამ გადაწყვეტილებამ რუსეთს ხელ-ფეხი გაუხსნა და საშუალება მისცა ნებისმიერი რაოდენობის ჩვეულებრივი შეიარაღების კონცენტრირება მოეხდინა ე. წ. ფლანგებზე, ანუ კავკასიასა და მოლდოვაში. მოგვიანებით, ეს შეიარაღება საქართველოს წინააღმდეგ ომში იქნა გამოყენებული, ხოლო, შემდგომ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის პროცესში.

მეორე აშკარა გამოწვევა დასავლეთისთვის იყო **რუსეთის პოზიცია კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით**. მოსკოვი იმუქრებოდა და ბოლოს და ბოლოს გაეროს უშიშროების საბჭოში დაბლოკა “ახტისაარის გეგმა”, სადაც აღწერილი იყო სერბეთის პროვინციის კოსოვოს გამოყოფის პროცესი. მოსკოვის აზრით, გეგმის მთელი რიგი დებულებებისა ეწინააღმდეგებოდა გაეროს წესდებას და ამ ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციას. ამიტომ, რუსეთი დაჟინებით მოითხოვდა საკითხის იმგვარ გადაწყვეტას, რომელიც სერბებსა და კოსოვოელებს შორის მოლაპარაკებების შედეგად შემუშავებულ ურთიერთმისაღებ ფორმულას დაეფუძნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა, რუსეთი მაინც თავისი წინადადების გატანას ცდილობდა. დასავლეთის დაშანტაჟების მიზნით, ოფიციალურმა მოსკოვმა დაიწყო მინიშნების კეთება, რომ თუკი მოხდებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, ამ შემთხვევაში რუსეთსაც შეეძლო პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული სეპარატისტული ანკლავების დამოუკიდებლობის აღიარება. რუსეთის “სიჯიუტის” ნამდვილი მიზეზი კი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსკოვს სურდა შეექმნა დაუსრულებელი მოლაპარაკებების პრეცედენტი, ე.ი. მოეხდინა “გაყინული კონფლიქტების ინსტიტუციონალიზაცია.” შემდგომში ამგვარი მიდგომა შეიძლება გამოყენებულიყო საქართველოსა და მოლდოვაში, სადაც მოსკოვმა უკვე დიდი ხნის წინ განიმტკიცა მთავარი მედიატორის ფუნქცია. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მცდელობებმა კოსოვოს სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების პოსტსაბჭოთა სივრცეში კონფლიქტების დარეგულირების საკითხთან მიზნის თვალსაზრისით კიდევ ერთი, დამატებითი სოლი ჩაარჭო ქართულ-აფხაზეთურ კონფლიქტში მხარეებს შორის ურთიერთობაში, ამცირებდა რა მათ მოტივაციას ეწარმოებინათ პირდაპირი მოლაპარაკებები.

მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის ნოემბერში თბილისში მომხდარი მოვლენების<sup>37</sup> ფონზე აღარავინ ვარაუდობდა 2008 წლის მარტში, ბუქარესტში დაგეგმილ ნატოს სამიტზე საქართველოსთვის ალიანსში განწევრიანების სამოქმედო გეგმის მიცემის საკითხის განხილვას, ეს თემა მაინც დადგა დღის წესრიგში. ქართული საზოგადოების ყველა დონეზე ალიანსში შესვლის კურსის მტკიცე მხარდაჭერამ, სწრაფად გატარებულმა სამხედრო რეფორმებმა, ამ რეფორმების ნატოს მისიების მიერ დადებითმა შეფასებებმა, ასევე, ნატოს მიერ ჩატარებულ ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის შთამბეჭდავმა მასშტაბებმა ხელი შეუწყო მოცემული საკითხის სამიტზე განსახილველად გამოტანას. ამავდროულად, რუსეთის დიპლომატია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გადაერწმუნებინა ცალკეული ევროპული ქვეყნები მოცემული საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზანშეწონილობაში. მართლაც, გერმანია და საფრანგეთი, რომლებიც პუტინ-მედევედების ახლადფორმირებად ტანდემს განიხილავდნენ როგორც ევროპისთვის უნიკალურ “შესაძლებლობათა ფანჯარას” რუსეთთან “საერთო მომავლის” შენების კონტექსტში, სათავეში ჩაუდგნენ საქართველოსათვის (და უკრაინისათვის) ნატოში განწევრიანების სამოქმედო გეგმის მინიჭების მონინააღმდეგეთა რიგებს. სამიტის წინ გერმანიის კანცლერმა ქ-მა მერკელმა განაცხადა, რომ “ქვეყნები, რომლებიც გარშემორტყმულნი არიან რეგიონალური და შიდა კონფლიქტებით, ვერ გახდებიან ნატოს წევრები”,<sup>38</sup> ხოლო საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა ფილონმა შემდეგნაირად ახსნა თავისი ნეგატიური პოზიცია საქართველოსათვის სამოქმედო გეგმის მინიჭების თაობაზე: “ეს არასწორი პასუხია პოლიტიკურ წონასწორობაზე დასავლეთში, ასევე ევროპასა და რუსეთს შორის, და გვსურს ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთთან დიალოგი გაიმართოს.”<sup>39</sup> მიუხედავად ამერიკული დელეგაციისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნების წარმომადგენლების უზომო ძალისხმევისა, სამიტზე საფრანგეთის და გერმანიის პოზიციის შეცვლა მაინც ვერ მოხერხდა და, შე-

<sup>37</sup> იგულისხმება ქალაქის ცენტრში მრავალათასიანი დემონსტრაციის უხეში დაშლა და ხელისუფლების მიერ პოპულარული ოპოზიციური ტელეარხის დახურვა.

<sup>38</sup> Civil Georgia, 2008 წლის 3 აპრილი, იხ. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16100&search=>

<sup>39</sup> Civil Georgia, 2008 წლის 1 აპრილი, იხ. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16084&search=>

დეგად, საქართველოსა და უკრაინისათვის ნატოში განწევრიანების სამოქმედო გეგმის საკითხი არ გადანყდა. თუმცა, დამაიმედებელ რეზულტატად შეიძლება ჩაითვალოს ჩანაწერი ბუქარესტის სამიტის საბოლოო კომუნიკეში, სადაც ნათქვამია: “ნატოს მოკავშირეებმა მოილაპარაკეს, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ნატოს წევრები”, ხოლო “სამოქმედო გეგმის საკითხს ნატოს მინისტრიალი მიუბრუნდება მომავალ დეკემბერს”. ერთი მხრივ, მოცემული გადაწყვეტილება შორეულ პერსპექტივაში რუსეთს კარგს არაფერს უქადის; მაგრამ მოკლევადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით კომუნიკეს “უჩვეულო ენა”, ასევე საქართველოსა და უკრაინისათვის სამოქმედო გეგმაზე უარის თქმის ზემოთაღნიშნული არგუმენტაცია, რუსეთისთვის ნიშნავდა იმას, რომ გამოჩნდა უნიკალური და, შესაძლოა, უკანასკნელი შანსი ყველაფერი გაკეთებულიყო ნატოს გაფართოების საკითხის დღის წესრიგიდან დიდი ხნით მოხსნისთვის. სხვა სიტყვებით, საჭირო იყო სწრაფად გადადგმულიყო შესაბამისი ნაბიჯები კონფლიქტის ზონებში სიტუაციის გასამწვავებლად, რათა ნატოს მერყევი ქვეყნები კიდევ უფრო მეტად დაეჭვებულიყვნენ ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოების მიზანშეწონილობაში.

### **კონფლიქტურ ზონებში დაძაბულობის ესკალაცია**

საქართველოს მთავრობა აგრძელებდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ნატოში ინტეგრაციაზე მიმართულ ძალისხმევას. აღსანიშნავია, რომ ეს ხდებოდა შიდაპოლიტიკური კრიზისის მიმდინარეობის ფონზე. სააკაშვილს უალრესად ესაჭიროებოდა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პროგრესი, რათა ქვეყნის შიგნით საკმაოდ შერყეული რეპუტაცია გამოესწორებინა. საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მშვიდობიანი საშუალებებით მოგვარების სურვილის ავლენდა, თუმცა მის გულწრფელობაში აფხაზური მხარე არ იყო დარწმუნებული. აქვე, აღნიშნულ სურვილს ემატებოდა თბილისის სწრაფვა ნატოს ზოგიერთი “მერყევი” წევრისთვის გაეფანტა სკეფსისი და “გაყინული კონფლიქტების” თემის დღის წესრიგიდან ამოღებით საქართველოსთვის ალიანსისკენ გზა გაეკვალა. ამით იყო მოტივირებული **ნატოს სამიტის წინ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თაობაზე მორიგი სამშვიდობო ინიციატივით სააკაშვილის გამოსვლა**. ახალი წინადადებების პაკეტი ნამდვილად საინტერესო თემებს შეიცავდა, როგორცაა, მაგალითად, გალის რაიონში ერთობლივი ეკონომიკური ზონის შექმნა, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია და ა.შ. თუმცა, წინა ვერსიების მსგავსად, ახალ პაკეტსაც მთავარი ნაკლოვანება ახასიათებდა: იგი არასწორ ტაქტიკას ეფუძნებოდა და კონფლიქტის დარეგულირებას ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრით დაწყებას გულისხმობდა. შესაბამისად, ახალ ინიციატივას თავისი წინამორბედების ბედი ეწია, – აფხაზურმა მხარემ ის უარყო.

ამასობაში, **რუსეთმა დაიწყო ხსენებული უნიკალური “შესაძლებლობის ფანჯრის” გამოყენება**. თავიდან, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი და გენერალური შტაბის უფროსი დამუქრნენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, ყველაფერს გააკეთებდნენ, ძალის გამოყენების ჩათვლით, “რათა არ დაეშვათ საქართველოს ნატოში განწევრიანება.”<sup>40</sup> აღვნიშნავთ, რომ რუსეთი, ჯერ კიდევ 2008 წლის მარტში ცალმხრივი წესით გამოვიდა დსთ-ს ქვეყნების მიერ 1996 წელს აფხაზეთის წინააღმდეგ დაწესებული ეკონომიკური და სამხედრო ემბარგოს რეჟიმიდან, ხოლო ნატოს სამიტის დასრულებისთანავე მოსკოვი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას შეუდგა, რის ფარგლებშიც აფხაზეთში სარკინიგზო-საინჟინრო ჯარების ნაწილები, სადესანტო ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა შეიყვანეს; პარარელურად, ჩრდილო კავკასიაში 58-ე არმიის უპრეცედენტო მასშტაბის სწავლება ჩატარდა, სადაც პირობით მოწინააღმდეგედ საქართველო ითვლებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სწავლების დასრულების შემდეგ არმია აღარ დაბრუნდა მუდმივი დისლოკაციის ადგილზე, არამედ დარჩა საქართველოს საზღვრებთან მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში, შეიარაღებული, სანავიგატა და საკვებით უზრუნველყოფილი. ამავდროულად, სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ადმინისტრაციები, მოსკოვის კარნახით, თავს არიდებდნენ მოლაპარაკებებს, ხოლო ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ დაძაბულობის მაღალ დონეს ინარჩუნებდნენ.

ევროკავშირის ლიდერებმა, რომელთაც ნატოს სამიტზე თავიანთი პოზიციის დაფიქსირებით, პრაქტიკულად, მწვანე შუქი აუნთეს რუსეთს, გააცნობიერეს შექმნილი ვითარების საშიშროება. როდესაც ამკარა გახდა, რომ რუსეთი ხელს უწყობს კონფლიქტის ზონებში დაძაბულობის გაძლიერებას, ევროპელებმა სინდისის ქენჯნა იგრძნეს და გადაწყვიტეს **ევროკავშირის**

<sup>40</sup> Civil Georgia, 2008 წლის 9 და 11 აპრილი, იხ. <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16147search=>  
და <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16160&search=>

**ფარგლებში აქტიურად ჩართულიყვნენ კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.** თავიდან, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმაღლესი წარმომადგენელი ბ-ნი ხავიერ სოლანა შეეცადა კონფლიქტის მხარეებს შორის საშუამავლოდ ნიადაგის მოსინჯვას. იგი ჩამობრძანდა საქართველოში, გაესაუბრა კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, მაგრამ მისმა ვიზიტმა შედეგი არ მოიტანა, რადგან სათანადოდ მომზადებული არ იყო. მოგვიანებით, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბ-ნმა შტაინმაიერმა სპეციალურად შემუშავებული სამშვიდობო გეგმა ჩამოიტანა. სამწუხაროდ, ეს ნაბიჯები დაგვიანებული აღმოჩნდა, – როგორც ჩანს, რუსეთს უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი საკუთარი გეგმის განხორციელება და მან, აფხაზეთის მხარის დახმარებით, საჩქაროდ “დამარხა” ბ-ნების სოლანასა და შტაინმაიერის ინიციატივები.

### **საქართველო-რუსეთის ომი: ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?**

თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში 2008 წლის აგვისტოს თვეში კავკასიაში მომხდარ მოვლენებს მკვიდრად უჭირავს წამყვანი პოზიციები. პოლიტოლოგები და ისტორიკოსები კიდევ დიდხანს იმსჯელებენ ომის მიზეზებსა და შედეგებზე, რომელიც ბერესთოვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მაგრამ გამოცდილ დამკვირვებელს არ გამოეპარებოდა ის პროცესები და მოვლენები, რომელთაც ბოლოს და ბოლოს ამ ომის გარდუვალობა განაპირობეს. დღესდღეობით ის კი არ არის მნიშვნელოვანი, თუ ვინ დაიწყო ომი – საქართველომ თუ რუსეთმა? არამედ, მთავარია გავარკვიოთ იყო თუ არა იგი გარდაუვალი და, თუ იყო, მაშინ ვის მოეთხოვება ამ ომზე პასუხი? **და** კიდევ, ომის შემდგომ შექნილი სტატუს კვო წარმოადგენს თუ არა ახალ ჩიხურ სიტუაციას და, თუ წარმოადგენს, არსებობს თუ არა აქედან გამოსავალი?

**კრიზისის ხასიათი და საფუძველი.** 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში დაწყებულმა სამხედრო მოქმედებებმა უსწრაფესად იქონია გლობალური რეზონანსი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა უმრავლესობა ამ მოვლენებს რუსეთ-საქართველოს ომის კვალიფიკაციას აძლევს, კრიზისისთვის გლობალური მასშტაბის მინიჭების მიზეზი მის მრავალგანზომილებიანობაშია. ერთი მხრივ, კრიზისის საფუძველს ქართულ-აფხაზეთური და ქართულ-ოსური დაპირისპირება წარმოადგენს, რომლის ფესვებიც ჯერ რუსეთის იმპერიის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის მიერ კავკასიაში წარმოებული პოლიტიკიდან მომდინარეობს. დღევანდელი კონფლიქტის სიმწვავე, მნიშვნელოვანწილად, 90-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარმა სისხლიანმა კონფლიქტებმა განაპირობა, რის გამოც ამ დაპირისპირებამ ეთნოპოლიტიკური ხასიათი შეიძინა. მეორე მხრივ, კრიზისი განპირობებულია რუსეთ-საქართველოს შორის არსებული რთული ურთიერთობებით, რომელიც სათავეს “პერესტროიკის” ეპოქის ბოლო პერიოდიდან იღებს. დღევანდელი რუსული ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის (ნაიკითხვით: რუსეთის იმპერიის დაცემის — ა.გ.) ბიძგი, სხვასთან ერთად, 80-იან წლებში საქართველოში დაწყებულმა ეროვნულ-განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ მისცა. ამას გარდა, საქართველოს მიერ არჩეული დემოკრატიული განვითარების გზა და ევროატლანტიკური ორიენტაცია იმავე ელიტის მიერ რუსეთისათვის მტრულ და მისი პოლიტიკისათვის სახიფათო მოვლენად აღიქმება. მიიჩნევა, რომ საქართველოში დასავლეთის მსგავსი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც, ამასთანავე, ნატოს წევრიც იქნება, პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გავლენის შენარჩუნებისათვის და მისი ნეოიმპერიულ ამბიციებზე დაფუძნებული სტარტეგიული ამოცანის – სუპერსახელმწიფოს აღორძინების - განხორციელებისათვის ეგზისტენციალურ საშიშროებას წარმოადგენს. ამგვარი აღქმის გამო, რუსეთის საზოგადოებრივ შეგნებაში შეიქმნა საქართველოს როგორც რუსეთისათვის ყველაზე მტრულადგანწყობილი ქვეყნის ხატი. რადგანაც ვერც ეკონომიკური სანქციებით, ვერც პოლიტიკურ სპექტრში “მეხუთე კოლონის” გაძლიერებით ვერ მოხერხდა საქართველოს არჩეული კურსიდან გადახვევის იძულება, რუსეთში კვლავ მიიჩნიეს, რომ ყველაზე ეფექტიანი გზა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული “გაყინული კონფლიქტების” მანიპულირების გზით საქართველოს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმა იქნებოდა. მესამე მხრივ, ცივი ომის შედეგებით უკმაყოფილო და არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი რუსეთი საქართველოს ჩაგვრით ცდილობს სამაგიერო გადაუხადოს დასაღვთოს, და უხეშად არღვევს რა საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და საერთაშორისო ურთიერთობების სტანდარტებს, ცდილობს არსებული მსოფლიო წესრიგი შეცვალოს. რუსეთის ამგვარი პოზიცია – დასავლეთის გამოწვევაა, და იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოხერხდება მისი ცივილიზებული ქცევის ჩარჩოებში დაბრუნება, შესაძლებელი გახდება საუბარი იმაზე, თუ რამდენად მოახერხა რუსეთმა და დასავლეთმა ურთიერთობების შემდგომი გაცივების თავიდან აცილება.

**ვინ არის დამნაშავე?** გაუთვითცნობიერებელი დამკვირვებლები დაჟინებით მოითხოვენ დადგინდეს, მაინც ვინ გაისროლა პირველმა. უზარმაზარი რაოდენობის სტატიებსა და ანგარიშებში, ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებზე მითითებით, მომხდარის შესახებ მოყვანილია

არგუმენტები როგორც ქართული, ისე რუსული ვერსიის სასარგებლოდ. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ სტატიების ხასიათი, არცთუ იშვიათად, მიმდინარე პროპაგანდისტული ომის კონიუნქტურის მიხედვით განისაზღვრება, რაზეც დიდი თანხები იხარჯება. ისტორიოგრაფიკის მნიშვნელოვანია ზუსტად დადგინდეს, თუ როგორ ვითარდებოდა 8 აგვისტოს ღამეს მოვლენები, მაგრამ კრიზისის გამომწვევი პოლიტიკური სუბიექტების პასუხისმგებლობის სამართლიანი განსაზღვრისათვის ყურადსაღებია ის პროცესები, რომლებიც წინ უძღოდა საომარ მოქმედებებს. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მინიმუმამდე დავიყვანოთ ანალიზის ცდომილება, რომელიც შესაძლოა მხარეების მიერ პროპაგანდისტული მიზნებით სიმართლის განზრახ დამახინჯებით იყოს განპირობებული, ან ტექნიკური ხასიათის ინფორმაციის არასრულფასოვნებით. ვიმედოვნებთ, რომ ევროკავშირის მიერ ამ მიზნებისთვის შექმნილი კომისია შესძლებს სიტუაციაში ნათელის შეტანასა და ზემოხსენებულ კითხვაზე პასუხის გაცემას.<sup>41</sup> მანამდე კი, ობიექტურობისათვის აღვნიშნავთ, რომ აგვისტოს კრიზისის წინაპირობების შექმნის პასუხისმგებლობის წილი სხვადასხვა ხარისხით ეკისრებათ როგორც რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებას, ისე სეპარატისტული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციასა და დასავლეთის ცალკეულ ქვეყნებს.

**რუსეთის ხაფანგი.** ვ. პუტინის პრეზიდენტობის პირველი ვადის დასრულებისას რუსეთში აშკარა გახდა, რომ საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი “ფერადი რევოლუციების” და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების ფონზე, პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენის შენარჩუნება სულ უფრო საეჭვო ხდებოდა. და მართლაც, საქართველომ მნიშვნელოვნად დააჩქარა ნატოში განევრიანებისათვის აუცილებელი რეფორმების გატარება და, პარარელურად, შეეცადა მკვდარი წერტილიდან დაედრა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დარეგულირების “გაყინული” პროცესები. მათი “გალობა”, ძირითადად, სამშვიდობო პროცესებში რუსეთის როლის მკვეთრ შესუსტებასა და მისი მონოპოლიური უფლებების შეზღუდვას გულისხმობდა. საქართველოს დიპლომატიამ ამ საკითხთან დაკავშირებით შესძლო საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება. რუსეთისათვის, ბუნებრივია, ეს სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა და ამიტომ, გადაწყვიტა რა თავად საქართველოს “გატეხვა”, 2006 წელს საქართველოს წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციები შემოიღო. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ ამგვარი გზით სოციალური აფეთქების და საქართველოს პოლიტიკური კურსის შეცვლა არ მოხერხდებოდა, გადაწყდა სხვა გზები მოძიებულიყო. დროც არ იცდიდა: ერთი მხრივ, სულ უფრო რთული ხდებოდა საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებაზე ორიენტირებული ინიციატივების “მოგერიება”. მეორე მხრივ, 2008 წლის გაზაფხულზე ნატოს ბუქარესტის სამიტზე აშკარად გამოიკვეთა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განევრიანების პერსპექტივა. ერთადერთი, რაც რუსეთს სასწრაფოდ შეეძლო განეხორციელებინა – საქართველოს სამხედრო პროვოკაციაში ჩათრევა იყო. ეს კონფლიქტის ზონებში სიტუაციის უკიდურესი გამწვავებით მიიღწეოდა და რუსეთმაც სასწრაფოდ დაიწყო შესაბამისი მოქმედების გეგმის განხორციელება (იხ. ქვეთავი “კონფლიქტურ ზონებში დაძაბულობის ესკალაცია”).

**სეპარატისტების სიჯიუტე.** აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პოზიცია თბილისთან მიმართებაში, რუსეთთან შეთანხმებით, უკიდურესად ხისტი და ურყევი იყო. სისტემატურად ხდებოდა საქართველოს ხელისუფლების ან დამოუკიდებელი მესამე მხარეების მიერ შემუშავებული სამშვიდობო ინიციატივების განხილვის გარეშე უარყოფა. უკანასკნელად ეს მოხდა 2008 წლის ივლისში, როდესაც სეპარატისტებმა “ჩააგდეს” გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის მიერ მხარეებისადმი წარდგენილი კონფლიქტის დარეგულირების გეგმა. ამავდროულად, სეპარატისტული მთავრობები ბრმად აგრძელებდნენ რუსეთიდან წამოსული ინსტრუქციების შესრულებას. კერძოდ, უარს ამბობდნენ თბილისთან მოლაპარაკებაზე, რისთვისაც იყენებდნენ ნებისმიერ მოგონილ თუ არაარსებით საბაბს, ანდა გამომწვევი სიჯიუტით ითხოვდნენ მოლაპარაკებებისა და სამშვიდობო ოპერაციების ძველი, დრომოჭმული ფორმატების შენარჩუნებას. და რაც მთავარია, სეპარატისტული მთავრობები არ ეწინააღმდეგებოდნენ კონფლიქტის ზონებში რუსეთის მიერ განსაკუთრებულად პროვოკაციული ფორმებით სამხედრო პოტენციალის არალეგალურ კონცენტრაციას.

**საქართველოს მცდარი სტრატეგიული გათვლა.** 2003 წელს მოსულმა საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მთავარი სტრატეგიული შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც რუსეთის მხრიდან პოტენციური ობსტრუქციის საფრთხის ფონზე შესაძლებლად ჩათვალა დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ერთდროულად, პარალელურ რეჟიმში, აღედგინა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და ნატოში ინტეგრაციის ამოცანაც გადაეწყვიტა. ასევე აღსანიშნავია, რომ სა-

<sup>41</sup> მოცემულ ქვეთავზე მუშაობისას ხსენებული კომისიის დასკვნა ჯერ არ იყო გამოქვეყნებული.

ქართველოს ხელისუფლებამ ვერა და ვერ შესძლო კონფლიქტის დარეგულირების სწორი ხედვის შემუშავება. საქართველოს ხელისუფლების პოზიციის მთავარი ნაკლი მის არათანმიმდევრულობასა და მცდარ წარმოდგენებში მდგომარეობდა. ნაცვლად იმისა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებთან პირდაპირ დიალოგზე ეზრუნა, საქართველოს ხელისუფლება მუდმივად ექებდა მათზე პირდაპირი ან ირიბი ზეწოლის გზებს. ქართული მხარის სამშვიდობო ინიციატივების აქცენტი, ნაცვლად ნდობის აღდგენისა და თანდათანობით დაახლოებაზე ორიენტირებული ღონისძიებებისა, ერთიანი საქართველოს ფარგლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრისაკენ იყო მიმართული. სეპარატისტებისათვის ეს დამატებითი საბაზი იყო იმისათვის, რომ არ დამსხდარიყვნენ მოლაპარაკებების მაგიდასთან და, ამგვარად, ირიბად შეეწყობდა ხელი რუსეთის გეგმის განხორციელებისთვის, რომელიც კონფლიქტის მხარეებს შორის კონფრონტაციის გამწვავებას გულისხმობდა. ამ ფონზე საქართველოს ხელისუფლებაში თანდათან გაძლიერდა კონფლიქტის ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის მომხრეთა პოზიციები. “ქორების” არგუმენტები შეიარაღებული ძალების მშენებლობის დაჩქარების სასარგებლოდ სულ უფრო წონადი ხდებოდა და, შედეგად, გაიზარდა რუსეთის მიერ ინსპირირებულ პროვოკაციებზე რეაგირებისაგან თავის არიდების თაობაზე დასავლეთიდან მომდინარე გაფრთხილებების იგნორირების საფრთხე. როგორც ჩანს, 2008 წლის ზაფხულში საქართველოს ხელისუფლებაში საბოლოოდ მომწიფდა რწმენა, რომ პროვოკაციის ან ხელსაყრელი ვითარების შემთხვევაში ქართულ არმიას ნებისმიერი ამოცანის შესრულების უნარი შესწევდა.

**დასავლეთის ზოზინი.** დასავლეთი დიდხანს არიდებდა თავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირების პროცესებში ჩარევას. ერთი მხრივ, იგი აშკარად უფრთხობდა “რუსეთის ფაქტორს”, ხოლო მეორე მხრივ – დასავლეთმა კარგად არც იცოდა რა უნდა ელონა. შედარებითი აქტიურობა შეიმჩნეოდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, თუმცა, მისი როლი, ძირითადად, საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივების მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა. რაც შეეხება ევროკავშირს, კონფლიქტების “გაღობაში” იგი მას შემდეგ დააინტერესა, რაც საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკას შეუერთდა. თუმცა, ეს ინტერესი არც ისეთი ძლიერი იყო, რომ ევროკავშირს კონფლიქტის დარეგულირების საქმეში წამყვანი როლი ეკისრა. პირიქით, იგი მუდმივად გაურბოდა ამგვარ როლს და გაეროსა და ეუთოს ეგიდით მიმდინარე პროექტების ფინანსური მხარდაჭერის მეორეხარისხოვანი როლით კმაყოფილდებოდა. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაზე მოლაპარაკებების დროს არაერთხელ ჰქონია ადგილი ცხარე დისკუსიას მასში კონფლიქტების დარეგულირების სფეროს, როგორც საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულების, ჩართვის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში კონფლიქტის დარეგულირების ღონისძიებები მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტულს. აღნიშნულია მხოლოდ, რომ “მოლაპარაკებების მექანიზმი უფრო ეფექტური უნდა გახდეს”, რომ საჭიროა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის როლის გააქტიურება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი შეტანილ უნდა იყოს ევროკავშირსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დიალოგის ფორმატში და ა.შ. ამდენად, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმაში არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის კონკრეტული ქმედება კონფლიქტის დარეგულირების საქმეში ევროკავშირის როლის გაფართოების მიმართულებით. ნიშანდობლივია, რომ ამ კონტექსტში გამოცოცხლების პირველი სერიოზული ნიშნები 2008 წლის აპრილში ნატოს სამიტის შემდგომ გამოჩნდა. საქმე იმაშია, რომ ამ სამიტზე არ იყო მიღებული საქართველოსათვის ნატოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმის შეთავაზების გადაწყვეტილება, რაც, ძირითადად, ალიანსის წევრი ევროპული სახელმწიფოების ერთი ჯგუფის პოზიციის გამო მოხდა. ამგვარი პოზიციის გასამართლებლად, სამწუხაროდ, მოტანილი იყო იმგვარი არგუმენტები, რომელთაც რუსეთი აცდუნეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ისეთი ქმედებებისკენ, რომლებიც პროვოკაციული ფორმით ფეხქვეშ თელავდა საქართველოს სუვერენიტეტს. ევროკავშირის შემდგომი მცდელობები კონფლიქტის დარეგულირების პროცესში აქტიური ჩართვის გზით სიტუაციის გამოსწორებისა უნაყოფო აღმოჩნდა. სამხედრო მანქანა უკვე ჩართული იყო და მზარდ დაძაბულობას ომამდე ერთი ნაბიჯილა აშორებდა (იხ. ქვეთავი “რუსეთი – დასავლეთი: დაძაბულობის ფაზა”). ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო სამხრეთ ოსეთში საომარ მოქმედებათა დაწყებას და, როგორც უკვე ითქვა, ამაზე პასუხისმგებლობა სხვადასხვა ხარისხით ყველას აწევს.

## 2.1. ომის შედეგები

ავგისტოს კრიზისი, მისი ზეგავლენა რეგიონალური თუ გლობალური უსაფრთხოების მდგომარეობაზე, როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს დარჩება პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგების ყურადღების ცენტრში. ინტერესი, პირველ რიგში, ოთხ ძირითად კითხვაზე პასუხის მოძიებას უკავშირდება: (ა) მოხერხდება თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ნორმალური პროცესის აღდგენა და, აქედან გამომდინარე, დესტაბილიზაციის კერების სხვა ქვეყნებზე და რეგიონებზე გავრცელების თავიდან აცილება? (ბ) დარჩა თუ არა შერიგების რეალური ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და სამხრეთელ ოსებს შორის? (გ) მოხერხდება თუ არა მოძლიერებული და ავტორიტარული რუსეთის “მოთვინიერება” და საერთაშორისო ურთიერთობების ცივილურ ჩარჩოებში მოქცევა? (დ) აღმოჩნდება თუ არა ქმედითუნარიანი ევროკავშირი და მისი ხელთარსებული საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტები ხსენებული ამოცანების გადასაჭრელად? (ე) როგორი უნდა იყოს ახალ ვითარებაში ნატო-ს ადგილი და როლი ევროპული უსაფრთხოების არქიტექტურაში? დღეს ამ კითხვებზე მზა პასუხი არ არსებობს, მაგრამ ყველას ესმის, რომ ჯერ კიდევ მომხდარის გააზრების პროცესი მიდის. ავგისტოს კრიზისმა ყველა თავისებურად ჭეშმარიტების წამის წინ დააყენა: სდება შეხედულებების გადაფასება, სტერეოტიპების რღვევა, ახლებური მსოფლალქმის ჩამოყალიბება და ა.შ.

ავგისტოს კრიზისის მრავალგანზომილებიანი ხასიათიდან გამომდინარე, მისი შედეგები ასევე მრავალპლანიანია. საქართველოსათვის ამ მოვლენათა ჯამური შედეგი განსაკუთრებით მძიმეა. ომის უშუალო და პირდაპირ უარყოფით შედეგებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

- თვალსაწიერ მომავალში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა დაიკარგა;
- დამატებითი ათი ათასობით იძულებით გადაადგილებულ პირთა გაჩენით დამძიმდა სოციალური ფონი;
- დაიკარგა ქსნის (ახალგორის რაიონი, სამხრეთ ოსეთი) და კოდორის (აფხაზეთი) ხეობებზე იურისდიქცია;
- პოლიტიკური რისკ-ფაქტორების გაზრდის შედეგად შემცირდა ინვესტორთა ნდობა;
- ქვეყნის ეკონომიკამ კი გაძლო, მაგრამ უფრო მონყვლადი გახდა მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენის წინაშე;
- დიდი ზარალი მიადგა ინფრასტრუქტურის ცალკეულ ობიექტებს, ეკოსისტემას; განადგურდა და/ან ქვეყნის საზღვრებს გარეთ გატანილ იქნა ძვირადღირებული შეიარაღება;
- რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ არსებული ტრადიციული პარტნიორების მხრიდან საქართველოსადმი როგორც ხელსაყრელ და საიმედო პარტნიორის მიმართ ნდობა შესუსტდა;
- საზოგადოებაში იმძლავრა სასონარკვეთამ, გაიზარდა შიდა დესტაბილიზაციის ალბათობა.

ომის ყველაზე სერიოზულ შედეგს, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე გავლენას მოახდენს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით და იქ საკუთარი სამხედრო ბაზების განლაგებით შექმნილი ახალი სტატუს კვო წარმოადგენს. საინტერესოა, რომ ამ საკითხში რუსეთს არაფინ დაუჭირა მხარი. იგი მსოფლიოში პრაქტიკულად სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, მათ შორის თავის ე.წ. სტრატეგიულ პარტნიორებს შორის დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში. მიუხედავად ამისა, დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვალსაწიერ მომავალში საქართველოს და მის პარტნიორებთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკას განაპირობებს ზემოხსენებული სტატუს კვოს ლეგიტიმაციის გზით ომის შედეგად რეგიონში მოპოვებული სტრატეგიული პოზიციების შენარჩუნების სურვილი. ამ კონტექსტში უნდა აიხსნას რუსეთის “გაჯიუტება” საქართველოში ეუთოსა და გაეროს მისიების მანდატებთან დაკავშირებით. მოსკოვის მცდელობის შედეგად ეუთოს და გაეროს დამკვირვებელთა მისიების მანდატი არ იქნა გაგრძელებული. საჯილდაო ქვა ამ მისიების დასახელებებში მდგომარეობდა. კერძოდ, ახალ პირობებში, მოსკოვის სურვილის თანახმად, მათ უნდა რქმეოდათ არა მისიები საქართველოში, არამედ მისიები დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. თუმცა, მოსკოვი თავისთვის ომის ყველაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ შედეგად ნატოს წევრებს შორის საქართველოს აღიანსში მიღების მიზანშეწონილობის თაობაზე გაზრდილ სკეფსისს მიიჩნევს.

ამასთანავე, ომმა შექმნა ან დააჩქარა საქართველოსთვის რიგი დადებითი ვითარებების ჩამოყალიბება, კერძოდ:



- ევროკავშირი სერიოზულად დაკავდა საქართველოთი. ევროკავშირის თავჯდომარის, საფრანგეთის ძალისხმევით მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტა და შედგა შეთანხმება რეგიონში მშვიდობის მშენებლობის პრინციპებზე. კერძოდ, მიიღეს ე.წ. “სარკოზი-მედვედევის” 6-პუნქტიანი გეგმა. მოგვიანებით, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯგუფის აქტიური მხარდაჭერით საფრანგეთმა მოახდინა ევროკავშირის საქართველოში 300 ადამიანის ოდენობით დამკვირვებელთა მისიის გაგზავნის შესახებ გადანიშნულებების ინიცირება, რომელიც მონოდეტულია თვალყურის ადევნოს ზემოაღნიშნული გეგმის ფარგლებში შეთანხმების დაცვას;
- დაიწყო რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო მოლაპარაკებები. ამ მოლაპარაკებების ფარგლებში, რომელიც ჟენევაში მიმდინარეობს (“ჟენევის პროცესი”), განიხილება საკითხთა ფართო სპექტრი, მათ შორის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, დევნილთა დაბრუნების და ა.შ. მოლაპარაკებების არცერთი აქამდე არსებული ფორმატი არ უზრუნველყოფდა ინტერნაციონალიზაციის ამგვარ ხარისხს. აღსანიშნავია, რომ ამჯერად რუსეთი მოლაპარაკებებში კონფლიქტის მხარეს წარმოადგენს;
- გადწყდა, აგრეთვე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებასა და ურთიერთობებში თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე გადასვლასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დაწყების დაჩქარება;
- ნატოს ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ საქართველოში ისტორიული გასვლითი სხდომა ჩაატარა, რომელზეც გადწყდა უკრაინასთან არსებული თანამშრომლობის ფორმატის მსგავსად, ნატო-საქართველოს კომისიის შექმნა. მოგვიანებით, ნატოს მინისტრიალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა რა ბუქარესტის სამიტის გადანიშნულება ალიანსში საქართველოს გარდუვალი ინტეგრაციის თაობაზე, საქართველოს თანამშრომლობის ახალი მექანიზმი შესთავაზა – წლიური ეროვნული გეგმა, რაც, არსებითად, ყბადაღებული განვირგობის სამოქმედო გეგმის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს;
- დონორთა საერთაშორისო კონფერენციაზე მთავრობებმა და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებმა საქართველოს ომის შედეგების აღმოფხვრისთვის 4,55 მილიარდი დოლარის გამოყოფა შეპირდნენ (3,5 მილიარდი ევრო). მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხის ნაწილი მხოლოდ იმ პირობით მიენიჭება საქართველოს, თუკი დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებაში პროგრესის არსებობა დადასტურდება, დაპირებული თანხა მაინც იმდენად შთამბეჭდავია, რომ მისი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში საქართველო, ალბათ, შეძლებს ეკონომიკური კრიზისიდან ღირსეულად გამოსვლას;
- მკვეთრად გაიზარდა ყურადღება სამხრეთკავკასიური სტრანსპორტო დერეფნის მიმართ: პირველ რიგში, ეს მოხდა ვაშინგტონის სურვილთან დაკავშირებით, რათა ეს მიმართულება ავღანეთში საკუთარი ჯარის მომარაგებისათვის გამოიყენოს. მეორე მხრივ, ამას მნიშვნელოვანი ენერგეტიკული დერეფნის რუსეთის მხრიდან “იმპერიული განზრახვებისაგან” დაცვის აუცილებლობის გაცნობიერებამაც შეუწყო ხელი. ევროკავშირის მზარდი ზრუნვა საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით დამატებით წონას მატებს საქართველოდან ევროპაში კასპიისპირეთის ნახშირწყალბადების ექსპორტის ტრანსრეგიონალურ ენერგეტიკულ პროექტებს;
- ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს სტრატეგიული მეურვეობის გაძლიერება დაიწყო. თავიდან, განხორციელდა ჰუმანიტარული დახმარება სამხედრო ავიაციისა და აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მე-9 ფლოტის გემების საშუალებით. შემდგომ, ჩატარდა საქართველოს საჭიროებების ყოვლისმომცველი შეფასება ომის მიმდინარეობისას დაზარალებული სამხედრო ინფრასტრუქტურის აღსადგენად, მომავალში შესაძლო შესაბამისი დახმარების განევის მიზნით. დაბოლოს, ხელი მოეწერა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიას. დოკუმენტში, რომელიც აშშ-ს საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავების განზრახვას ადასტურებს, აღინიშნება ორმხრივი ურთიერთობების მნიშვნელობა თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, ვაჭრობის, ენერგეტიკული უსაფრთხოების, დემოკრატიისა და კულტურის სფეროებში. ამას გარდა, აშშ-მ ვალდებულება აიღო მხარი დაუჭიროს საქართველოს ნატოში გაწევრიანების მისწრაფებას.

## 2.1. რა იქნება შემდგომ?

უკანასკნელ დრომდე მთელი რიგი ისტორიული ან გეოპოლიტიკური ფაქტორების გამო კონფლიქტის გადანიშნულებასთან და კრიზისის გადალახვასთან დაკავშირებული პრობლემების

მთელი სიმძიმე ევროკავშირის მხრებზე იდო. დასაწყისში აშშ გვერდზე გადგა, რადგან საპრეზიდენტო არჩევნებით იყო დაკავებული და საქართველოს მხარდასაჭერად მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით შემოიფარგლებოდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პოზიცია, უეჭველად, მნიშვნელოვან “დამხმარე როლს” თამაშობდა და რუსეთთან დიალოგის დროს ევროკავშირის პოზიციებს ამყარებდა. ამ ეტაპზე, როდესაც, ერთი მხრივ, ევროკავშირმა უკვე აღადგინა რუსეთთან შეწყვეტილი ურთიერთობები, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირს აღარ თავმჯდომარეობს მსხვილი ევროპული ქვეყანა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ევროკავშირის რუსეთზე “დიპლომატიური ზენოლის” რესურსები ამოწურულია. თითქმის ანალოგიური ვითარებაა ნატო-ს შემთხვევაშიც. ამ სიტუაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ვაშინგტონის ახალი ადმინისტრაციის პოზიციას. უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს შემდგომ პერიოდში აშშ-სა და ევროპის პოზიციების დამთხვევამ რუსეთის აგრესიული ქმედებების შეფასებისა და, აგრეთვე, საქართველოსთვის დახმარების განევის მასშტაბების და ფორმების საკითხებში აშკარად გაამყარა ბოლო წლებში შესუსტებული ტრანსატლანტიკური თანხმობა. ძალისხმევის შემდგომი კოორდინაცია მნიშვნელოვანია რუსეთთან დაპირისპირების ერთობლივი წარმატებისათვის.

დღეს დასავლეთის მთავარი ამოცანაა მოსკოვს გააცნობიერებინოს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში კუნთებით თამაშისთვის დაუსჯელი ვერ დარჩება, მას ამისათვის მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური ფასის გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგები ადრე თუ გვიან აიძულებს მოსკოვს გააცნობიეროს, რომ ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გამო მისთვის მნიშვნელოვანი პარტნიორობა დასავლეთთან შეუთავსებელია მეზობელი ქვეყნების ოკუპაციასთან. თუმცა, დრო გვიჩვენებს, თუ რამდენად შეძლებს მოსკოვში სალი აზრი “იმპერიულ ნოსტალგიასა” და საშიშ თვითდაჯერებულობაზე გამარჯვებას.

ამავდროულად, უაცილებელია “ყენევის პროცესის”, სიცოცხლისუნარიანობისა და კონსტრუქციულობის უზრუნველყოფა; იგი ერთადერთი ფორუმი, სადაც ყველა დაინტერესებული და ჩართული მხარეა წარმოდგენილი. პირველყოვლისა, უცილებელია სტაბილურობის უზრუნველყოფის, სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის რეჟიმისა და დევნილთა და იძულებით გადაადგილებული პირთა დაბრუნების შესახებ შეთანხმების მიღწევა. აქამდე ჩატარებული მოლაპარაკებების რაუნდების ხასიათი და შედეგი კომპრომისების სწრაფი მიღწევის განსაკუთრებულ იმედებს არ იძლევა. ამის მიზეზი არაერთია. ამასობაში, ახალ რეალიებთან დაკავშირებულ მიდგომებსა და ხედვაში არსებული რადიკალურად განსხვავებული პოზიციები, მათ შორის საქართველოსა და მთელი რეგიონის მომავლის თაობაზე, უკვე მოექცა იმ დიალოგის დღის წესრიგში, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა “გადატვირთვის” ფარგლებში დაინყო. საუბარია, 2008 წლის ზაფხულში რუსეთის მიერ შეთავაზებულ იდეაზე ევროპაში “თამაშის ახალი წესების” თაობაზე მოლაპარაკებების ჩატარებასთან დაკავშირებით, სადაც ინიციატივის ავტორთა ვარაუდით რუსეთის გაზრდილი პოლიტიკური წონაც უნდა იქნას გათვალისწინებული. ბევრი რამ, მათ შორის საქართველოში არსებული კონფლიქტების ბედიც, შესაძლოა ამ დიალოგის ფარგლებში გადაწყდეს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ რაზე და რამხელა ფსონს დადებს. თუკი გლობალურ დონეზე მორიგება არ მოხერხდება, საერთაშორისო ურთიერთობები კრიზისში აღმოჩნდება და მსოფლიო “ახალი ცივი ომის” ფაზაში შევა. ამ შემთხვევაში საქართველოში 2008 წლის აგვისტოს შემდგომი სტატუს კვო “გაიყინება” შემდგომი გეოპოლიტიკური კვანძის გახსნამდე. ახალი დაპირისპირების ხანგრძლივობა და ხსენებული კვანძის გახსნის ხასიათი იმაზე იქნება დამოკიდებული, ამოუდგება თუ არა ვინმე რუსეთს გვერდში, თუ მას თავისი ინტერესების დაცვა მარტოსულს მოუწევს.

### თავი III. სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის გარანტიის უზრუნველყოფის საერთაშორისო გამოცდილება (ივლიანე ხაინდრავა)

კონფლიქტის მხარეებს შორის დაზავების საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სამხედრო მოქმედებების ფაქტიური განუახლებლობის პრაქტიკა, როდესაც მხარეთა შორის შესაბამისი შეთანხმებები და აღებული ვალდებულებები არ არსებობს. მაგალითისთვის განვიხილოთ ორი კონკრეტული შემთხვევა, რომელიც უდავოდ საინტერესოა: კვიპროსი და მთიანი ყარაბაღი. მოცემული კონფლიქტების წარმოშობის მიზეზებში ჩაღრმავების გარეშე განვიხილოთ არსებული სტატუს კვოს განმაპირობებელი გარემოებანი, რომლებმაც შესაძლებელი გახადა ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ სტაბილურობის საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შენარჩუნება.

#### 3.1. კვიპროსი

კვიპროსის ბერძნულ და თურქულ თემთა შორის ურთიერთდამოკიდებულებაში დაძაბულობამ 1960 წლის 16 აგვისტოსვე იჩინა თავი, როგორც კი გამოცხადდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მიღებულ იქნა კონსტიტუცია (თუმცა, რა თქმა უნდა, კვიპროსელ-ბერძნებსა და კვიპროსელ-თურქებს შორის არსებულ წინააღმდეგობებს საუკუნეების სიღრმეში აქვთ ფესვები გადგმული). კუნძულის დეკოლონიზაციის შედეგად კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანების იდეა – ენოზისი – კვიპროსის ორ სახელმწიფოდ გაყოფის (და კუნძულის თურქული ნაწილის საკუთრივ თურქეთთან სავარაუდოდ შერწყმის) – ტაკსიმის – იდეას დაუპირისპირდა. 1963 წლის დეკემბერში დაძაბულობა ძალადობაში გადაიზარდა და მას შემდეგ, რაც ყველა მცდელობა ადგილზე, ალედგინათ მშვიდობა, უშედეგოდ დასრულდა, 1964 წლის 4 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია №186, რომლის რეკომენდაციის თანახმადაც კვიპროსზე დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები მშვიდობის შესანარჩუნებლად. 1964 წლის 27 მარტს სამშვიდობო ძალები განლაგდნენ და შეუდგნენ საკუთარი მისიის - შეტაკებების განახლების თავიდან აცილების — შესრულებას. მას შემდეგ მისიის მანდატის გაგრძელება მუდმივად ხდება, უკანასკნელად – 2009 წელს (მორიგი ვადით 2009 წლის 15 დეკემბრამდე – გაეროს უშიშროების საბჭოს 2009 წლის 29 მაისის №1873 რეზოლუცია).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კვიპროსზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების არსებობამ ვერ უზრუნველყო 1974 წლის ივლის-აგვისტოში საომარი მოქმედებების წამოწყების თავიდან აცილება, რომელიც რიგი შიდა (სახელმწიფო გადატრიალება) და გარე ფაქტორებით (საბერძნეთის სამხედრო ხუნტის მხრიდან გადატრიალების მომწყობთა მხარდაჭერა კვიპროსის საბერძნეთთან გაერთიანების მიზნით, რასაც თურქული ჯარის კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში შეყვანა მოჰყვა) იყო პროვოცირებული. თურქულმა არმიამ, რომელიც დღემდე კვიპროსზე იმყოფება, თავის კონტროლს დაუქვემდებარა კუნძულის ტერიტორიის დაახლოებით 37% მაშინ, როდესაც მოსახლეობის თითქმის 80% შეადგენდნენ კვიპროსელი-ბერძნები და მხოლოდ 20% – კვიპროსელი-თურქები. ამ ხნის მანძილზე გაეროს უშიშროების საბჭო ლამის ყოველდღიურ რეჟიმში განიხილავდა კვიპროსზე არსებულ ვითარებას, ზედიზედ რამდენიმე რეზოლუცია მიიღო და, საბოლოო ჯამში, 1974 წლის 16 აგვისტოს მოხერხდა ცეცხლის ფაქტიურად შეწყვეტის მიღწევა (კუნძულის ბერძნული და თურქული თემების ლიდერების პირდაპირი შეხვედრის შედეგად). აღსანიშნავია, რომ ოფიციალური შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მაინც არ იქნა დადებული, თუმცა მას შემდეგ კუნძულზე საქმე მასშტაბურ სამხედრო მოქმედებებამდე აღარ მისულა. ყოველივე ამას ხელი შეუწყო დაახლოებით 180 კილომეტრი სიგრძის ცეცხლის შეწყვეტის ხაზის (ე.წ. “მწვანე ხაზი”) განსაზღვრამ და ბუფერული ზონის შექმნამ (რამდენიმე მეტრიდან რამდენიმე კილომეტრამდე სიგანის, სადაც განთავსდა “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები კვიპროსზე”, რომელიც დაკვირვებას აწარმოებს სადამკვირვებლო პუნქტების სისტემის და საჰაერო, საავტომობილო და ქვეითი პატრულირების მეშვეობით). სამხედრო სტატუს კვოს შენარჩუნება იქცა კონფლიქტის მხარეებს შორის შეიარაღებულ შეტაკებათა წარმატებით თავიდან აცილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად. თუმცა, ადგილობრივი ხასიათის სხვადასხვა ინტენსივობის ასობით ინციდენტი ყოველწლიურად მაინც ხდებოდა. იმავდროულად, “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები კვიპროსზე”, როგორც მოსალოდნელი იყო, უძლური აღმოჩნდა შეესრულებინა მასზე დაკისრებული მეორე მისია – დაემყარებინა პირდაპირი კავშირი ორ თემს შორის და მათ შორის ურთიერთობა დაერეგულირებინა.

1974 წლიდან მოყოლებული, კვიპროსის ირგვლივ უკიდურესად არაერთგვაროვანი ვითარება შეიქმნა. 1975 წელს კუნძულის ჩრდილოეთ (თურქულმა) ნაწილმა ცალმხრივი წესით თავი ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ ფედერაციულ სახელმწიფოდ გამოაცხადა (ფორმალურად – როგორც კვიპროსის ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს ნაწილმა), ხოლო 1983 წელს, კვლავ ცალმხრივი წესით, გამოაცხადა დამოუკიდებლობა როგორც ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულმა რესპუბლიკამ. ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობის დეკლარაცია გაეროს მიერ უარყოფილ იქნა და არცერთმა წევრმა-სახელმწიფომ, თურქეთის გარდა, თვითგამოცხადებული რესპუბლიკა არ აღიარა. კუნძულის გაერთიანების შესახებ წარმოებული მრავალწლიანი მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. 2004 წლის 29 აპრილს გაეროს მიერ კვიპროსზე კონფლიქტის მოსაგვარებლად შეთავაზებული წინადადების (ე.წ. “ანანის გეგმა”) მხარდასაჭერად კუნძულის ორივე ნაწილში რეფერენდუმი ჩატარდა, რაც ფორმალურად ერთიანი “ორთემიანი და ორზონიანი სახელმწიფოს” შექმნას ითვალისწინებდა; მაგრამ ბერძენ-კვიპროსელთა დაახლოებით 76% ამგვარი საკითხის გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო (კუნძულის თურქულ ნაწილში ამ გეგმას მოსახლეობის 65%-მა დადებითად უპასუხა). გაერთიანება არ შედგა. ამავდროულად, 2004 წლის 1 მაისს კუნძულის ბერძნული მხარე ევროკავშირის სრულყოფილებიანი წევრი გახდა, ხოლო 2008 წლის 1 იანვარს – შევიდა ევროს ზონაში.

მაინც რამ განაპირობა საომარ მოქმედებათა განუახლებლობა 35 წლის განმავლობაში შესაბამისი შეთანხმების არარსებობისა და კვიპროსელ-ბერძენებსა და კვიპროსელ-თურქებს შორის არსებული მოუგვარებელი ურთიერთობების ფონზე? გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ყოფნა კვიპროსზე, უდავოდ, მნიშვნელოვანი პრევენციული ფაქტორია, თუმცა, არსებობს მრავალი სხვა მაგალითიც, როდესაც მშვიდობის შენარჩუნების საერთაშორისო ძალებმა ვერ შესძლეს კონფლიქტის მხარეებს შორის ფართომასშტაბიანი შეტაკებების აღკვეთა. ბოლოს და ბოლოს, როგორც უკვე აღინიშნა, “გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებულმა ძალებმა კვიპროსზე” ვერ შესძლო თავიდან აერიდებინა 1974 წლის მოვლენები. ამ შემთხვევაში ზემოაღნიშნულ შეკითხვაზე პასუხი მოითხოვს ვრცელი საგარეოპოლიტიკური ფონის გათვალისწინებას: კუნძულის ორი ძირითადი თემის უკან იდგა (და დგას) დიდი ევროპული სახელმწიფოები — საბერძნეთი და თურქეთი, რომლებიც, ამასთანავე, ნატოს წევრებიც არიან. კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით საბერძნეთსა და თურქეთს შორის ომის საშიშროება რეალურად იდგა, რასაც, შესაძლოა, ნატოში განსახიერებული ევროპული უსაფრთხოების სისტემის მოშლა გამოენჯია. ამას მოჰყვებოდა თავად ამ ორგანიზაციის ღრმა კრიზისი, რაც “ცივი ომის” პირობებში უკიდურესად არასასურველი შედეგის მომტანი იქნებოდა. ჭორ ხმელთაშუაზღვის ქვეყანას შორის გაჩაღებული საზღვაო ომი მთელი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ფაქტიურ ბლოკადას გამოიწვევდა, რაც ამ დიდი რეგიონისათვის მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგებით დასრულდებოდა. ამიტომაც, დასავლურმა თანამეგობრობამ არ დაიშურა ძალისხმევა თურქეთისა და საბერძნეთის შესაჩერებლად და ამისათვის ყველა პოლიტიკურ-დიპლომატიური საშუალება გამოიყენა. მოხერხდა თითოეული მხარის დარწმუნება იმაში, რომ სიჯიუტითა და უკომპრომისობით გამოწვეული დანაკარგი უფრო დიდი იქნებოდა, ვიდრე შესაძლო სარგებელი.

ამავე კონტექსტში უნდა იქნას განხილული ისეთი ფაქტორიც, როგორცაა გაერთიანებული სამეფოს ორი სამხედრო ბაზის არსებობა კუნძულზე, რომლებიც იქ 1960 წელს კვიპროსის დეკოლონიზაციის შემდეგაც დარჩნენ. გასაგებია, რომ საკუთარი ბაზების უშუალო სიახლოვეს განვითარებული სამხედრო მოქმედებები ამ სახელმწიფოს უდავოდ პიკანტურ მდგომარეობაში ჩააყენებდა, განსაკუთრებით, გაერთიანებული სამეფოს მიერ კვიპროსის სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ერთიანობის თაობაზე აღებული ვალდებულების ფონზე.

სტაბილიზაციისა და სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის კიდევ ერთ ფაქტორად იმ ვითარებამაც იმუშავა, რომ ერთ-ერთმა მხარემ (თურქეთმა) ფაქტიურად შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწია, გავიდა რა ისეთ გამყოფ ხაზზე (ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე), რომელიც კვიპროსელი-თურქების ყველაზე თამამ მოლოდინებს შეესაბამებოდა. ტერიტორიის სიღრმეში შემდგომი ექსპანსია, რომელიც მხოლოდ კვიპროსელი-ბერძნებით იყო დასახლებული, მიუხედავად ამ უკანასკნელთა ბანაკის სრული დეზორგანიზებულობისა, მნიშვნელოვან პოლიტიკურ და კიდევ სხვა სახის დანაკარგებს გამოიწვევდა. ბერძნული მხარე იმ მომენტისთვის უბრალოდ უუნარო აღმოჩნდა საკუთარი ძალებით კუნძულზე გადმოსხმული 40-ათასიანი თურქული სამხედრო დაჯგუფება შეეჩერებინა.

ამასთანავე, კვიპროსზე მოვლენების ამგვარმა განვითარებამ დააჩქარა ათენში სამხედრო რეჟიმის დამხობა (1974 წლის 23 ივლისი) ისევე, როგორც თავად კვიპროსზე კანონიერი ხელისუფლების დაბრუნება (არქიეპისკოპოსი მაკარიოსი). მაკარიოსმა უარყო ენოზისის იდეა და გამოვიდა რა ერთიანი და დამოუკიდებელი კვიპროსის სახელმწიფოს ჩამოყალიბების მხარდაჭერით. ამით მან კუნძულზე გარედან კონტროლის დამყარების ყველა მცდელობის დელიგი-

ტიმიზაცია მოახდინა. ასე მოხერხდა კრიზისის ჩაქრობა, კუნძულის საზღვრებსმიღმა ომის თავიდან აცილება და თავად კუნძულზე – დაზავება.

თუმცა, კონფლიქტის მოგვარების ურთიერთმისაღები ფორმულის პოვნა ათწლეულების მანძილზე მაინც ვერ მოხერხდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია “ანანის გეგმასთან” დაკავშირებული რეფერენდუმის ჩავარდნა, თანაც ჩავარდნა სწორედაც რომ კვიპროსის ბერძნულ საზოგადოებაში, რომელიც, როგორც წარმოედგინათ, საკმაოდ დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ერთიანი სახელმწიფოს აღდგენაში. თუმცა, კვიპროსელი-ბერძნების მიერ “ანანის გეგმის” უარყოფის მიზეზების ანალიზი არ წარმოადგენს მოცემული თავის საგანს.

### 3.2. მთიანი ყარაბაღი

1994 წლის 9-10-11 მაისს აზერბაიჯანისა და სომხეთის თავდაცვის მინისტრებმა, აგრეთვე ყარაბაღის არმიის მეთაურმა ამავე თანმიმდევრობით ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც იღებდნენ ვალდებულებას “უზრუნველყვით ცეცხლისა და სამხედრო მოქმედებების სრული შეწყვეტა 1994 წლის 12 მაისის 00 საათსა და 01 წუთიდან”. მოცემული შეთანხმება სხვადასხვა ფორმატში (გაერო, ეუთო, დსთ) სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მოგვარებისაკენ მიმართული თანმიმდევრული ძალისხმევის შედეგს წარმოადგენდა. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აღსანიშნავია, რომ სამხედრო მოქმედებების რეალურად შეწყვეტის ათვლის ნერტილი გახდა სამხედრო უწყებების ხელმძღვანელთა მიერ “შეთანხმებად” ნოდებული ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც შემდგომ რუსეთის ფედერაციის თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრებსა და, აგრეთვე, საშუამავლო მისიის ხელმძღვანელს ელჩ ვ.კაზიმიროვს გაეგზავნა. მას შემდეგ უკვე 14 წელია გასული და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხერხდებოდა ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის რეჟიმის შენარჩუნება. თუმცა, პერიოდულად, ადგილი ჰქონდა სპორადულ სროლებს, ზოგჯერ არტილერიის ჩართვითაც კი.

ამ კონკრეტული სიტუაციის მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება კონფლიქტის ზონაში რაიმე ტიპის სამშვიდობო ძალების არარსებობაა, თუმცა, ხსენებული შეთანხმების მეორე პუნქტში “საერთაშორისო დამკვირვებლების მოწინავე ჯგუფის განლაგების მომზადების” თაობაზე იყო საუბარი.

მაინც რამ შეუწყო ხელი სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის საკმაოდ მდგრადი რეჟიმის შენარჩუნებას შესაბამისი სახელშეკრულებო ბაზის, საერთაშორისო გარანტიებისა და კონფლიქტის ზონაში დამკვირვებლების არარსებობის პირობებში? ჩვენს მიერ ჩატარებული პირადი ინტერვიუები დაპირისპირებული მხარეების ცნობილ ექსპერტებთან, რომლებიც ზედმინევით იცნობენ კონფლიქტის პერიპეტიებს,<sup>42</sup> დაგვეხმარა იმ სურათის გამოვლენაში, რომელიც სამხედრო და პოლიტიკური ფაქტორების ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს (ქვემოთ დასკვნებს ყოვლისმომცველ ხასიათზე პრეტენზია არ აქვთ).

1994 წლის მაისში – ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმებაზე ხელისმოწერისას – კონფლიქტის მხარეებმა მნიშვნელოვანწილად ამოწურეს როგორც რესურსები, ისე ომის წარმოების პერსპექტივები. სომხეთის კონტროლის ქვეშ მოხვდა არა მხოლოდ მთლიანად მთიანი ყარაბაღი, არამედ, ასევე მასთან მიმდებარე 7 აზერბაიჯანული რაიონი და ჩამოყალიბდა (შეიქმნა) ფრონტის ხაზი, რომელიც, სომხეთის მხარის თვალსაზრისით, მთიანი ყარაბაღის ოპტიმალურ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. აზერბაიჯანის ტერიტორიის შიგნით სომხეთის ჯარისკაცების მიერ შემდგომი დანინაულება ფრონტის ხაზს აგრძელებდა, წელავდა და კომუნიკაციას მეტად მონყვლადს ხდიდა, რაც, საბოლოო ჯამში, სამხედრო წარმატების მდგრადობას ხელს არ უწყობდა. აზერბაიჯანის მხრიდან კი, სამხედრო მოქმედებების გაგრძელების შემთხვევაში, შემდგომი წარუმატებლობისა და საკუთარ ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვის რისკი იზრდებოდა.

პოლიტიკური თვალსაზრისით, სომხეთ-ყარაბაღის დისკურსში არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება მომწიფდა იმის თაობაზე, რომ 1994 წლის მაისისთვის არსებული რეალიები ხელსაყრელ პირობას ქმნიდა შეიარაღებული კონფლიქტიდან მოლაპარაკებების ფორმატზე გადასასვლელად, სადაც სომხეთის მხარეს რეალური შანსი ეძლეოდა დაპყრობილი ტერიტორიების ნაწილის დათმობის შემთხვევაშიც კი დარჩენოდა დანარჩენი დაპყრობილი ნაწილი. იმავდროულად, აზერბაიჯანულ დისკურსში ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ დრო სწორედ აზერბაიჯანზე იმუშავებს. ჰპირვილყოვლისა, მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებული შვიდი რაიონის არსებით გაცილებით იოლია საერთაშორისო საზოგადოებისათვის სომხეთის მხარის აგრესორისა

<sup>42</sup> ი. გამბარს და დ. შახნაზარიანს კონფლიქტის პერიოდში თავიანთ ქვეყნებში მაღალი პოსტები ეკავათ.

და ოკუპანტის სახით წარდგენა, მეორე რიგში – ენერგომატარებლების მარაგის ექსპლუატაციის საშუალებით აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები გაუჩნდება არმიის გადაიარაღებისათვის, რაც არცთუ შორეულ მომავალში შესაძლებელს გახდის შეიარაღებული ძალების ბალანსის აზერბაიჯანის სასარგებლოდ შეცვლას. ყოველივე ეს კი, ადრე თუ გვიან, მოწინააღმდეგეს უკან დახევინებს და, ამგვარად, გამოიძებნება აზერბაიჯანისათვის მისაღები გადაწყვეტილება მშვიდობიანი, ან სამხედრო გზით.

ბოლოს, 1994 წელს, საერთაშორისო არენაზე საკმაოდ მომთხოვნი ფორმით ჩამოყალიბდა მოსაზრება ომის შეწყვეტის თაობაზე; ამას, დიდწილად, ენერგეტიკული პროექტების წარმატებით განხორციელების – რაც აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის რესურსებთან პირდაპირ კავშირშია – მრავალმხრივმა დაინტერესებამაც შეუწყო ხელი (ახლოვდებოდა “საუკუნის კონტრაქტზე” ხელისმოწერა). ამ დროისთვის უკვე არსებობდა ეუთოს “მინსკის ჯგუფი” (შეიქმნა 1992 წელს ჰელსინკში ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე); გაეროს უშიშროების საბჭო იღებს ოთხ რეზოლუციას კონფლიქტთან დაკავშირებით (№№822, 853, 874, 884); 1994 წლის 15 აპრილს დსთ-ს სახელმწიფო მეთაურთა საბჭო გამოდის შესაბამისი განცხადებით, ხოლო 5 მაისს დსთ-ს ფარგლებში ხელი მოეწერა ბიშკეკის ოქმს. ერთი სიტყვით, კონფლიქტის მხარეებზე საომარი მოქმედებების შეწყვეტის თაობაზე ზენოლა კრიტიკულ ნერტილს მიუახლოვდა. რომელიმე მხარის მიერ სამხედრო ძალაზე ფსონის დადებას შეეძლო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში საკუთარი პოზიციები შეესუსტებინა.

ამგვარად, შეიქმნა ერთგვარი წონასწორობის მდგომარეობა, რომელიც მხარეებს შორის დაზავებასა და ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების შესრულებას უწყობდა ხელს.

შემდგომშიც, სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის დე ფაქტო ჩამოყალიბებული რეჟიმის დარღვევა ასევე არ იქნება რომელიმე მხარისათვის დივიდენდების მომტანი. ზავის დარღვევა და სომხეთის სამხედრო ძალების აზერბაიჯანის ტერიტორიების სიღრმეში შესვლა, პოლიტიკური თვალსაზრისით, სომხური პოზიციების მხოლოდ დასუსტებას გამოიწვევს და, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერც სამხედრო წარმატების მომტანია. აზერბაიჯანის მხრიდან დაკარგული ტერიტორიების სამხედრო ძალით დაბრუნება ასევე წამგებიანია პოლიტიკურად (ომის ფაზის რეანიმირება საერთაშორისო საზოგადოებისათვის მიუღებელია). რაც შეეხება სამხედრო ასპექტს, ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, ხსენებული დასაშვები რისკის მიღმაა, რამეთუ საომარი ოპერაციის წარმატების უზრუნველსაყოფად საჭირო ხარისხობრივ უპირატესობას მოწინააღმდეგეზე აზერბაიჯანმა ჯერ-ჯერობით ვერ მიაღწია.

შეიცვალა საგარეოპოლიტიკური რეალიებიც. აზერბაიჯანი გამოვიდა დსთ-ს ქვეყნების კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან (შემდგომში – კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია), სომხეთი კი, მის აქტიურ წევრად რჩება. სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა, რომლის მნიშვნელობაც რუსეთის ბაზების ვაზიანიდან, ახალქალაქიდან და ბათუმიდან გასვლის შემდეგ მეტად გაიზარდა. აგრეთვე, რუსეთი ხელს უწყობს სომხეთის არმიის გადაიარაღება-მოდერნიზებას; კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში სომხეთთან რიგ შეთანხმებებს აფორმებს, რაც აზერბაიჯანს იძულებულს ხდის სერიოზულად დაფიქრდეს იმის თაობაზე, რომ სამხედრო რევანშის შემთხვევაში მას მხოლოდ სომხეთის მხარესთან არ მოუწევს საქმის დაჭერა.

დაბოლოს, რიგ ექსპერტთა აზრით, არსებობს შიდაპოლიტიკური ფაქტორებიც, რომლებიც ერთი მხრივ თითოეულ მხარეს აიძულებს თავი შეიკავოს სამხედრო მოქმედების განახლებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ – ხელს უშლის მთიანი ყარაბაღის ირგვლივ კონფლიქტის მოგვარების ურთიერთმისაღები მოდელის შემუშავებას. ნებისმიერი წარუმატებლობა (სამხედრო თუ პოლიტიკური) ორივე საზოგადოებისათვის ისეთ მგრძნობიარე საკითხთან დაკავშირებით, როგორსაც მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი წარმოადგენს, შესაძლოა უმწვავესი შიდაპოლიტიკური კრიზისისა და უკმაყოფილო ხალხის მიერ ხელისუფლებაში მყოფი ელიტის ჩამოგდების მიზეზი გახდეს. ორივე ქვეყნის ხელმძღვანელობას თვალწინ უდგას სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის მაგალითი, როდესაც მან ხალხს მოუწოდოდა კონფლიქტის საფუძვლიანი მოგვარების გზებზე დაფიქრებულიყო (რაც უდავოდ ურთიერთდათმობებს მოითხოვდა) და ამის გამო მალევე იქნა გადაყენებული პოსტიდან.

ამასთანავე, გასული წლების მანძილზე ეუთოს “მინსკის ჯგუფის” ეგიდით მუშავდება და მხარეებს განსახილველად, შესათანხმებლად და ხელმოსაწერად წარედგინება კონფლიქტის მოგვარების რამდენიმე ვარიანტი, რომელთაგან თითოეული სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ პუნქტს შეიცავს.

1997 წლის დასწყისში ჩნდება შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის შეთანხმების პროექტი (მხარეებთან ნაწილობრივ შეთანხმებული), რომლის მეორე პუნქტშიც ნათქვამია: “მხარეები ყველა სადავო საკითხს ერთად გადაწყვეტენ ძალისა და მისი გამოყენების მუქარის გარე-

შე – მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით, პირველ რიგში მოლაპარაკებების გზით, მათ შორის ეუთოს მინსკის პროცესის ფარგლებში”.

1997 წლის ივლისში მზად იყო “მინსკის ჯგუფის” თანათავმჯდომარეების მიერ შეთავაზებული კონფლიქტის მოგვარების ე.წ. “საპაკეტო ვარიანტი,” რომლის პირველივე პუნქტში ნათქვამია: “მხარეები თანხმდებიან: 1. ერთმანეთში კამათის მოსაგავარებლად უარი ეთქვას შეიარაღებული ძალების გამოყენებას, მათ შორის მოცემული შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით”.

იმავე წლის დეკემბერში “მინსკის ჯგუფის” თანათავმჯდომარეები მხარეებს სთავაზობენ უკვე ე.წ. “ეტაპობრივ ვარიანტს,” სადაც ისევ და ისევ პირველსავე პუნქტში ნათქვამია: “მხარეები უარს ამბობენ და თავს იკავებენ მათ შორის არსებული დავის ძალის მუქარით ან ძალის გამოყენებით გადაწყვეტისაგან. ისინი ამგვარ დავებს და მოცემული შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავას მშვიდობიანი საშუალებებით აგვარებენ, პირველყოვლისა მოლაპარაკებების გზით, მათ შორის ეუთოს მინსკის პროცესის ფარგლებში”. დაბოლოს, 1998 წლის ნოემბერში “მინსკის ჯგუფის” თანათავმჯდომარეების მიერ შემუშავებული ახალი ვარიანტი გამოჩნდა, რომელიც “საერთო სახელმწიფოს” შექმნას გულისხმობდა. ახალი ვარიანტის IV კარში – “შეთანხმება შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის თაობაზე” – ნათქვამია: “მხარეები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმება უნდა შეიცავდეს შემდეგ დებულებებს: 1. მხარეები უარს ამბობენ ერთმანეთში არსებული დავის ძალის მუქარით ან ძალის გამოყენებით გადაწყვეტაზე. ისინი ამგვარ დავებს და შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტასთან დაკავშირებული შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავას მშვიდობიანი საშუალებებით აგვარებენ, უპირველ ყოვლისა — მოლაპარაკებების გზით ან ეუთოს მინსკის პროცესის ფარგლებში”.

საყურადღებოა, რომ თითოეულ ამ დოკუმენტში გათვალისწინებული იყო კონფლიქტის ზონაში ეუთოს მშვიდობის დამცველთა მრავალეროვანი კონტინგენტის განთავსება. ამგვარივე მდგომარეობა დაფიქსირდა კონფლიქტის მოგვარების თაობაზე ე.წ. “პრალის პროცესის” ფარგლებში შემუშავებულ წინადადებებში, რომელიც 2006 წლის ივნისში ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოზე გაჟღერდა.

ისღა რჩება აღინიშნოს, რომ არცერთ ზემოხსენებულ დოკუმენტზე არ მოწერილა ხელი და, შესაბამისად, არცერთი მათგანი არ ამოქმედებულა.

\*\*\*

ამგვარად, როგორც კვიპროსის (35 წლის განმავლობაში), ასევე მთიანი ყარაბაღის შემთხვევაშიც (15 წლის მანძილზე) კონფლიქტის მხარეებს შორის ოფიციალურად აღებული შესაბამისი ვალდებულებების არქონის პირობებში ადგილი აქვს საომარი მოქმედებების ფაქტიურ განუახლებლობას. ეს მდგომარეობა მრავალი შიდა და გარე ფაქტორით არის განპირობებული, რომელთა უმრავლესობის მიხედვით კონკრეტულ კონფლიქტურ სიტუაციებს შორის როგორც არსებითი განსხვავებების, ისე საინტერესო პარარელელების აღმოჩენა შეიძლება. ჯგანსხვავებათაგან აღსანიშნავია: 1. მშვიდობის დამცველთა საერთაშორისო ძალების განლაგება კვიპროსზე და სამშვიდობო კონტინგენტის არყოფნა მთიან ყარაბაღში და 2. საომარი მოქმედებებისა და ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე შეთანხმების არსებობა მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში და დაზავების ოფიციალური შეთანხმების არარსებობა კვიპროსზე. მსგავსებათა შორის თვალშისაცემია: 1. ერთ-ერთი მხარისათვის მთლიანად მისაღები ცეცხლის ფაქტიური შეწყვეტის ხაზი; 2. პრაქტიკულად მთლიანი ეთნიკური გამიჯვნა კვიპროსელ-ბერძნებსა და კვიპროსელ-თურქებს შორის პირველ შემთხვევაში და სომხებსა და აზერბაიჯანლებს შორის - მეორეში; 3. საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესება საომარი მოქმედებების განახლების დაუშვებლობაში.

თუმცა, კვიპროსზე და მთიან ყარაბაღში მოვლენების შემდგომი განვითარების მოლოდინი სხვადასხვაა. კრიზისების შემსწავლელი ავტორიტეტული საერთაშორისო ჯგუფი (ICG), რომელიც ორივე კონფლიქტის მუდმივ დაკვირვებას აწარმოებს, არ გამორიცხავს კუნძულზე სამხედრო სახის დაძაბულობასაც კი. თუმცა, უფრო მაინც მიიჩნევს, რომ კვიპროსის გაერთიანებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დრო დადგა (ამ შემთხვევაში ევროკავშირის ფაქტორი ძალზედ მნიშვნელოვანია მრავალი რაკურსით). ყარაბაღის შემთხვევაში კი, იგივე ICG-ს გაცილებით პესიმისტური მოსაზრება აქვს: “ნავთობის ექსპორტით მიღებული გაზრდილი შემოსავლების ხარჯზე აზერბაიჯანმა გაცილებით თვითდაჯერებულად იგრძნო თავი და საკუთარი შეიარაღებული ძალების მოდერნიზებისათვის თანხაც გააჩნია. როგორც ჩანს, აზერბაიჯანი აპირებს იქამდე განელოს სამშვიდობო შეთანხმებაზე ხელმოწერის ვადა, სანამ სამხედრო ბალანსი მის სასარგებლოდ ძირეულად არ შეიცვლება. სომხეთი, რომელიც, სანინალმდგომო მო-

ლოდინების მიუხედავად, არც თუ ურიგოდ ვითარდება ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე დიდ ძალისხმევას იჩენს და ზრდის სამხედრო ხარჯებს. იგი დარწმუნებულია, რომ დრო მასზე მუშაობს, რომ მთიანი ყარაბაღის დე ფაქტო დამოუკიდებლობა თანდათან რეალური ხდება, და ამის იგნორირება სულ უფრო რთულია. დროის განვლვა სარისკო ხდება ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მაგრამ ყველაზე სახიფათო, შესაძლოა, 2012 წელი აღმოჩნდეს, როდესაც აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტის შემოსავალი, სავარაუდოდ, კლებას დაიწყებს და სამხედრო ავანტიურა ქვეყნის მოქალაქეთა ეკონომიკური პრობლემებიდან ყურადღების გადატანის საშუალებად იქცეს. მთიანი ყარაბაღის სიახლოვეს მდებარე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ნავთობისა და გაზის მილსადენები თავისუფლად შეიძლება ახალ ომში პირველ სამიზნედ იქცეს, რაც არც ევროპისთვის და არც, განსაკუთრებით, აშშ-სთვის სასიამოვნო არ იქნება”.

დასასრულ, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ი. ალიევის მიერ საახალწლო მიმართვიდან შეიძლება ციტატის მოტანა: “მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის უძველესი მიწაა და ჩვენ არ დავიშურებთ ძალისხმევას, რათა აღვადგინოთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. შესაძლოა, გამოვიყენოთ პოლიტიკური, დიპლომატიური და, თუ საჭირო გახდება, სამხედრო საშუალებები. ჩვენ გავქვს ამის უფლება. ამას საერთაშორისო სამართალი უზრუნველყოფს.” და შემდეგ: “2008 წელს არმიის მშენებლობისთვის ყველა საჭირო ზომა იქნა მიღებული. სამხედრო ხარჯებმა 2 მილიარდ დოლარს მიაღწია, 2009 წელს ეს ციფრი კიდევ მეტად გაიზრდება. ჩვენ ამას ვაკეთებთ და უნდა ვაკეთებდეთ კიდევ, რადგან ომის პირობებში ვცხოვრობთ, ის კი ჯერ არ დამთავრებულა. დასრულდა ომის პირველი ეტაპი და ჩვენ ნებისმიერ დროს მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი ხერხით გავათავისუფლოთ მშობლიური მიწები ოკუპანტებისაგან”.<sup>43</sup>

უეჭველია, მეტად საინტერესო იქნებოდა შესწავლილიყო აგვისტოს ომისა და რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ შექმნილი ახალი რეალიების შესაძლო გავლენა სამხრეთ კავკასიაზე, ისევე როგორც კოსოვოს ირგვლივ განვითარებული პროცესების გავლენა კვიპროსსა და მთიან ყარაბაღზე. თუმცა, ეს საკითხი მოცემული კვლევის ფარგლებს სცილდება.

<sup>43</sup> იხ. ციტატა რუსულ ენაზე - <http://www.regnum.ru/news/1107031.html>



## **თავი 4. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების საექსპერტო შეფასება (ნ. სარჯველაძე, მ. ბალიაშვილი, ნ. შუშანია)**

წინამდებარე თავში წარმოდგენილია კვლევა, რომლის მიზანი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ექსპერტთა შეხედულებების შესწავლაში მდგომარეობდა. კერძოდ, გამოკვლეულ იქნა ომში უშუალოდ მონაწილე, ასევე, აგვისტოს მოვლენებთან ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებული მხარის მიერ ომის შედეგად მიღებული სარგებლისა თუ განცდილი დანაკარგის ერთგვარი ბალანსი.

სარგებელი-დანაკარგი განიხილებოდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებში.

კვლევაში გამოყენებულ იქნა ღია კითხვარი (იხ. დანართი 1), ხოლო მიღებული მონაცემების დამუშავება მოხდა თვისობრივი ანალიზის მეთოდით.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 13-მა ექსპერტმა საქართველოს სხვადასხვა არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციიდან.

ტექსტი ორი ნაწილისგან შედგება: პირველ ნაწილში მოყვანილია თავად ექსპერტთა აზრი, ავტორის კომენტარის გარეშე, მეორე ნაწილში – ავტორისეული პოზიცია.

### **4.1. ნაწილი პირველი**

#### **4.1.1. საქართველო**

##### **საქართველოს დანაკარგი**

ომის შედეგად საქართველოს დანაკარგი ყველა ასპექტში აშკარაა; ექსპერტთა ნაწილი მდგომარეობას აფასებს როგორც კატასტროფულს, მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მდგომარეობა შესაძლოა გამოსწორდეს.

**პოლიტიკურ ასპექტში** დანაკარგი პირველყოვლისა ნიშნავს იმას, რომ საქართველომ სამხედრო მარცხი განიცადა, დაკარგა რა (მრავალი წლით) თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი; საქართველოს ცენტრალურ ნაწილში - ქართლში - მცხოვრებთა უმრავლესობა დევნილად გადაიქცა; რუსეთი აკონტროლებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს, თავისი კავკასიის ქედს გადმოღმა ყოფნა ლეგალური გახდა.

გაიფანტა საქართველოს როგორც სტაბილური ქვეყნის ილუზია, რაც პირველ რიგში საფრთხეს უქმნის როგორც კასპიისპირეთის ენერგომატარებლების ევროპაში ტრანსპორტირების არსებულ, ისე მომავალ ტრანსრეგიონულ პროექტებს. საქართველო კი საკუთარი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, აგრეთვე, სერიოზული დემოკრატიული რეფორმების გატარების შემთხვევაში, დროთა განმავლობაში რეგიონის ლიდერად ჩამოყალიბებას იმედოვნებდა.

საქართველომ საერთაშორისო არენაზე პრაქტიკულად დაკარგა აქტიური მოთამაშის ფუნქცია. ეს ფუნქცია შუამავლებმა – დასავლეთის ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა იტვირთეს. რამდენ ხანს გაგრძელდება არსებული მდგომარეობა, სათქმელად რთულია. საქართველოს დანაკარგად ითვლება ისიც, რომ მან ვერ შეძლო დაეფიქსირებინა ომის დაწყების ზუსტი დრო (რუსეთის მიერ სახელმწიფო საზღვრის გადმოლახვის მომენტი).

შელახულია აფხაზეთისა და ოსების ნდობა საქართველოს მიმართ. განყვეტილია ყოველგვარი კონტაქტი აფხაზ და სამხრეთოსურ მხარეებთან.

აღმოცენდა საქართველოს ახალი ხატი: აგრესორი სახელმწიფო და სამხედრო მოქმედებების განახლების ინიციატორი; პოლიტიკურ ასპექტში - სკანდალური, არასაიმედო, არაშორსმჭვრეტელი, არათანმიმდევრული პოლიტიკის გამტარებელი.

საქართველოს ამგვარი როლი აგვისტოს მოვლენებში უცხოურ პრესაში ნეგატიური შეფასების საგანად იქცა და უცნობია, რას გვიჩვენებს ევროკავშირის მიერ ინიცირებული გამოძიება. არ არის გამორიცხული კრიტიკა კიდევ უფრო მკვეთრი იყოს<sup>44</sup>.

ამ ომმა დაგვანახა საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის არამდგრადობა და გაამყარა იმათი პოზიცია, ვისაც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის შესაძლებლობაში ეჭვი ეპარებოდა.

<sup>44</sup> რესპონდენტებთან საუბრის მომენტისთვის საქართველოს მთავრობის ახალი სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში ჯერ არ იყო გამოქვეყნებული.

საქართველოს **ეკონომიკურ დანაკარგებს** მიეკუთვნება: უცხოური ინვესტიციების პოლიტიკური არასტაბილურობით გამოწვეული აშკარა შემცირება, ასევე, ქართველი ბიზნესმენების მიერ საკუთარი სანარმოების გაყიდვის ფაქტები; ზიანი მიადგა ინფრასტრუქტურასაც, მსხვილ უცხოურ სანარმოებს (რომელიც არ მიეკუთვნებოდა რუსულ კაპიტალს - მაგალითად, კასპის ცემენტის ქარხანა), ფოთის პორტს და ა.შ. 12-პროცენტის ნაწილი ზრდის ტემპი 2009 წელს, ყველაზე ოპტიმისტური გაანგარიშებით, 3 პროცენტს არ გადააჭარბებს.

უმუშევართა არმიას ე.წ. ახალი დევნილები შეემატნენ. მთლიანი ზარალი შეადგენს 2.5 მილიარდ ევროს, ანუ შედეგები ყოველად კატასტროფულია.

**დანაკარგი სამხედრო ასპექტში:** დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა დიდი რაოდენობა (175 ადამიანი), განადგურებული სამხედრო ტექნიკა, ინფრასტრუქტურა, შენობები, ყაზარმები. ამგვარ ავანტიურაში დამარცხება, ექსპერტთა აზრით, გარდაუვალია იმ ქვეყნისთვის, რომელსაც არ გააჩნია საჰაერო “ფარი”, შესაბამისად, მსგავსი წინდაუხედაობა დანაშაულის ტოლფასია.

დაიკარგა ნატოში განევრიანების სამოქმედო გეგმის (“მაპ“-ის) მიღებისა და დროთა განმავლობაში ალიანსში ინტეგრირების პერსპექტივა. “ხელისუფლების მიერ რეკლამირებული სამხედრო მანქანა ბანქოს სახლივით მყისიერად დაინგრა”, მტრის მიერ ალაფის სახით გატაცებულ იქნა 70 ტანკი, ჯავშანმანქანა, რამდენიმე ძვირადღირებული საარტილერიო დანადგარი და ა.შ. დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლდა ასობით ოფიცერი, რამაც კადრების დეფიციტი გამოიწვია. ვერ გაამართლა სარეზერვო სამსახურმაც. ერთი სიტყვით, ქართული არმია მთლიანად დეზინტეგრირებულია.

ექსპერტების აზრით, ომმა სამხედრო მშენებლობის არასწორი კურსი გაამიშვა. საექვოა ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა ჯარის მშენებლობაში კვლავ გაგვიწიონ დახმარება, თუმცა ტრაგიკული ამაში არაფერია, რადგან საქართველოში კონფლიქტები ომით არ უნდა გვარდებოდეს.

**სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში** საქართველოს დანაკარგია: “ხალხის გაბრუნების” მცდელობა — 12 აგვისტოს მასობრივი მიტინგისა და 1 სექტემბერს თეატრალიზებული პროტესტის “ჯაჭვის” მოწყობა ადამიანებისა და ტერიტორიების დაკარგვის ფონზე, სულ მცირე, არაადეკვატურად გამოიყურება და დამარცხების გამარჯვებად წარმოჩენის სურვილით იყო მოტივირებული. საზოგადოებაში იმედგაცრუებისა და მისწრაფებების კრახის შეგრძნების გამოფეხება; ათასობით დევნილი, რომელთაც მათი მამაპაპისეულ სახლებში დაბრუნების, თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთების დამუშავების პერსპექტივაც კი არ დარჩათ. წაგებული ომის სინდრომი — დაბნეულობა, დეპრესია, აპათია, შელახული თავმოყვარეობა — მოედო ქვეყანას. ერთი ექსპერტის აზრით, ჯანსაღი სოციალური ორგანიზმისთვის გაკვეთილი უნდა იყოს ის, რომ “დასავლეთი არ დაგვეხმარა და არ დაგვიცვა”. ამიტომ მომავალში მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა ჰქონდეს. მაგრამ, მომხდარის გაცნობიერება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა ყოველთვის არ ხდება და ეს ყველას არ სურს, ან არ ძალუძს, მათ შორის საქართველოს ხელმძღვანელობას.

## საქართველოს სარგებელი

**პოლიტიკურ ასპექტში** საქართველოს ძირითადი სარგებელი, ექსპერტთა აზრით, იმაში მდგომარეობს: რომ “მოხერხდა სახელმწიფოებრიობის გადარჩენა, ქაოსისა და ნგრევის, აგრეთვე, პარტიზანული ომის თავიდან აცილება”. თუ რამდენად მოხერხდა ყოველივე ზემოთქმულის (ბოლო პუნქტის გამოკლებით) თავიდან აცილება, დრო გვიჩვენებს. 3

კონკრეტულ პოლიტიკურ სარგებელს, ექსპერტები შემდეგს მიაკუთვნებენ: “საქართველომ დიდ და გლობალურ პოლიტიკურ თამაშში სერიოზული ადგილი დაიკავა და ხურდა ფულიდან წონად მონაწილედ გადაიქცა, რომლის შესახებაც მთელმა მსოფლიომ გაიგო.” “საქართველომ პოლიტიკური შანსი მიიღო. წლების მანძილზე იგი ვერ ახერხებდა საკუთარ ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების როგორც რუსულ-ქართული კონფლიქტის წარმოჩენას. ესლა ეს მთელი მსოფლიოსთვის ნათელი გახდა და საუბარი რუსეთის სამშვიდობო როლზე სრულიად უადგილოა.” სარგებელს შესაძლოა მივაკუთვნოთ ისიც, რომ საქართველო როგორც სახელმწიფო და მისი ხელისუფლება უკვე ცალ-ცალკე განიხილება. დამოკიდებულება მ. სააკაშვილის მიმართ დასავლეთში უარესობისკენ შეიცვალა, მაგრამ საქართველოს მიმართ იგივე დარჩა. გაცნობიერდა, რომ საქართველოს როგორც სტაბილური პარტნიორის შენარჩუნება ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლის გზით შეიძლება; საგარეო საფრთხეების წინაშე საზოგადოების კონსოლიდირება და ის ფაქტი, რომ არავითარი “მეხუთე კოლონა” საქართველოში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, გარკვეულწილად სარგებლად შეიძლება ჩაითვალოს; მსოფლიო საზოგადოებამ ხელი არ ჰკრა საქართველოს, სპეციალური შეიქმნა ფონდი ქვეყნის დასახმარებლად. საქართველოს როგორც ქვეყნის მიმართ არსებობს იმედი, რომ იგი

გამოვა შექმნილი მდგომარეობიდან და შემდგომში შეძლებს მოვლენების მსგავსი განვითარებს აღკვეთას.

გაიზარდა ევროკავშირის დაინტერესება საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ევროკავშირის ოცდაშვიდივე ქვეყნის გადანყვეტილებით 300 დამკვირვებლის გამოგზავნა იმაზე მეტყველებს, რომ შეწყდა რუსეთის შუამავლად მოხსენიება და მკაფიოდ გამოიკვეთა “ვინ ვინ არის”, ყველაფერს საკუთარი სახელი დაერქვა, კერძოდ, “რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი”.

რუსეთის როგორც პარტნიორის მიმართ დამოკიდებულება, საერთაშორისო საზოგადოებამ მკვეთრად შეცვალა, უფრო ფრთხილი გახდა. მან, შესაძლოა, დასავლეთში საქართველოს როგორც პარტნიორის დასაცავად გარკვეული წინაპირობა შექმნას. სასარგებლოდ შეიძლება ჩაითვალოს ისიც, რომ უარყოფით გამოცდილებასაც შესაძლოა ჰქონდეს დადებითი შედეგები.

ექსპერტთა აზრით, წაგებული ომის შემდეგ **ეკონომიკურ სარგებლს** რთულია რაიმე მივაკუთვნოთ, თუ არ ჩავთვლით დონორთა საზოგადოების მზაობას გამოყოს დიდი თანხა, რომელიც დაეხმარება საქართველოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში და, ამავდროულად, ახალი პროექტების დაწყების საფუძველი გახდება.

#### **სარგებელი სამხედრო ასპექტში:**

გამოვლინდა ქართული არმიის განვითარების მთელი რიგი მცდარი პრიორიტეტებისა, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, გადაიხედება სამხედრო დოქტრინა, უსაფრთხოების კონცეფცია და გაკეთდება შესაბამისი დასკვნები. კერძოდ, შემცირდება სამხედრო ბიუჯეტი და გადაფასდება პრიორიტეტები – გაიზრდება ხარჯები განათლებასა და ჯანდაცვის სისტემაზე; “ნათელი გახდა, რომ უაზრობაა უზარმაზარი სახსრების შეიარაღებაზე ხარჯვა, და ეს აღმოჩნდა “ომის პარტიის” კუბოში ჩარჭობილი უკანასკნელი ლურსმანი”.

გრძელვადიან პერსპექტივაში გაცნობიერდება, რომ ომი როგორც დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებელი საშუალება სრულიად გამორიცხულია; ქართულ ცნობიერებაში ადგილი ექნება ისტორიულ წინსვლას და მოიძებნება გამოსავალი მრავალწლიანი კრიზისიდან.

**სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში სარგებლად** შეიძლება ჩაითვალოს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ გამოვლენილი მოქალაქეობრივი სოლიდარობა; დევნილები მთელი კვირის მანძილზე (სანამ დარეგულირდებოდა მათი საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფის პრობლემები) თბილისის მოსახლეობის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

## **4.1.2 რუსეთი**

### **რუსეთის დანაკარგი**

ომში რუსეთის **პოლიტიკური დანაკარგი** შემდეგში მდგომარეობს: “ახალი რუსეთის” საერთაშორისო ავტორიტეტი ერთ დღეში სრულიად დაეცა. მსოფლიო საზოგადოება დარწმუნდა, რომ რუსეთის დემოკრატიზაცია სრული ილუზიაა; თუმცა რუსეთის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირებიდან გარიცხვის მუქარები არცთუ რეალურია, რადგან ამგვარი კავშირების უმეტესობა პოლიტიზირებულია. რუსეთი მსოფლიოს, პირველ რიგში ევროპის, წინაშე კვლავ წარსდგა როგორც საფრთხის მატარებელი ქვეყანა. რაც მთავარია, მან საკუთარი სურვილები და შესაძლებლობების შეუთავსებლობის დემონსტრირება მოახდინა. დღევანდელი რუსეთის ამბიციები გაუგებარი და მიუღებელია მსოფლიოსათვის, რადგან მათ უკან სერიოზული ეკონომიკური ბაზა არ დგას. ენერგორესურსები მსგავსი ამბიციებისათვის აშკარად არასაკმარისია, თუმცა ანგარიშგასანევია.

რუსეთი როგორც სახელმწიფო სტრატეგიულად დამარცხდა, მაგრამ მისმა ხელისუფლებამ ტაქტიკურად მოიგო. დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრე რუსებმა ნააგეს, ხოლო “დერჟავნიკებმა” მოიგეს, რამაც, შედეგად, შესაძლოა ქვეყანა მოარყიოს. თუმცა, რუსეთის ქმედებები საკმაოდ რბილად შეფასდა - მხოლოდ და მხოლოდ როგორც “არაპროპორციული”. ამავე დროს, ის, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებაში მხარი არავინ დაუჭირა, მრავლისმეტყველია. ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთისათვის სანქციების დაწესების საკითხი რომ იხილება – ეს მის თავმოყვარეობაზე მტკიცე დადარსებული დარტყმაა. მოიპოვა რა “პიროსის გამარჯვება”, რუსეთმა ბოთლიდან ჯინი გამოუშვა, სახელად “სეპარატიზმი”, რომლის საშიშროება რუსეთში ისედაც არსებობდა. ასევე დანაკარგად შეიძლება შეფასდეს რუსეთსა და საქართველოს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული მჭიდრო კულტურული და სულიერი კავშირების განწყვეტაც. მსგავსი სასტიკი დამოკიდებულება ერთმორწმუნე საქართველოს მიმართ სრულიად არახელსაყრელია რუსეთისთვის, სადაც მართლმადიდებლობის ფაქტორი არცთუ მეორეხარისხოვანია. კავკასიაში რუსეთმა საქართველოს სახით მტერი შეიძინა, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. შეიძლება ითქვას, რომ მთელ მსოფლიოში რუსეთი კარგავს მოკავშირეებს.

**ეკონომიკურ ასპექტში** რუსეთის დანაკარგად შეიძლება ჩაითვალოს: სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დოტაციური უზრუნველყოფაზე განეული ხარჯების გაზრდა; მსხვილი უცხოური ინვესტიციების გადინება რუსეთიდან; ნავთობზე ფასების დაცემა, თუმცა ეს შესაძლოა ხელოვნურად იყოს გამოწვეული; ევროპული ქვეყნების მიერ ენერგომატარებლების მიწოდების ალტერნატიული გზების აქტიური ძიება, რაც რუსეთისთვის სერიოზული დანაკარგების მომტანია. გლობალური ეკონომიკური კრიზისის დროს რუსეთის მსოფლიო მხარდაჭერის გარეშე დარჩა და კრიზისის დაძლევა მას მარტო მოუწევს.

**სამხედრო ასპექტში** რუსეთის დანაკარგად ექსპერტები თვლიან შემდეგს: არცთუ მცირე ფინანსური და ადამიანური დანაკარგების, ასევე აშშ-სა და სხვა ქვეყნებთან გაფუჭებული ურთიერთობების ფასად რუსეთმა ფაქტიურად მხოლოდ რამდენიმე ქართული დასახლება დაიკავა, ამიტომ საუბარი რუსეთის სამხედრო გამარჯვებაზე და, მითუმეტეს, “საქართველოში რუსეთის მიერ ამერიკული ჯარების დამარცხებაზე”, ზედმეტია. პირიქით, სამხედრო მოქმედებების დაბალმა დონემ შოკი გამოიწვია, რომელსაც რუსეთის არმიის გადაუდებელი რეფორმების გადანყვეტილება მოჰყვა. “რუსეთმა მთელ მსოფლიოს დაანახა სახმელეთო ოპერაციების ჩატარების სრული უუნარობა და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, ასევე საკადრო რესურსების მდგომარეობა (ჩამოგდებული მფრინავი საპენსიო ასაკის – 50 წლის - აღმოჩნდა). საბოლოო ჯამში, რუსეთის არმია ის არმია არ არის, რომელსაც ძალუძს ნატოს ყაიდის არმიას კონკურენცია გაუწიოს.

**სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში** დანაკარგი: რუსეთის მიმართ უნდობლობა მსოფლიოში მისი ცალსახა გაკიცხვით შეიცვალა; საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად საზღვარგარეთ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უფლებათა დაცვის გამოცხადებას რუსეთის მოსახლეობა არ ინონებს; რუსეთის მიმართ ტრადიციულად ლოიალური ქვეყნებიც კი დარწმუნდნენ, რომ იგი, თანდათან, წარსულში ჩარჩენილ იმპერიალიზმის გამოხატულებად იქცა; ფობიური განწყობის გაძლიერება, ზიზღი, ანტიქართული განწყობა, რუსეთის იმპერიალიზმის სულის აღორძინება თავად რუსეთისთვის არის უკიდურესად საშიში.

### **რუსეთის სარგებელი**

ზოგიერთ ექსპერტს ეჭვი ეპარება, რომ ამგვარი რამ საერთოდ არსებობს, მაგრამ, მათივე აზრით, თავად რუსეთის ხელმძღვანელობისა და რუსეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თვალსაზრისით, პოლიტიკურ ასპექტში სარგებელად შესაძლოა ჩაითვალოს შემდეგი:

რუსეთის ხელისუფლებამ პრაქტიკულად დაუმტკიცა თავის მოქალაქეებს, რომ ძალუძს პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინირება და ისეთი პროამერიკულად განწყობილი სახელმწიფოს ალაგმვა, როგორც საქართველოა. ჩგარდა ამისა, მთელ მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ მისი ინტერესების უგულვებელყოფის შემთხვევაში (როგორც კოსოვოსთან დაკავშირებით მოხდა) მყისიერი რეაგირების უნარი შესწევს და, რაც მთავარია, კვლავ აგრძელებს სამხრეთ კავკასიაში დომინირებას. რბილად რომ ვთქვათ, ევროპის არაპროამერიკულმა პოზიციებმა მნიშვნელოვნად განამტკიცა რუსეთის პოზიციები, ხოლო ვენესუელასთან თანამშრომლობამ ძველი საბჭოთა კავშირის ვექტორს დაუახლოვა. “რუსეთმა გაიმარჯვა, რამეთუ ურჩევნია მისი ემინოდეთ, თუნდაც არ უყვარდეთ”.

სერიოზულ პოლიტიკურ სარგებლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ რუსეთი დაბრუნდა მსოფლიოს გამგებელი ქვეყნების კლუბში. მან “განიმტკიცა მსოფლიოში საკუთარი პოზიციები და მოიპოვა ხმის უფლება”. მოკლევადიან პერსპექტივაში, სარგებლად შესაძლოა ჩაითვალოს ისიც, რომ: 1. მოპოვებულია სამხედრო გამარჯვება, “საქართველო დაქუცმაცებულია, მის ტერიტორიაზე კი დრაკონის კბილებით არის ჩასობილი მუდმივი პოტენციური საფრთხის მატარებელი ზონები – ახალგორის რაიონი და კოდორის ხეობა; 2. რუსეთის მიერ მთლიანად იგნორირებულია 1999 წლის სტამბოლის შეთანხმება. რუსეთმა, გადაწერა რა იგი თავიდან, მიიღო უფლება საქართველოს ტერიტორიაზე იმაზე გაცილებით მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტის განთავსებისა, რაც ხსენებული შეთანხმების ძალით ცოტა ხნით ადრე იქნა გამოყვანილი”.

თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში საეჭვოა ამას გამარჯვება ეწოდოს. რუსეთს მუდმივად შეახსენებენ, რომ მას ანექსირებული აქვს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიები. ჩგარდა ამისა, დანარჩენი მსოფლიოს თვალში რუსეთი არ წარმოადგენს გამარჯვებულს, რამეთუ მან სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ფუნდამენტური პრინციპები გათელა და საერთაშორისო სამართალის ყველა ნორმის საწინააღმდეგოდ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა, შექმნა რა სახიფათო პრეცედენტი.

რუსეთის **ეკონომიკურ სარგებელს** შესაძლოა მივაკუთვნოთ ის, რომ მსოფლიოში გამყარდა მოსაზრება რუსეთის როგორც ენერგომატარებლების მიმწოდებლის არასანდობაზე, რასაც უშუალოდ მოჰყვება პოლიტიკური მიზნებით ამ თემის ექსპლუატაცია. სუვერენულ ქვეყა-

ნაში შეჭრითა და მისი ქალაქების დაბომბვით რუსეთმა მთელ მსოფლიოს აჩვენა, რომ იგი, რამე რომ იყოს, არც ევროპისთვის გაზის გადაკეცვაზე იტყვის უარს, და რომ იგი არ “ბლეფობს”. ამას მოჰყვება საგრძნობი ეკონომიკური ეფექტი – ევროპა მეტად დამჯერი გახდება. თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, რადგან ევროპა უკვე შეუდგა ალტერნატიული ენერგორესურსების ძიებას.

**სამხედრო ასპექტი:** მოპოვებულია საქართველოზე სამხედრო გამარჯვება, ქართული არმია განადგურებულია, რუსეთმა ახალი სამხედრო ბაზები განათავსა საქართველოს ტერიტორიაზე; თავისი არმია ომში გამოცადა და დარწმუნდა მისი რეფორმირების აუცილებლობაში.

**სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი.** ომის შედეგად რუსულმა „დერჟავულმა პატრიოტიზმმა“ აპოგეას მიაღწია: “გათავებულნი პატარა საქართველოს თავისი ადგილი მიუჩინეს”. სამხედრო წარუმატებლობების სერიებისა და ოცნლიანი ვარდნის შემდეგ „პატარა გამარჯვების მომტანი ომი“ უბრალოდ აუცილებლობას წარმოადგენდა. თანაც, ყველაფერი ისე ასახეს, თითქოს საქართველოსთან კი არა, ნატოსა და აშშ-ს ჯარებთან იომეს და ე.ი. ზესახელმწიფო დაამარცხეს.

### 4.1.3. აფხაზეთი

#### აფხაზეთის დანაკარგი

თუ რაში მდგომარეობს აფხაზეთის დანაკარგი კონკრეტულად, ექსპერტთა უმრავლესობას უჭირს პასუხის გაცემა. უმრავლესობა იხრება იქეთკენ, რომ ამ ომში აფხაზეთს პრაქტიკულად არაფერი დაუკარგავს.

**პოლიტიკური ასპექტი.** აფხაზეთმა ფაქტიურად ერთი გასროლის გარეშე მიიღო ფორმალური დამოუკიდებლობა და თითქოს ამით კმაყოფილი უნდა იყოს, მაგრამ არ შეიძლება ეს არ ეწოთირობოდა. საქმე იმაშია, რომ წარმოიქმნა ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა – საკუთარი იდენტობის შენარჩუნება. აფხაზეთში დღესაც არსებობს ნაციონალური იდეა (განსხვავებით სამხრეთ ოსეთისაგან, სადაც ყველაფერი ორი ოსეთის გაერთიანებისა და რუსეთის ფედერაციაში შესვლისაკენ მიდის). აფხაზებს ეშინიათ ჩერქეზების, ადიღელებისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხების ხვედრის, რომლებიც მართალია ფორმალურად სატიტულო ერებად ითვლებიან თავიანთ რესპუბლიკებში, მაგრამ რეალურად ისინი მთლიანად ჩაყლაპა რუსეთმა. აფხაზეთს ევროპისკენ ორიენტაცია ჭირდება, სადაც მის იდენტობას არაფერი დაემუქრება, მაგრამ ამ გზაზე მას მხოლოდ საქართველოსთან ხელიხელჩაკიდებულს შეუძლია იაროს. ამიტომაც, თუმცა აფხაზები დარწმუნებულნი არიან, რომ მათ ყველაფერში გაიმარჯვებს, სინამდვილეში, პოლიტიკურ ასპექტში მათ სერიოზულად წააგეს. „აღიარებული დამოუკიდებლობა“ რეალურად არ არის ის, რაც მათ უნდათ, ვინაიდან ახლა უფრო მეტად არიან რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცეული. დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც აფხაზეთში მშვიდობისმყოფელების ნაცვლად საოკუპაციო ჯარი დგას (რომელიც აფხაზებისთვისაც საოკუპაციო ჯარს წარმოადგენს), მისი სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ, „მინების შეგროვება“, ერთ დროს თურქეთში გადასახლებულ აფხაზთა თაობების დაბრუნება – მარცხს განიცდის. ის, რომ აფხაზეთმა დამოუკიდებლობა რუსეთის ხელიდან მიიღო, მძლავრი ბერკეტი აღმოჩნდა თავად რუსეთის ხელში.

ამასთანავე, აფხაზეთში გაიზრდება რუსეთის სამხედრო ყოფნა, მოხდება დემოგრაფიული სურათის ცვლილება, გაიზრდება დამოკიდებულება რუსეთის სამხედრო დახმარებაზე. აფხაზები, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეებში სამჯერ აჯანყდნენ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად იბრძოდნენ (ოსებისგან განსხვავებით), „რუსეთელებად“ («россияне») ქცევით ასიმილაციისთვის განწირულნი აღმოჩნდნენ; აფხაზეთიდან დევნილი ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, აფხაზებს უნდა განეჭვრიტათ ყოველივე ეს, როდესაც ეთნიკურ წმენდას ახორციელებდნენ და ქართველებს დევნიდნენ, ისევე როგორც ის ვითარება, რომ მათ ფიზიკურად არ ძალუძთ დაფარონ მთელი რეგიონი და, რომ ამ მხრივ 50 ათასი აფხაზი ვერასოდეს იქნება აფხაზეთში პრივილეგირებულ მდგომარეობაში. იუარეს რა თანაცხოვრება „ხალხთან, რომელთანაც საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდზე ცხოვრობდნენ, სანაცვლოდ მიიღეს „რუსული ჩექმა“, რომლის ქვეშ ცხოვრებაც ძალიან რთული იქნება“. აფხაზეთს არავითარი შანსი არა აქვს იმისა, რომ რუსეთი მას იმაზე მეტს მიცემს, რასაც საქართველო გაფართოებული ავტონომიის ფარგლებში სთავაზობდა.

**ეკონომიკურ ასპექტში** აფხაზეთის დანაკარგს ექსპერტები ვერ ხედავენ.

**სამხედრო ასპექტში** დანაკარგს შეიძლება მივაკუთვნოთ ის, რომ ოცნებას, სადაც აფხაზეთი როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა საკუთარ სამხედრო რესურსს იქონიებდა – იგი უნდა გამოემშვიდობოს. აფხაზურ არმიას დაშლიან ან უმალღეს თანამდებობებს რუსი სამხედროები დაიკავენ.

**სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტში** დანაკარგების თაობაზე საუბარი ექსპერტებს უჭირთ, რადგან აფხაზებს ჯერ კიდევ არ აქვთ შეგნებული ის მდგომარეობა, რომელშიც ისინი თავისდა მოულოდნელად აღმოჩნდნენ.

### **აფხაზეთის სარგებელი**

აფხაზეთისთვის რეალურ სარგებელს ექსპერტები ვერ ხედავენ, მაგრამ თავად აფხაზების ხედვის გათვალისწინებით, გამოყოფენ შემდეგ მომენტებს:

აფხაზეთმა რუსეთისაგან დიდი ხნის ნანატრი დამოუკიდებლობა მიიღო, „რისთვისაც დიდი მადლობა უნდა გადაუხადონ საქართველოს ბრძენ ხელისუფლებას“; თავი დააღწია საქართველოს მხრიდან სამხედრო საფრთხეს და სამხედრო თვალსაზრისით „დაცულია ისე, როგორც არასდროს“; საკუთარ იურისდიქციას დაუქვემდებარა კოდორის ხეობა, რომელსაც იგი მანამდე არასდროს აკონტროლებდა და საიდანაც მასზე საქართველოს სამხედრო დარტყმის განხორციელება შეეძლო.

სოჭის ოლიმპიური თამაშები, კავკასიის შავიზღვისპირეთის კურორტების აღდგენა, ოჩამჩირეს სამხედრო ბაზა 3 ათას 800 სამხედრო მოსამსახურით თავის წვლილს შეიტანენ აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებაში. თუმცა, სწორედ სამხედროების სიუხვე შეუშლის ხელს აფხაზეთს „ტურისტულ სამოთხედ“ გადაქცევაში და, სავარაუდოდ, იგი რუსეთის ეკონომიკური სისტემის დანამატი გახდება. ჩგალის რაიონის მცხოვრებთა გარდა ყველა კმაყოფილია მიღწეულით – აფხაზეთს უკვე ეპატიჟებიან ჟენევის მოლაპარაკებებში დამოუკიდებელ მონაწილედ; იგი იმედოვნებს, რომ მომავალში მის დამოუკიდებლობას სხვა ქვეყნებიც აღიარებენ და აფხაზეთის საელჩოები ევროპის ქვეყნებში გაიხსნება. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, აფხაზების გარეგნულ ეიფორიაში უგუნებობა გამოსჭვივის, რადგან მათ რუსეთის ზენოლის ემინიათ და ცდილობენ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი მოძებნონ.

## **4.1.4. სამხრეთ ოსეთი**

### **სამხრეთ ოსეთის დანაკარგი**

ექსპერტების აზრით, აფხაზეთისაგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთმა არაფერი დაკარგა, თუ არ ჩავთვლით პატარა ერისათვის მრავალრიცხოვან ადამიანურ მსხვერპლსა და ნგრევას, და კიდევ იმას, რომ იგი მთლიანად რუსეთის სპეცსამსახურებისა და სამხედროების კონტროლქვეშ აღმოჩნდა. ორი ოსეთის გაერთიანება და რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ოსების საუკუნოვან იდეას წარმოადგენდა, რომლის განხორციელებასაც ისინი მნიშვნელოვნად მიუახლოვდნენ. „სამხრეთ ოსეთს არ გააჩნია დიდი პრეტენზიები და კმაყოფილდება იმ მცირედით, რასაც რუსეთისგან იღებს. იგი როგორც იყო, ისევე დარჩა კავკასიაში რუსეთის ინტერესების გამტარებელი“ – თვლის ერთ-ერთი ექსპერტი. ნლების მანძილზე ექსპლუატირებული პატარა, დაჩაგრული ქვეყნის იმიჯი მას უკვე აღარ დასჭირდება, რადგან სამხრეთ ოსეთი რუსეთის შემადგენელ ნაწილად იქცევა.

### **სამხრეთ ოსეთის სარგებელი**

**ეკონომიკურ სარგებლად** შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ აღდგება დანგრეული ინფრასტრუქტურა; აღდგენილი სამშენებლო სამუშაოების ხარჯზე შეიქმნება სამუშაო ადგილები; როგორც აგრესიის მსხვერპლი, სამხრეთ ოსეთი დიდ ეკონომიკურ დაზიანებას მიიღებს რუსეთისაგან, შემდგომ კი, ლოიალობის საფასურად მიიღებს დოტაციებს – პენსიებს, ხელფასებს და სხვა დახმარებებს, ანუ ოსეთის ვექტორი „უკან სსრკ-სკენ“ მიბრუნდა.

საეჭვოა **სამხედრო სარგებლად** ჩაითვალოს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის უზარმაზარი საჰაერო და სახმელეთო სამხედრო ბაზების მშენებლობა. სამხრეთ ოსეთი სამხედრო ბანაკად გადაიქცევა, სადაც 20 ათასი ადამიანი მოემსახურება 4-ათასიან რუსულ არმიას. ამ რაოდენობის სამხედროებისა და მათი ოჯახების მომსახურება ოსების თვითმყოფადობის შენარჩუნებას ხელს არ შეუწყობს: დემოგრაფიული ექსპანსია ყოველთვის იყო და რჩება რუსეთის ნაციონალური პოლიტიკის მთავარ ხაზად.

ომის **ფსიქო-ემოციური შედეგების** ანალიზისას თვალშისაცემია უზარმაზარი სულიერი აღმასვლა, ეიფორია, რაც გამოწვეულია იმით, რომ ოსებმა „მოიშორეს ქართული უღელი“, „დაამარცხეს ქართველები“ და „ქართული ჯარებისგან დაიცვეს ცხინვალი“. თუმცა, სავარაუდოა, რომ პოლიტიკური არასრულფასოვნების თავის თავში ჩახშობა არ გამოსდით: სწორედ ამიტომ არის, რომ უარს ამბობენ საკუთარ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების შეშვებაზე, რაც დიდ შეცდომას წარმოადგენს.

#### 4.1.5. ამერიკის შეერთებული შტატები

##### აშშ-ს დანაკარგი

ექსპერტების აზრით, აშშ დამარცხდა, ძირითადად, **პოლიტიკურ ასპექტში**. ამასთან, ეს დამარცხება უმძიმესია. „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ აშშ-მ პირველად იწვნია დამარცხება. უარადა, აშშ-მ უსისხლოდ ჩაატარა რა სსრკ-ს დემონტაჟი, გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპა, პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატია შეიტანა, და ყოველივე ეს წარმატებით განახორციელა. აშშ-მ ყველა გადანყვეტილებას დამოუკიდებლად იღებდა და არავინ ეწინააღმდეგებოდა. ამ ფონზე, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ერთმა სახელმწიფომ, ყოფილმა იმპერიამ, აშშ-ს კონტროლირებადი სეგმენტი წაართვა და დასაჯა მისი „პროტეჟე“; აშშ-ს საზღვრებთან ახლოს, ვენესუელაში, მონინალმდეგის ტექნიკა განლაგდა, ხოლო ევროპაში რაკეტსანი-ნალმდეგო სისტემების პარალელურად რუსები “ისკანდერების” დაყენებას აპირებენ. შეირყა აშშ-ს ავტორიტეტი, როგორც ქვეყნისა, რომელიც მსოფლიო წესრიგს განსაზღვრავს. ეჭვქვეშ დადგა აშშ-ს როგორც პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობა.

ექსპერტებმა ისიც აღნიშნეს, რომ აშშ-ს მიმართ ნდობა დაკარგა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა, რომელსაც სჯეროდა, რომ “ამერიკა დაგვეხმარებოდა”. ასე მიაჩნდა თავად პრეზიდენტ სააკაშვილსაც. მან გაზეთ “ფიგაროსთვის” მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ გაუმართლა რუსეთს იმედებში, როდესაც ამერიკა არ ჩაერია კონფლიქტში. აშშ-მ ვერ შეძლო დაეცვა საქართველო, ამაზე ცოტა ადრე კი, ვერ უზრუნველყო მისი ნატოში გაწევრიანება.

რუსული მასმედიის მიერ გავრცელებული აზრი, რომ “ამერიკულმა პროექტმა” მარცხი განიცადა, კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ამერიკის მიმართ ნიჰილიზმს, მათ შორის ევროპაშიც. კომენტარებში გაისმის საყვედური, რომ აშშ-მ თავისი მოკავშირე პატარა ქვეყანა რუსეთს დასაგლეჯად დაუტოვა. ამგვარ საყვედურებს აქვს გარკვეული საფუძველი, რადგანაც არ ამოქმედდა 2003 წლის შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ექსტრემალურ ვითარებაში აშშ-ს შეეძლო შემოეყვანა თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ, ამერიკამ ვერ შეძლო დაეცვა მოკავშირე არა მხოლოდ სამხედრო, არამედ პოლიტიკურ ასპექტშიც – აშშ-ს არ ეყო ტაქტიკური გავლენა რათა რუსეთის აგრესიული ქმედებები მოეთოკა. ასევე, ვერ მოახერხა აეძულებინა საქართველოს ხელისუფლება არ დაემუშა ის შეცდომები, რომლებიც მან დაუშვა. ეს აშშ-ს, როგორც მსოფლიო ლიდერის, მოვალეობას წარმოადგენდა. ამერიკის იმიჯს სერიოზული დარტყმა მიაყენა თუნდაც იმ ფაქტმა, რომ მან ყველა პრობლემა ევროპას გადაულოცა (ცეცხლის შეწყვეტა და ა.შ.).

ის, რომ ამერიკა მოტყუვდა პარტნიორის არჩევაში სააკაშვილის სახით, რომელმაც შემდგომ უამრავი უსიამოვნება შეამთხვია, ექსპერტების აზრით, აშშ-ს ახალ ადმინისტრაციას საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპასთან მიმართებაში უფრო ფრთხილი პოზიციის დაკავებას აიძულებს და, ამასთანავე, იგი ახალგაზრდა პრეზიდენტებსაც ზედმეტად აღარ ნაახალისებს.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგი ამერიკისათვის – საქართველოზე კონტროლის შესუსტებაა. ჩამაგრდა რა რეგიონში თავისი სამხედრო ბაზებით, რუსეთი ამერიკულ პროექტებს დევნის. აშშ-ს ძირითადი მიზანი – საქართველოს დემოკრატიზაციის გზით ხელი შეეწყოს მთელი რეგიონის დემოკრატიზაციისათვის – არარეალიზებული დარჩა.

##### აშშ-ს სარგებელი

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სტრატეგიული მარცხის ფონზე, რაიმე სახის ტაქტიკურ სარგებელზე საუბარი არასერიოზულია.

#### 4.1.6. დასავლეთ ევროპა

##### ევროკავშირის პოლიტიკური დანაკარგი

პირველყოვლისა, ევროკავშირმა დააგვიანა კონფლიქტში ჩარევა და ვერ შესძლო ომის თავიდან აცილება. შედეგად, მოხდა რუსეთთან პირისპირ დარჩენილი ევროპის სტაბილურობისათვის არასასურველი რიგი უარყოფითი მოვლენებისა - ვერ შესძლო რა დაეცვა საქართველო და რუსეთის მიმართ მტკიცე პოზიცია დაეკავებინა, ევროპამ საკუთარ საზღვრებთან “ისკანდერების” განლაგების პერსპექტივაც მიიღო.

ის, რაც მოხდა საქართველოში, ფაქტიურად მოხდა ევროპის ტერიტორიაზე (საქართველო ხომ ევროპის საბჭოს წევრია) და ეს ევროპისთვის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა. ცოტა ადრე, ევროპულმა ერთობამ, მთლიანად ევროპულმა კონცეფციამ დიდი დარტყმა განი-

ცადა, როდესაც ევროპამ, ფაქტიურად უარი უთხრა საქართველოს ნატოში განწევრიანების სამოქმედო გეგმის მიღებაზე. ევროპამ ბოლომდე ვერ გააცნობიერა რა სახის ბოროტებას ებრძვის და რომ რუსეთ-საქართველოს ომი რუსეთის ავტორიტარიზმთან და ყოფილი საბჭოთა კოლონიების გათავისუფლებისათვის ბრძოლის რთული პოლიტიკური პროცესის მხოლოდ ნაწილია. თორემ ასეთ ფონზე რუსეთის გაზისა და ნავთობის ფაქტორი, უეჭველია, მნიშვნელოვნად გახუნდებოდა. ევროპამ თავისი საერთაშორისო ავტორიტეტის დაკნინება დაიწყო იმით, რომ „მორალურ ფასეულობებზე“ აპელირებიდან წელნელა საკუთარ ენერგოუსაფრთხოებაზე ზრუნვით მოტივირებულ „პრაგმატულ“ საკითხებზე გადავიდა.

ევროპამ ვერ აიძულა რუსეთი შეესრულებინა თავისი მოვალეობანი (გარდა ცეცხლის შეწყვეტისა). ევროპის სამშვიდობო პოლიტიკამ და მისმა შემდგომმა ნაბიჯებმა სერიოზული მარცხი განიცადა. ეს კი ნიშნავს, რომ ევროკავშირს არ ძალუძს იყოს მისი შუამავლობით მიღებული შეთანხმებების გარანტი.

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა გაზარდა თავად ევროკავშირში ე.წ. პროამერიკულად და პრორუსულად განწყობილ ევროპულ ქვეყნებს შორის ზღვარი. სხვა სიტყვებით, ნყალგამყოფი ხაზი „ძველსა“ და „ახალ“ ევროპას შორის უფრო მეტად გამოიკვეთა, რაც ევროპისთვის ნეგატიური მოვლენაა, რადგან მისი ძალა სწორედ ერთობაშია.

ევროპის დანაკარგად შესაძლოა ისიც ჩავთვალოთ, რომ ევროკავშირმა დიდი რესურსი ჩადო მიხეილ სააკაშვილის გასაპრეზიდენტებლად, რომლისგანაც ცალკე აღებულ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში ახალი დემოკრატიის მშენებლობას ელოდნენ, და ეს პროექტი ჩაიშალა; სააკაშვილი არა მხოლოდ ცუდი, არამედ ჯიუტი მონაფეც აღმოჩნდა, რომელმაც უგულვებელყო შტაინმაიერის კონფლიქტის მოგვარების სამშვიდობო გეგმა, სოლანას და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა რჩევები, შეეწყვიტა კონფლიქტის ესკალაცია. ამ ჩავარდნამ ევროკავშირს დიდი ხნით გაუქრო მსგავსი, ევროპულ ფასეულობებთან შეუთავსებელი, პროექტების განახლების სურვილი.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი დანაკარგი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთმა დემონსტრირებულად აჩვენა, რომ შემდგომში ყველგან დაიცავს საკუთარ ინტერესებს და რომ ყველას მოუწევს საქმე დაიჭიროს სწორედ ასეთ რუსეთთან. დასავლეთმა ეს რეალობა მიიღო.

### **ევროკავშირის სარგებელი**

**ეკონომიკურ ასპექტში** ევროპას მნიშვნელოვანი არაფერი დაუკარგავს, ისევე როგორც სამხედრო და სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებში. პირიქით, ეკონომიკურ ასპექტში სარგებელი ნახა. დაინახა რა, რომ მის წინ საბჭოთა კავშირის აჩრდილია, ევროპა ალტერნატიული ენერგორესურსების ძიებას შეუდგა. არ მიიღო საქართველოს რიტორიკა რუსეთთან “ცივი ომის” განახლების თაობაზე და მომავალი წლიდან რუსეთის გაზზე ფასების დაწევას ელოდება. ევროპამ იმით მოიგო, რომ დაიკისრა რა მედიატორის მოვალეობები, შეძლო: ა) უზრუნველყო ცეცხლის შეწყვეტა; ბ) დაელაგებინა რუსეთთან ურთიერთობი მაშინ, როდესაც ამერიკა არაქმედითუნარიანი აღმოჩნდა; გ) დაეგმო რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება; დ) ადეკვატურად შეეფასებინა საქართველოს ხელისუფლების უუნარობა, მისი ქმედებები, რასაც რუსეთის მხრიდან „არაადეკვატური რეაქცია“ მოჰყვა; ე) კავკასიის რეგიონში შემოსულიყო როგორც არბიტრი, რომელიც არ იყო დამძიმებული წარსული ურთიერთობებით არც რუსეთთან და არც აშშ-სათან; ვ) თავისთვის გაეხსნა საკუთარი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის ახალი სარბიელი. ევროპა უფრო მეტად თავისუფალია საკუთარ ქმედებებში, ვიდრე პროცესის სხვა მონაწილეები. ამიტომაც მას გააჩნია სტრატეგიული სარგებლის მიღების შემდგომი პერსპექტივები. აგვისტოს მოვლენებმა ევროპას საშუალება მისცა ჩარეულიყო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში, რომელიც სულაც არ წარმოადგენს ლოკალურს, და დიდ პოლიტიკაში თავისი ადგილი კვლავ მოეპოვებინა. საბოლოო ჯამში, თავად ევროკავშირის მიმართ ევროპაში არსებული სერიოზული სკეპტიციზმი ფრთხილი ოპტიმიზმით შეიცვალა. დასავლეთ ევროპას არ სჭირდება რუსეთის მარგინალიზაცია და ამიტომაც იგი რუსეთთან ურთიერთობის ახალ ფორმებზე გადადის.

## **4.2. მეორე ნაწილი: ავტორის პოზიცია**

როგორც აღინიშნა, კვლევაში მონაწილეობდა საქართველოს არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი 13 ექსპერტი. შეიძლება ითქვას, რომ ისინი, გარკვეულწილად, წარმოადგენდნენ პროსახელისუფლებო და ოპოზიციურ თვალთახედვას. აზრთა სხვადასხვაობა თავიდანვე გამოიყოფოდა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტებმა, დამოუკიდებელმა ექსპერტებმა და, ასევე, ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტიკოსებმა მდგომარეობა შეაფასეს როგორც კატასტროფული, რომელიც საეჭვოა თვალსაწიერ



მომავალში შეიცვალოს. მათივე ხედვით, საქართველო რეალურად დგას დეზინტეგრაციის საფრთხის წინაშე. სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული ექსპერტები შეეცადნენ პრობლემის სიმწვაის მოხსნას და საკითხის სხვაგვარად ფორმულირებას. ამას ასაბუთებდნენ იმით, რომ, პირველყოფლისა, არამიზანშენილია საკითხის განხილვა იმ ომის სარგებელ-დანაკარგის ასპექტში, რომელიც საქართველოს თავს მოახვიეს. მეორე, ის, რაც ერთი შეხედვით დანაკარგად შეიძლება ჩაითვალოს, სტრატეგიული თვალსაზრისით შესაძლოა სარგებლად შემოტრიალდეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ომი თავს მოხვეულია, მისი შედეგების განხილვა სარგებელ-დანაკარგის ასპექტში ძალიან მნიშვნელოვანია; ამგვარად დასმული საკითხისგან თავის არიდება გვაფიქრებინებს, რომ სამთავრობო წრეებში ფსიქოლოგიური დაცვის – რეალურობიდან გაქცევის – მექანიზმია ამოქმედებული. სინამდვილეში ვითარება მეტად რთულია და ორი სიტყვით ასე შეიძლება შეჯამდეს:

1. აგვისტოს მოვლენებში დამარცხდა როგორც საქართველო, ისე აფხაზეთი. ამასთანავე, ეს დამარცხება იმდენად სერიოზულია, რომ ყველა შედეგის გაცნობიერება მხარეებს ჯერ არ ძალუძთ არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ფსიქოლოგიურ მიზეზთა გამოც; მაგრამ, რაც შეიძლება დარწმუნებით ითქვას – მხარეებს ხელი რომ მოენერათ სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ დოკუმენტზე, ომის აღბათობა ნაკლები იქნებოდა. სხვა სიტყვებით, ამ შეთანხმებაზე ხელმოწერლობა ძვირად დაუჯდა ორივე მხარეს.
2. ამ ეტაპზე, კონფლიქტის ამა თუ იმ მხარის, ასევე მის დარეგულირებაში მონაწილე მხარეების სარგებელ-დანაკარგის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგანაც სტრატეგიული, გრძელვადიანი, ტაქტიკური და მცირეხნიანი სარგებელ-დანაკარგი ერთმანეთს არ ემთხვევა, ისევე, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ასპექტები.
3. ექსპერტთა ყველა მოსაზრების ანონ-დანონის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად, რასაკვირველია, საქართველო დაზარალდა; დაკარგა საკუთარი ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი და სტაბილური დემოკრატიის ქვეყნად გადაქცევის პერსპექტივა. შემდეგი დაზარალებული აფხაზეთია, რომელმაც სახელმწიფო მშენებლობის პერსპექტივა დაკარგა.

ასე გამოიყურება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგები რამდენიმე თვის გადასახედიდან. დრო, რა თქმა უნდა, თავის კორექტივებს შეიტანს და, შესაძლოა, საკმაოდ არსებითსაც. ეს, პირველ რიგში, ეხება ხსენებული მოვლენების გრძელვადიან, სტრატეგიულ შედეგებს, თუნდაც მათი მრავალპლანიანი და მრავალგანზომილებიანი ბუნების გამო. თუმცა, მოკლევადიანი და ტაქტიკური ხასიათის შედეგები უკვე ცხადია. სამწუხაროდ, საქართველოსთვის ეს შედეგები იმდენად მძიმეა, რომ, სავარაუდოდ, თვალსაწიერ მომავალში ვითარება სასიკეთოდ არ შეიცვლება.

# თავი 5. აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის მიმართ დამოკიდებულება (ა. გეგეშიძე, ე. ჩომახიძე)

## შესავალი

წინამდებარე თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლის მიზანი იყო აფხაზეთში საომარ მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა, შესაძლო საფრთხის მოლოდინის გამოვლენისა და ამ შეთანხმების წინაპირობების დადგენის ჩავთვლით. კერძოდ, ეს იყო მცდელობა გამოვევლინა აზრთა შესაძლო სპექტრი შემდეგი საკითხების მიმართ:

1. აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მიმართ დამოკიდებულება.

2. შეთანხმების შესაძლო მხარეები.

3. შეთანხმების ხელმოწერის პირობები.

4. შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები.

5. შეთანხმების არარსებობის მოსალოდნელი შედეგები.

6. შეთანხმების შესრულების პირობები.

7. შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შესაძლებლობა.

8. შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის მოსალოდნელი შედეგები.

თავი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ამ საკითხების შედეგები თვისებრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით, ხოლო მეორეში — რაოდენობრივი კვლევის შედეგები. გამოყენებით.

### 5.1. ნაწილი I. თვისებრივი კვლევის შედეგები

იმის გამო, რომ აღნიშნული თემა დღემდე ემპირიულად შესწავლილი არ ყოფილა, არ არსებობდა საკვლევი საკითხების თეორიული აღწერის ცნებათა სისტემა. მეორე მხრივ, კარგად ვაცნობიერებდით, რომ მუშაობის საწყის ეტაპზე მკვლევართა თავდაპირველი წარმოდგენები ხშირად არის არაადეკვატური ან "მითოლოგიზებული". როგორც ცნობილია, ამგვარი "მითების" გადალახვა მხოლოდ თვისებრივი კვლევის საშუალებით არის შესაძლებელი. საკვლევი სოციალური მოვლენის სიღრმისეულ შესწავლაზე ორიენტირებული თვისებრივი კვლევა შესაძლებელია საკითხთან დაკავშირებით არსებულ მოსაზრებათა აღმწერ ადეკვატური ცნებათა სისტემის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა. აღნიშნულის გათვალისწინებით მუშაობის პირველ ეტაპზე ჩატარდა სწორედ თვისებრივი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ექსპერტების, ანუ ჩვენთვის საინტერესო სფეროში პროფესიულად მომუშავე პირების, გამოკითხვას.

ამრიგად, ჩატარებული კვლევა იყო, ერთი მხრივ, კვლევითი პროცესის საწყისი, ეგრეთ წოდებული "წინა რაოდენობრივი" ეტაპი (თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების ფუნქციური ურთიერთშეკავშირების პრინციპის შესაბამისად<sup>45</sup>), მეორე მხრივ კი ამ კვლევის შედეგებს თავისთავადი მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით საექსპერტო მოსაზრებათა გამოვლენის საშუალებას იძლეოდა.

**კვლევის მეთოდი.** თვისებრივი კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა ინდივიდუალური ფოკუსირებული ინტერვიუს მეთოდი. ამ მეთოდის არჩევა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ფოკუს-ჯგუფი, როგორც ცნობილია, ნაკლებად გამოსადეგია რთული საკითხების სიღრმისეული შესწავლისათვის.

**შერჩევა.** გამოიკითხვა ამ სფეროში გადანყვეტილებათა მიღებაში მონაწილე მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები (მათ შორის ყოფილიც), დამოუკიდებელი ექსპერტები და წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერები, სულ 25 პირი. ინტერვიუს ჩასატარებლად შემუშავებულ კითხვარში შეტანილ იქნა 14 კითხვა (დართულია, იხ. დანართი 2).

<sup>45</sup> თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა კითხვარი, რომელიც რაოდენობრივი, მასობრივი კვლევისათვის იქნა გამოყენებული.

## კვლევის შედეგები

### 5.1.1. აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის საჭიროების გაცნობიერება

პირველი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: “სარკოზი-მედვედევის 6-პუნქტიანი გეგმის” რეალიზაციის მიზნით მიმდინარეობს საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომლის ფარგლებშიც განიხილება კონფლიქტურ ზონებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიების შექმნის საკითხები (“ჟენევის პროცესი”). მოლაპარაკებების წარმატებით რეალიზაციის მიზნით რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა?”

პასუხების ანალიზმა განსხვავებულ მოსაზრებათა ფართო დიაპაზონი გამოავლინა — “აუცილებელი” დაწყებული და “დაუშვებელი” დამთავრებული. დამოუკიდებელ ექსპერტთა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერთა უმრავლესობა აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების (შემდგომში — “შეთანხმება”) ხელმოწერას აუცილებლად მიიჩნევს. ზოგიერთი სინანულს გამოხატავს იმის გამო, რომ ეს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე არ მოხდა, რადგან რუსეთის როლი ამ პროცესში ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა.

ამავე დროს, ზოგიერთ დამოუკიდებელ ექსპერტს (უმნიშვნელო ნაწილს) ამ ეტაპზე შეთანხმების ხელმოწერის მიზანშეწონილობაში ეჭვი ეპარება. მათი თქმით, გაცილებით უფრო მართებული იყო მისი ხელმოწერა 2008 წლის აპრილ-მაისში, როცა რუსეთი ამას დაჟინებით მოითხოვდა. ეს პირობა შტაინმაიერის გეგმაშიც ფიგურირებდა. ახლა კი, მათი აზრით, შეთანხმების ხელმოწერას კაპიტულანტური ელფერი ექნება, მით უფრო, რომ საქართველოს მხრიდან სამხედრო მოქმედებების განუახლებლობა ის ერთადერთი გარანტიაა, რომელზეც ევროკავშირმა პასუხისმგებლობა აიღო. აქვე ისინი დასძენენ, რომ ეს უსამართლობად მიაჩნიათ, რადგან ევროკავშირს ანალოგიური გარანტიები რუსეთისგანაც უნდა აეღო.

გამოითქვა უფრო კატეგორიული აზრიც: “აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როცა საქართველომ კონფლიქტურ რეგიონებში კონტროლირებადი ტერიტორიების ნაწილი დაკარგა, გაუგებარია, ვისთან შეიძლება დაიდოს მსგავსი შეთანხმება. რუსეთმა დე-იურე აღიარა ჩვენი ტერიტორიის ნაწილის ჩამოშორება, აქამდე ის ამას მხოლოდ დე-ფაქტო აკეთებდა. დაუშვებელია, რომ საქართველომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, რაიმე შეთანხმებას მოაწეროს ხელი”.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიურ აზრს იზიარებს ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური ოპოზიციური პარტიაც, რომლის პოზიცია საფუძველშივე განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენი ოპოზიციური პარტიის მოსაზრებისაგან. სახელდობრ, ამ პარტიის ერთხერთი ლიდერის აზრით, მსგავსი შეთანხმების ხელმოწერა კატეგორიულად დაუშვებელია. “ეს შეთანხმება უნდა დადებულიყო მაშინ, როცა ეს საკითხი გაეროში განიხილებოდა. მიგვაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და მისმა წარმომადგენელმა გაეროში, საქართველოს ელჩმა ი. ალასანიამ, დანაშაული ჩაიდინეს. სწორედ დანაშაული და არა შეცდომა. ამ შემთხვევაში რუსეთის დიპლომატიური მანევრები სტრატეგიულად სრულიად სწორი იყო. მან თავის წარმომადგენელს, ჩურკინს, დაავალა დაესვა საკითხი უშიშროების საბჭოს მიერ აფხაზეთში საომარ მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ სპეციალური დადგენილების მიღებაზე, თუმცა კარგად იცოდა, რომ ის მიღებული არ იქნება. დადგენილების ტექსტიც კი მომზადდა რუსეთის მონაწილეობით. სხდომაზე საქართველოს ელჩი აბსოლუტურად პასიური იყო, ხოლო დადგენილება არ იქნა მიღებული აშშ-ს ელჩის მიზეზით. ამან ბ-ნ ჩურკინს საქართველოს აგრესიულ განზრახვაში დადანაშაულის საშუალება მისცა. რუსეთმა მორალური გამარჯვება მოიპოვა, ამან მას “ხელფეხი გაუხსნა” თავისი მიზნის განსახორციელებლად. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების მოქმედებების პროვოცირება შესძლო. ეს დადგენილება საომარ მოქმედებათა დაწყებამდე რომ ყოფილიყო მიღებული, სულ სხვა რეალობასთან გვექნებოდა საქმე. დღეს კი მსგავრი შეთანხმების ხელმოწერა დაუშვებელია, რადგან ამ შეთანხმების სუბიექტები ორი დამოუკიდებელი ქვეყანა — საქართველო და აფხაზეთი — აღმოჩნდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ეტაპზე შეთანხმების ხელმოწერა ჩვენი მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასია, რადგან ეს იქნება შეთანხმება არა ერთიანი საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და მის სეპარატისტულ რეგიონს შორის, როგორც 7 აგვისტომდე, არამედ საქართველოსა და დამოუკიდებელ აფხაზეთს შორის. ამგვარი შეთანხმების დადება ომამდე უნდა მომხდარიყო; მაშინ ის, ვინც მას დაარღვევდა, მთელი სიმკაცრით დაისჯებოდა”.

ზოგადად დაახლოებით იგივე აზრი აქვთ სახელმწიფო მოხელეებსა და მმართველ პარტიას, თუმცა გამოხატვის ფორმა განსხვავებულია – ფრთხილიდან – “აუცილებლობის შემთხვევაში მზად ვართ ხელი მოვანეროთ ნებისმიერ საერთაშორისო დოკუმენტს ევროკავშირის, ეუთოსა და გაეროს ეგიდით” — სრულიად კატეგორიულამდე — “ამ ეტაპზე მსგავსი საკითხის დღის წესრიგში დაყენებაც კი დაუშვებელია”. მაგრამ მთლიანობაში ყველას ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ჯერ “სარკოზი-მედევედების გეგმა” უნდა შესრულდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი სხვა შეთანხმებების დადებაზე.

ბევრი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ “საქართველოს ადრეც არაერთხელ დაუდასტურებია, რომ კონფლიქტის მოგვარებას მხოლოდ მშვიდობიანი გზით აპირებს. კერძოდ, საომარ მოქმედებათა განუახლებლობის პირობა ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი შეთანხმების პირველი პუნქტი იყო. 1992 წლის 3 სექტემბრის შევარდნაძე-ელცინის პირველი შეთანხმების პირველი პუნქტში აღნიშნული იყო, რომ მხარეები არ გამოიყენებენ ძალას ან ძალის მუქარას, თუმცა ერთი თვის შემდეგ რუსეთმა ეს პირობა დაარღვია, რის შედეგადაც საქართველომ გაგრა დაკარგა. ამის შემდეგ ასეთ შეთანხმებას კვლავ მოენერის ხელი გოგუაძემ და კოზირევმა 1993 წლის 27 ივნისს, სოჭში, მაგრამ სექტემბერში რუსეთმა ეს შეთანხმებაც დაარღვია, რის შედეგადაც სოხუმი დაკარგეთ. ასეთი შეთანხმება მიღებულ იქნა “ჟენევის პროცესის” ფარგლებშიც. ამგვარ შეთანხმებებზე ხელი დსთ-ს ფარგლებშიც მოგვიწერია. ქართული მხარე ასეთ შეთანხმებებს ყოველთვის ასრულებდა”.

ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, “საჭიროებისამებრ მზად ვართ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებსაც მოვანეროთ ხელი — ევროკავშირის, ეუთოს, გაეროს ეგიდით. თუმცა, ყოველივე ერთ მიზანს უნდა ემსახურებოდეს: ამ ტერიტორიაზე ჩადენილია დანაშაული – ეთნიკური წმენდა, და საჭიროა მისი შედეგების ლიკვიდაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნებისმიერი შეთანხმებამ უნდა უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნება. ნებისმიერი საერთაშორისო ქმედება სწორედ ამ მიზნისაკენ უნდა იყოს მიმართული. ესაა არა მხოლოდ საქართველოს პოზიცია, არამედ ეუთოს სამიტის მიერ სამგზის მიღებული გადაწყვეტილება; ანალოგიური პოზიცია არის გამოხატული ეუთოს სამიტის მი გაეროს უკანასკნელ გადაწყვეტილებაშიც, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებში”.

### 5.1.2. შეთანხმების მხარეები

ბუნებრივია, რომ კითხვას შეთანხმების შესაძლო მხარეების შესახებ ამ პასუხობდნენ იმ რესპონდენტები, რომლებიც ამ ეტაპზე მსგავსი შეთანხმების ხელმოწერის წინააღმდეგი არიან. დამოუკიდებელ ექსპერტთა დიდ ნაწილს, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ყველა ლიდერი (ერთის გამოკლებით, რომელიც მიიჩნევს, რომ შეთანხმების დადება ამ ეტაპზე დაუშვებელია) თვლის, რომ შეთანხმებას ხელი უნდა მოანეროს ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა.

მაგრამ, ამასთანავე, უმრავლესობის მიაჩნია, რომ აუცილებელია გარანტიების მონაწილეობაც. მათი ერთსულოვანი აზრით, გარანტი უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო, ევროკავშირი) და დასავლეთი (აშშ, ევროკავშირი). ძალიან მცირეა იმ პირთა რიცხვი, ვინც თვლის, რომ შეთანხმება უშუალოდ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის უნდა შედგეს. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, “ინტერნაციონალიზაცია საქმეს მხოლოდ ვნებს, ჩვენი საშინაო საქმეები თავად უნდა მოვაგვაროთ”.

რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი (შეთანხმების მონაწილეობის წინააღმდეგეთა ჯგუფიდან, რომლებმაც მაინც საჭიროდ ჩათვალეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა) თვლის, რომ “ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, არ არსებობენ სუბიექტები, რომლებიც ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ”.

აღსანიშნავია, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოისურვა იმ ოპოზიციური პარტიის ლიდერმაც, რომლის მოსაზრებაც რადიკალურად განსხვავდება სხვა დანარჩენი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიისაგან: “საერთაშორისო ორგანიზაციები და დასავლეთის ქვეყნები, როგორც ეს “ჟენევის პროცესშია” — გაერო, ეუთო, ევროკავშირი შუამავლების როლში, საქართველო, აშშ და რუსეთი შეთანხმების მხარეების სახით”.

საინტერესოა, რომ ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერის აზრი ისევე ემთხვევა სახელმწიფო მოხელეთა და მმართველი პარტიის წარმომადგენელთა პოზიციას: “ეს საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილია ჟენევის ფორმატში. უფრო ავტორიტეტული ფორმატი არ არსებობს. “ჟენევის პროცესში” მონაწილეობს სამი საერთაშორისო ორგანიზაცია – გაერო (მუშაობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე), ევროკავშირი (ახლაც მუშაობს) და ეუთო (მუშაობდა ცხინვალის რეგიონში). უფრო ავტორიტეტული ორგანიზაციები არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით ნატოს. ჩვენ, ბუნებრივია, თანახმა ვართ ამ ალიანსის მონაწილეობაზეც. საერთაშორისო ორგანიზაცი-

ებთან ერთად “ჟენევის პროცესში” სამი სახელმწიფო მონაწილეობს – აშშ, როგორც პროცესის მონაწილე, და ორი კონფლიქტში მონაწილე მხარე – რუსეთი და საქართველო”.

### 5.1.3. აუცილებელია თუ არა შეთანხმების შეძლებისდაგვარად სწრაფად ხელმოწერა?

კითხვას, აუცილებელია თუ არა შეთანხმების შეძლებისდაგვარად სწრაფად ხელმოწერა “ჟენევის პროცესის” ფარგლებში რეალური მოლაპარაკების დასაწყებად, დამოუკიდებელ ექსპერტთა უმრავლესობამ და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ყველა ლიდერმა (იმავე ერთის გამოკლებით) დადებითად უპასუხეს. აღინიშნა, რომ შეთანხმებაზე ეს რამდენადმე განმუხტავს მდგომარეობას, შექმნის სათანადო ფსიქოლოგიურ განწყობას – მხარეთა მიერ კონფლიქტის ძალადობრივი მეთოდებით გადაწყვეტაზე უარის თქმას.

ამრიგად, ყველას, ვისაც ამ შეთანხმების ხელმოწერის მომხრეა და მიაჩნია, რომ მისი მხარეები საქართველო და აფხაზეთი უნდა იყოს (გარანტიების მონაწილეობით თუ მათ გარეშე), ფიქრობს, რომ ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაკეთდეს.

სახელმწიფო სექტორში დაკავებულმა ექსპერტებმა, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა და ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერმა ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცეს<sup>46</sup>. ზოგიერთმა საჭიროდ ჩათვალა აეხსნა საკუთარი პოზიცია: “ჩვენს მიერ უკვე ხელმოწერილია ანალოგიური შეთანხმება დსთ-ს, ევროკავშირის ფარგლებში (“სარკოზი-მედევევის გეგმა”), რაც ადასტურებს, რომ ჩვენი მხრიდან პრობლემა არ არსებობს. მაგრამ უკვე არსებობს ორი დოკუმენტი სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შესახებ. ახალი დოკუმენტი მხოლოდ და მხოლოდ “ჟენევის პროცესის” ფარგლებში შეიძლება იქნეს მიღებული. მაგრამ ამ დოკუმენტში უკვე საჭიროა სხვა კომპონენტებზე შეთანხმება, რადგან საქართველოში იმყოფება აგრესორი, რომელმაც ჩვენი ტერიტორიის ოკუპაცია-ანექსია განახორციელა და ეთნიკური წმენდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლად გამოაცხადა”. ბევრი ექსპერტი იმეორებს თავის პირობას: “საჭიროა 6 აგვისტოს მდგომარეობას დავუბრუნდეთ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს მუშაობა ამ დოკუმენტის შექმნაზე”.

### 5.1.4. შეთანხმების ხელმოწერის პირობები

შემდეგი კითხვის მიზანი იყო იმის გარკვევა, თუ რა პირობებით, სახელმწიფო მოხელეთა და პოლიტიკური პარტიების ლიდერთა აზრით, შეიძლება გაფორმდეს ეს შეთანხმება. პირველი კითხვა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: “არის თუ არა მიზანშეწონილი/შესაძლებელი ასეთი შეთანხმების უპირობო ხელმოწერა?”

ამ კითხვას დადებითად უპასუხა დამოუკიდებელ ექსპერტთა მხოლოდ ნაწილმა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერთა დაახლოებით ნახევარმა. მათ მიაჩნიათ, რომ ეს შეთანხმება შემდგომი სამშვიდობო პროცესის საფუძვლად უნდა იქცეს, ხოლო მასში რაიმე სახის დამატებითი პირობების ჩადების შემთხვევაში ხელმოწერა გაურკვეველი ვადით გაინეღება. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, “რასაკვირველია, არსებობს ამა თუ იმ პირობის წამოწევის ცდუნება, მაგრამ აუცილებლად უნდა დავძლიოთ ის, თუკი სამშვიდობო პროცესის რეალური დაწყება გვსურს.” აღინიშნება, რომ ეს შეთანხმება პირველი ნაბიჯი იქნება აფხაზეთის საზოგადოების ნდობის დაბრუნების მიმართულებით.

გამოითქვა მოსაზრება, რომ უკეთესი იქნება, თუკი დაიდება ცალკეული შეთანხმება გალის რაიონის, კოდორის ხეობის, ახალგორისა და სხვ. თაობაზე. ყველა ეს შეთანხმება უნდა შეიცავდეს მხარეთა ვალდებულებას მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამოქალაქო უფლებების დაცვის შესახებ და ა.შ.

გამოკითხულ დამოუკიდებელ ექსპერტთა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერთა დარჩენილმა ნაწილმა განაცხადა, რომ აუცილებელია გარკვეული დამატებითი პირობების გათვალისწინებაც.

ამ საკითხში მათი აზრი დაემთხვა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის, სახელმწიფო სექტორში დაკავებულ ექსპერტთა და მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მოსაზრებებს. ისინი ამ შეთანხმების ხელმოწერის აუცილებელ წინაპირობად უკვე დადებული შეთანხმების (იგულისხმება “სარკოზი-მედევევის გეგმა”) შესრულებასა და 2008 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობის დაბრუნებას თვლიან. მათი სიტყვებით, ახალ შეთანხმებაზე ხელმოწერა აზრს მოკლებულია მანამ, სანამ საერთაშორისო საზოგადოება არ აიძულებს რუსეთს შეასრულოს უკვე

<sup>46</sup> ეს კითხვა არ დაგვისვამს იმ რესპონდენტებისათვის, ვინც უარყოფითი პასუხი გასცა პირველ კითხვას შეთანხმების ხელისმოწერის მიზანშეწონილობის შესახებ. თუმცა, ზოგიერთმა მაინც მოისურვა კიდევ ერთხელ უპასუხა “არა”.

აღებული ვალდებულებები. პრობლემა, მათი განმარტებით, არის არა ხელშეკრულების არარსებობა, არამედ რუსეთის მიერ მის შეუსრულებლობა.

ამის შემდეგ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც გვიპასუხეს, რომ შეთანხმებაზე ხელის მონერისას აუცილებელია გარკვეული დამატებითი წინაპირობების დათქმა, ვთხოვეთ ამ პირობების დასახელება.

დამოუკიდებელი ექსპერტები და პოლიტიკური პარტიების ლიდერები, რომლებმაც უარყოფითი პასუხი გასცეს პირველ კითხვას, თვლიან, რომ აუცილებელია კონფლიქტური რეგიონების დემილიტარიზაციის დაწყება, კონფლიქტური ზონებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანის თაობაზე შეთანხმების დადება, ადმინისტრაციული საზღვრის პერიმეტრის გასწვრივ სამხედრო დამკვირვებლების განლაგება, ხოლო, თავად კონფლიქტურ ზონებში – საერთაშორისო დამკვირვებლების, დევნილთა უსათუო დაბრუნებისათვის გარკვეული პირობების შექმნა.

მთლიანობაში დაახლოებით ასეთივე მოსაზრება აქვთ ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლებსაც, რომლებიც ისევ და ისევ აღნიშნავენ, რომ პირველყოვლისა უნდა აღდგეს სტატუს კვო 2008 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით, ე.ი. მოხდეს ომამდელ საწყის პოზიციებზე დაბრუნება. ხაზი გაესვა “სარკოზი-მედევევის” გეგმის შესრულების აუცილებლობას. ამის შემდგომ, მიიჩნევენ ისინი, უნდა შეიქმნას იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პირობები, განხორციელდეს საერთაშორისო მონიტორინგი, შეიქმნას ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები და სხვ.

ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვებით, “ევროკავშირი და ეუთო თვლიან, რომ კონფლიქტურ რეგიონებში უნდა შევიდეს საერთაშორისო საპოლიციო და სამხედრო სტრუქტურები სწრაფი რეაგირების კორპუსის სახით, ე.ი. საჭიროა ფორმატის გაფართოება – მონიტორინგს დამატებული პოლიციური ძალები, პლუს სამხედრო ძალები. მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ხელი მოეწეროს მოცემულ შეთანხმებას, თუკი ეს საჭირო იქნება, თუმცა ზემოაღნიშნული სტრუქტურების არსებობა თავისთავად უკვე უსაფრთხოების გარანტიაა.”

რაც შეეხება ყველა ამ შეთანხმების ხელმოწერის წესს, რესპონდენტები თვლიან, რომ დოკუმენტებს, სადაც შეთანხმების ხელმოწერის წინაპირობებია დათქმული, და თავად შეთანხმებას, შესაძლოა, პარარელურ რეჟიმში, ერთ პაკეტად მოეწეროს ხელი.

ოპოზიციური პარტიის ლიდერის შეხედულებები, რომელიც თვლის, რომ ამ ეტაპზე მსგავსი შეთანხმების ხელმოწერა დაუშვებელია, დანარჩენების მოსაზრებებისაგან საფუძველშივე განსხვავდება. კერძოდ, აღნიშნება, რომ “აუცილებელია დაიწყოს საქართველოსა და აფხაზეთს შორის პირდაპირი დიალოგი ეტაპობრივად - დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების აღსადგენად. ეს რთული პროცესია, მაგრამ მისი დაწყება აუცილებელია. დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენის შემდგომ საქართველოს ხელისუფლებამ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომლებიც ხუთი წლის მანძილზე უმოქმედოდ იყვნენ, უნდა დაიწყონ მუშაობა საქართველოსა და რუსეთს შორის ჩარჩო ხელშეკრულებაზე, რადგან ეს – ფუძემდებლური საკითხია. “ჟენევის პროცესი” უნდა გადავიდეს მოსკოვში. ამ ხელშეკრულების ფარგლებში რუსეთმა უნდა აღიაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მხოლოდ ასე არის შესაძლებელი წინ წაწევა. საჭირო გახდება რამდენიმე სამუშაო ჯგუფის შექმნა სახელმწიფო საზღვრების, კონფლიქტური რეგიონებისა და სხვ. საკითხებზე, მათ შორის ერთიანი საქართველოს ფარგლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის თაობაზე. ეხლა, როდესაც ჯერ კიდევ არ არის გვიანი, შეიძლება 1922 წლის პრაქტიკის გამოყენება: დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში მაშინ არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არ შედიოდა. მათ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, მაგრამ შემდგომ, შეთანხმების საფუძველზე, ფედერაციის ფორმით, საქართველოს შემადგენლობაში შევიდნენ. პირველ ეტაპზე ეს შეიძლება იყოს ფედერაცია, კონფედერაცია ან ცენტრალურ ხელისუფლებესთან ხელშეკრულებითი ურთიერთობების სხვა ფორმა. ეს იქნება ნაბიჯი წინ. იცვლება დრო, პოლიტიკური კონტექსტი. მთავარია, რომ არცერთ საერთაშორისო დოკუმენტში საქართველო ამ ტერიტორიების გარეშე არ ფიგურირებდეს”.

### 5.1.5. შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები

დამოუკიდებელ ექსპერტთა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეთანხმების ხელმოწერის უარყოფით შედეგებს ვერ ხედავენ; შედეგები შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი, ამასთან, ორივე მხარისათვის. ისინი აღნიშნავენ, რომ ამით ორივე მხარე აღიარებს ქართულ-აფხაზეთური კონფლიქტის ძალისმიერი, სამხედრო გზით გადაწყვეტის დაუშვებლობას და ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის აღდგენის, თანამშრომლობის, კონფლიქტის დასარეგულირებლად სამშვიდობო გზების ძიების აუცი-

ლებლობას. ასეთი აზრისაა ყველა, ვინც თვლის, რომ მოცემულ შეთანხმებას უნდა მოენეროს ხელი და, ამასთანავე, რაც შეიძლება სწრაფად (ამ დოკუმენტზე ხელმოწერის პირობების მიუხედავად – დამატებითი პირობებით თუ მათ გარეშე, საერთაშორისო გარანტიორების მონაწილეობით თუ უშუალოდ აფხაზეთსა და საქართველოს შორის).

თუმცა, გამოითქმის სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ “მოგვიწევს ხელი მოვანეროთ შეთანხმებას რუსეთის აგრესიის ფონზე, რომელიც ამ გზით თავის ყოფნას რეგიონში ლეგალურს გახდის, ვინაიდან იგი ამ ხელსეკრულების სრულუფლებიან ნევრად იქცევა”.

დადებით მხარეებს რაც შეეხება, ისინი “მეტი პასუხისმგებლობის, მეტი კონტროლის” შესაძლებლობას ხედავენ. მიიჩნევენ, რომ შეიქმნება გარანტიები იმისა, რომ არცერთი მხარე მოულოდნელად არ დაიწყებს სამხედრო მოქმედებებს. პირიქით, დაიწყება კონფლიქტური ზონების დემილიტარიზაცია, აფხაზურ საზოგადოების ნდობის დაბრუნება და დიალოგი.

რაც შეეხება ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, ისინი აღნიშნავენ, რომ “საქართველოს მიზანია – იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება, ამ რეგიონის ინტეგრირება, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების უზრუნველყოფა”. მოცემულ შეთანხმებაზე ხელმოწერის დადებით შედეგებზე საუბარი შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელი მოეწერება შეთანხმებების პაკეტს, მათ შორის, დევნილთა უსაფრთხოდ დაბრუნების და საერთაშორისო გარანტიების შესახებ. სხვა პირობებით ამ შეთანხმებაზე ხელმოწერა უაზრობაა.

დაბოლოს, აღსანიშნავია ისევ და ისევ იმავე ოპოზიციური პარტიის განსაკუთრებული აზრი, რომელიც თვლის, რომ ამ ეტაპზე, შეთანხმებაზე ხელმოწერას მხოლოდ უარყოფითი შედეგები მოჰყვება. კერძოდ, ეს აფხაზეთის დამოუკიდებლობის ფაქტიური აღიარების ტოლფასია.

### **5.1.6. შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის მოსალოდნელი შედეგები**

შეკითხვაზე – “კერძოდ რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მსგავსი შეთანხმების არქონის პირობებში დღევანდელ სტატუს კვოს?” – ყველა გამოკითხულმა პირმა, როგორც დამოუკიდებელმა ექსპერტებმა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერებმა (გარდა ერთისა), ასევე ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა, ერთსულოვნად უპასუხეს, რომ რაიმე სახის პოზიტიურ შედეგებს ხსენებული შეთანხმების არქონაში ვერ ხედავენ. შედეგები, თვლიან ისინი, შესაძლოა მხოლოდ უარყოფითი იყოს, თანაც ორივე მხარისათვის.

თითქმის ყველა დამოუკიდებელი ექსპერტი და ოპოზიციურ პარტიათა ლიდერი მსგავსი ხელშეკრულების არქონის შემთხვევაში სამხედრო მოქმედებების განახლების, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მუდმივი დესტაბილიზაციის, იძულებით გადაადგილებულ პირთა ვერდაბრუნების, საერთაშორისო მონიტორინგის არქონის, აფხაზური საზოგადოების მხრიდან უნდობლობის და, შესაბამისად, დიალოგის არქონის პერსპექტივას ხედავს.

დამოუკიდებელ ექსპერტთა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მათი ნაწილის აზრით, “ამ შეთანხმების არქონა რუსეთის ქმედებების შემზღუდავი რაიმე სახის მექანიზმის არქონის ტოლფასია”.

მოცემულ შეკითხვაზე პასუხისას, მმართველი პარტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დასძინა, რომ “დღევანდელი სტატუს კვო, პრაქტიკულად, არ არსებობს, რადგანაც არ სრულდება უკვე არსებული საერთაშორისო დოკუმენტი – “სარკოზი-მედევედვის” ექვსპუნქტიანი გეგმა. ცხინვალის რეგიონში მხოლოდ 500 სამშვიდობო უნდა იმყოფებოდეს, ხოლო აფხაზეთში – არცერთი, რადგანაც იქ მოქმედებდა დსთ-ს სამშვიდობო მისია, რომელიც საქართველომ გააუქმა და ეს დსთ-მ, რუსეთის ჩათვლით, მიიღო”.

რაც შეეხება იმ ოპოზიციურ პარტიას, რომელიც შეთანხმებაზე ხელმოწერას დაუშვებლად მიიჩნევს, მისი ერთ-ერთი ლიდერის სიტყვებით “თუკი შესაძლებელია დღევანდელი სტატუს კვოს დადებით მხარეებზე საუბარი, იგი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო არ აღიარებდა თავის სეპარატისტულ რეგიონებს. დღეს უსაფრთხოებასა და მშვიდობაზე პასუხისმგებლობა აწევს არა აფხაზეთს, არამედ მის პროტექტორს – რუსეთს, ამიტომ ქართული მხრიდან ნებისმიერი პროვოკაცია პირდაპირ რუსეთ-საქართველოს ომს ნიშნავს, რომელიც საქართველოსთვის კიდევ უფრო მძიმე შედეგებით დასრულდება და გაგრძელდება მისი ტერიტორიების დაშლის პროცესი”.

### 5.1.7. შეთანხმების შესრულებისათვის აუცილებელი პირობები

გამოკითხულ პირთა მოსაზრებები რამდენადმე გაიყო იმის თაობაზე, თუ როგორი პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური პირობები უნდა შეიქმნას შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად და ვინ შეიძლება გახდეს ამგვარი შეთანხმების გარანტი.

კერძოდ, დამოუკიდებელ ექსპერტთა და პოლიტიკურ ოპოზიციურ პარტიათა ლიდერების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პირველ რიგში, აუცილებელია კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, შეიქმნას შერეული საკონტროლო კომისიები, დაიწყოს დიალოგი აფხაზებთან, რეალური მოლაპარაკებები “ჟენევის პროცესის” ფარგლებში, ასევე, ხელი შეეწყოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტურ ზონებში ურთიერთსასარგებლო ტრანსსაზღვრო პროექტების განხორციელებას (სავაჭრო-ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სხვ.).

რაც შეეხება ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლებს, ისინი მიიჩნევენ, რომ აუცილებელია რუსეთის საოკუპაციო ჯარების საერთაშორისო ძალებით შეცვლა. კერძოდ, გაფართოვდეს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ფორმატი – კონფლიქტურ ზონებში შევიდეს პოლიციური და სამხედრო ძალები სწრაფი რეაგირების კორპუსის სახით, გაძლიერდეს საერთაშორისო მონიტორინგი, რათა ნამდვილად შეიქმნას სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის გარანტიები.

თუმცა, გამოკითხულ პირთა უმრავლესობის მოსაზრება შეჯერდა იმაზე, რომ ამ შეთანხმების გარანტი დასავლეთი (ევროკავშირი, აშშ) და საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა გახდეს.

### 5.1.8. შეთანხმების დარღვევის შესაძლებლობა და მოსალოდნელი შედეგები

გამოკითხულ პირთა უმრავლესობისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას, შეთანხმების შეუსრულებლობის ან დარღვევის თვალსაზრისით, რუსეთი წარმოადგენს. მათ მხედველობაში აქვთ რუსეთის აგრესიული გეოპოლიტიკა, კავკასიაში თავისი პოზიციების შენარჩუნებისა და საქართველოში გავლენის აღდგენისკენ სწრაფვა. ამიტომ, თვლიან ისინი, თუკი დასავლეთის მხრიდან ყურადღება მოდუნდება, რუსეთი მორიგ პროვოკაციაზე წავა და ამა თუ იმ საბაბით შეთანხმებას დააღვევს. თითმის ყველას არგუმენტად “სარკოზი-მედედევის” გეგმის დარღვევა მოაქვს. ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვებით, რომელსაც პრაქტიკულად ყველა დანარჩენი რესპონდენტის აზრი ემთხვევა, “რუსეთი ყოველთვის ყველა შეთანხმებას არღვევს: 12 აგვისტოს მან ხელი მოაწერა შეთანხმებას, ხოლო 2 კვირის შემდეგ მან სცნო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ამგვარად, მან დაარღვია საერთაშორისო სამართალი არა მხოლოდ საქართველოსთან დამოკიდებულებაში, არამედ ევროკავშირთანაც, როგორც ამ შეთანხმების მონაწილესთან, და ამის შედეგად სამართლებრივ ჩიხში მოექცა”.

მხოლოდ რამდენიმე დამოუკიდებელი ექსპერტი და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ლიდერი აღნიშნავს, რომ “რუსეთმა უკვე მიიღო ის, რაც სურდა”, და ამიტომ მისი მხრიდან შემდგომი აგრესიული ქმედებების ალბათობა საკმაოდ მცირეა.

თითქმის ყველა გამოკითხული პირი პრაქტიკულად გამორიცხავს აფხაზების მხრიდან შეთანხმების შეუსრულებლობის ან დარღვევის შესაძლებლობას, თუმცა, რესპონდენტთა ნაწილმა მაინც დაუშვა, რომ შეასძლოა ეს მოხდეს “რუსეთის მხრიდან ნაქეზებით”. ამავე დროს, ამგვარი ქმედების მოტივების შეფასებისას აღინიშნება აზრთა აშკარა სხვადასხვაობა. კერძოდ, თუკი დამოუკიდებელ ექსპერტთა და ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა უმრავლესობა ამას იმით ხსნის, რომ შეთანხმების დარღვევა ან შეუსრულებლობა თავად აფხაზეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ხელისუფლების წარმომადგენლები აფხაზეთისათვის ამგვარი შესაძლებლობის არქონას ასახელებენ. ერთ-ერთი სახელმწიფო მოხელის სიტყვების თანახმად, “აფხაზებმა ჯერ კიდევ მარტში მიიღეს კოდორის თაობაზე გადაწყვეტილება, მაგრამ მათ არ გააჩნიათ თავიანთი გადაწყვეტილების შესრულების მექანიზმი. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ კონფლიქტის მხარე რუსეთია. აფხაზებს არავინ არაფერს ეკითხება. ხშირად ჩვენ უფრო ადრე ვიგებთ რუსეთის ძალების გადაადგილების შესახებ, ვიდრე თავად აფხაზები”.

რაც შეეხება შეთანხმების დარღვევას ან შეუსრულებლობის შესაძლებლობას საქართველოს მხრიდან, აქ მოსაზრებები მკვეთრად გაიყო. კერძოდ, თითქმის ყველა დამოუკიდებელმა ექსპერტმა და გამონაკლისის გარეშე ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებმა დაუშვეს შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შესაძლებლობა საქართველოს მხრიდან. ამგვარი ქმედების შედეგებს ისინი აფასებენ როგორც საქართველოსთვის კატასტროფულს. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, “ამას მოჰყვება სამაგალითო სასჯელი რუსეთის მხრიდან, რომელიც ახლა მოკლებულია საქართველოს სხვა დანარჩენი ტერიტორიის კონტროლის შესაძლებლობას. რუსეთი კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით გამოაჩენს საკუთარ ძალას”.



ხელისუფლებისა და მმართველი პარტიის წარმომადგენლები შეთანხმების საქართველოს მხრიდან დარღვევისა ან შეუსრულებლობის შესაძლებლობას კატეგორიულად გამორიცხავენ.

ყველა რესპონდენტი, გამონაკლისის გარეშე, მიიჩნევს, რომ შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგები ძალზე მძიმე იქნება როგორც ქართველებისთვის, ისე აფხაზებისთვის არ გამორიცხავენ ფართომასშტაბიან სამხედრო მოქმედებების შესაძლებლობას, იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალ ნაკადებს, საქართველოს ტერიტორიის შემდგომ დანაწევრებას. ბევრი დამოუკიდებელი ექსპერტი და ოპოზიციურ პარტიათა ლიდერი იმაზეც საუბრობს, რომ ამის შედეგად საქართველოს ტერიტორია, შესაძლოა, სამხედრო მოქმედებების პოლიგონად გადაიქცეს (ავღანეთის მსგავსად).

ყველა რესპონდენტი, გამონაკლისის გარეშე, ენდობა საერთაშორისო გარანტიორებს (დასავლეთს, საერთაშორისო ორგანიზაციებს). კერძოდ, აღნიშნავენ, რომ ისინი თავიანთ მოვალეობებს მანდატით გათვალისწინებულ ფარგლებში ყოველთვის ასრულებენ. აგრეთვე მიიჩნევენ, რომ მათ მიერ საკუთარ თავზე აღებული გარანტიების შეუსრულებლობა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ნახალისებას ნიშნავს, რაც ამ უკანასკნელს შესაძლებლობას მისცემს განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი და გაზარდოს საკუთარი გავლენის ზონა. ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენლის სიტყვებით: “ამ შემთხვევაში პარარელური პროცესები დაიწყება უკრაინაში, ბალტიისპირეთში, რაც სსრკ-ს აღდგენის მცდელობას ნიშნავს. მაგრამ რუსეთი არ არის სსრკ, მას რესურსები არ ეყოფა. როდესაც ყოველივე ეს იწყებოდა, ნავთობი 140 დოლარი ღირდა, ეხლა, კი, მისი ფასი მკვეთრად დაეცა”.

## 5.2. ნაწილი 2. რაოდენობრივი ანალიზის შედეგები

**კვლევის მეთოდი.** როგორც ზემოთ აღინიშნა, რაოდენობრივი კვლევის კითხვარი შემუშავებულ იქნა თვისებრივი კვლევის შედეგების საფუძველზე. კითხვარი 10 შერეულ კითხვას, ანუ კითხვას შესაძლო პასუხების ნუსხითა და პასუხით “სხვა”, მოიცავდა (დართულია, იხ. დანართი 3) ამასთან, ოთხ კითხვაზე პასუხისას რესპონდენტი მხოლოდ ერთ პასუხს ირჩევდა, დანარჩენ კითხვებზე პასუხის გაცემისას კი მას ერთდროულად რამდენიმე პასუხის არჩევა შეეძლო.

**შერჩევა.** აზრთა შეძლებისდაგვარად ფართო სპექტრის გამოსავლენად შეირჩა შემდეგი სამიზნე ჯგუფები:

1. ინტელიგენცია;
2. იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან;
3. ყოფილი მეომრები;
4. ახალგაზრდობა (სტუდენტები);
5. ჟურნალისტები (საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში მათი როლის გათვალისწინებით)

სულ გამოკითხულ იქნა 300 პირი; მონაცემები ცალკეული სამიზნე ჯგუფების რაოდენობის შესახებ წარმოდგენილია პირველ ცხრილში. შერჩევა შემთხვევითობის პრინციპით დაკომპლექტდა. შედეგების სანდოობის ასამაღლებლად გამოკითხვა ანონიმური იყო. რესპონდენტს ვთხოვეთ მხოლოდ სქესის, ასაკის, განათლების, პროფესიული საქმიანობისა და პარტიული კუთვნილების დასახელება. გამოკითხულ პირთა განაწილეთა ამ ნიშნებით (პარტიულობის გარდა) თვალსაჩინოებისათვის წარმოდგენილია გრაფიკული სახით არის (იხ. დანართი 4, ნახ. 1-4). რაც შეეხება პარტიულ კუთვნილებას, 300 გამოკითხულიდან მხოლოდ სამი აღმოჩნდა ამა თუ იმ პარტიის წევრი.

ცხრილი 1

ცნობები რესპონდენტთა შესახებ

მიზნობრივი ჯგუფი	აბსოლუტური მაჩვენებელი	ფარდობითი მაჩვენებელი
ყოფილი მეომრები	94	31.3%
დევნილები	62	20.7%
ინტელიგენცია	55	18.3%
ჟურნალისტები	52	17.3%
სტუდენტები	37	12.4%

კვლევის მასალა დამუშავდა მათემატიკური სტატისტიკის კომპიუტერულ პროგრამათა პაკეტის — “SPSS” — მეშვეობით. სამიზნე ჯგუფებს შორის განსხვავების სტატისტიკური სანდოობის შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა პირსონის  $\chi^2$  კრიტერიუმი.

## კვლევის შედეგები

ვიდრე მიღებული შედეგების უშუალო განხილვას შევედგებით, უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემთა დამუშავებისას გამოთვლილი იყო როგორც საერთო მაჩვენებლები მთლიანი შერჩევის მიხედვით, ისე მიზნობრივი ჯგუფების, აგრეთვე დემოგრაფიული ნიშნით გამოყოფილი ქვეჯგუფების მაჩვენებლები.

### 5.2.1. შეთანხმების ხელმოწერის აუცილებლობის გაცნობიერება

კითხვარის პირველი კითხვის მიზანი იყო აფხაზეთში საომარ მოქმედებათა განუახლებლობის თაობაზე შეთანხმების ხელმოწერის მიმართ საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულების შესწავლა. ამ ბლოკის პირველი კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: “ექვსპუნქტიანი “სარკოზი-მედევეის გეგმის” რეალიზაციის მიზნით მიმდინარეობს საერთაშორისო მოლაპარაკებები (“ჟენევის პროცესი”), რომლის ფარგლებშიც განიხილება კონფლიქტურ ზონებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიების შექმნის საკითხი. ამ მოლაპარაკებების წარმატებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია აფხაზეთში საომარ მოქმედებათა განუახლებლობის შეთანხმების ხელმოწერა?”.

დასმულ შეკითხვაზე პასუხისას რესპონდენტი ირჩევდა ერთ-ერთ პასუხს შემდეგი შესაძლო პასუხიდან:

1. ძალიან მნიშვნელოვანია
2. მნიშვნელოვანია
3. საჭირო არ არის
4. ამის გაკეთება დაუშვებელია
5. მიჭირს პასუხის გაცემა

მიღებული შედეგი მთლიანად შერჩევის მიხედვით წარმოდგენილია მე-2 ცხრილში. თვალსაჩინოებისათვის მიღებული შედეგი — როგორც მთლიანად შერჩევის, ისე ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიხედვით — წარმოდგენილი გრაფიკული სახითაც (იხ. დანართი 10, ნახ. 5-10).

ცხრილი 2

#### რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება

პასუხები	ფარდობითი სიხშირე
ძალიან მნიშვნელოვანია	46%
მნიშვნელოვანია	34%
საჭირო არ არის	7%
ამის გაკეთება დაუშვებელია	6%
მიჭირს პასუხის გაცემა	7%

ცხრილი 3

#### რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება

პასუხები	18-30 წელი	31-44 წელი	45-60 წელი	60 წელზე მეტი
ძალიან მნიშვნელოვანია	48%	45%	41%	59%
მნიშვნელოვანია	38%	32%	35%	24%
საჭირო არ არის	6%	8%	6%	12%
ამის გაკეთება დაუშვებელია	3%	8%	9%	0%
მიჭირს პასუხის გაცემა	5%	7%	9%	6%

ცხრილი 4

#### რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება

პასუხები	ქალები	მამაკაცები
ძალიან მნიშვნელოვანია	49%	42%
მნიშვნელოვანია	36%	32%
საჭირო არ არის	4%	11%
ამის გაკეთება დაუშვებელია	5%	8%
მიჭირს პასუხის გაცემა	7%	7%

ცხრილი 5

#### რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება

პასუხები	ყოფილი მეომრები	დევენილები	ინტელიგენცია	ჟურნალისტები
ძალიან მნიშვნელოვანია	47%	50%	39%	41%
მნიშვნელოვანია	33%	34%	37%	35%
საჭირო არ არის	5%	6%	7%	14%
ამის გაკეთება დაუშვებელია	9%	2%	9%	8%
მიჭირს პასუხის გაცემა	5%	8%	7%	3%

**რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება**

პასუხები	საშუალო და სპეციალური საშუალო განათლება*	უმალესი განათლება	სამეცნიერო ხარისხი
ძალიან მნიშვნელოვანია	40%	46%	53%
მნიშვნელოვანია	35%	35%	31%
საჭირო არ არის	5%	7%	11%
ამის გაკეთება დაუშვებელია	0%	7%	3%
მიჭირს პასუხის გაცემა	20%	5%	3%

\*ეს ორი ქვეჯგუფი აქ და შემდგომში გაერთიანებულია მათი მცირერიცხოვნობის გამო

**რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება**

პასუხები	კერძო სექტორი	სახელმწიფო სექტორი	უმუშევარი	სტუდენტი
ძალიან მნიშვნელოვანია	43%	46%	56%	54%
მნიშვნელოვანია	42%	35%	17%	32%
საჭირო არ არის	5%	4%	8%	4%
ამის გაკეთება დაუშვებელია	6%	7%	8%	4%
მიჭირს პასუხის გაცემა	3%	8%	11%	7%

ამრიგად, როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა (80%) აცნობიერებს მსგავსი შეთანხმების ხელმონერის აუცილებლობას. ის, ვინც მიიჩნევს, რომ ხელმონერა არ არის საჭირო, ასევე ამის კატეგორიული მონინააღმდეგეები, აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდნენ – შესაბამისად 7 და 6 პროცენტი.

როგორც მე-3 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს (იხ. დანართი 10, ნახ. 6), მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სხვაობა ცალკეულ ჯგუფებს შორის არ არის, რასაც სხვაობის სანდოობის შემოწმებაც ადასტურებს (პირსონის კრიტერიუმი  $\chi^2=11.356$ ;  $p=0.787$ ). ყველა სამიზნე ჯგუფში უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შეთანხმებაზე ხელმონერა აუცილებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მცირეა იმ პირთა რიცხვი, რომელთაც გაუჭირდათ მოცემულ შეკითვაზე პასუხის გაცემა (სხვა სიტყვებით, ისინი, ვისაც მოცემულ საკითხზე აზრი არა აქვს ჩამოყალიბებული).

ამ საკითხზე სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება არც გენდერული ნიშნით ( $\chi^2=6.606$ ;  $p=0.158$ ) და არც მოღვაწეობის სფეროს ( $\chi^2=17.382$ ;  $p=0.136$ ) მიხედვით გამოყოფილ ქვეჯგუფებს შორის აღინიშნა. თუმცა, გამოვლინდა გარკვეული განსხვავება გამანათლების ცენზის მიხედვით გამოყოფილ ჯგუფებს შორის ( $\chi^2=30.335$ ;  $p=0.016$ ). კერძოდ, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო მაღალია სამშვიდობო შეთანხმების ხელმონერის აუცილებლობის გაცნობიერების ხარისხი (ცხრილი 6; ნახ. 9).

ამრიგად, მიღებული შედეგები თვალნათლივ ცხადყოფენ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აცნობიერებს შეთანხმებაზე ხელმონერის აუცილებლობას.

მეორე კითხვა ეხებოდა შეთანხმების შესაძლო ხელმომწერ მხარეებს და შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: “ვინ უნდა იყოს მოცემული შეთანხმების მხარეები?” პასუხის გასაცემად რესპონდენტი ირჩევდა ერთ პასუხს შემდეგიდან:

1. უშუალოდ საქართველო და აფხაზეთი
2. საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი (ევროპა, აშშ) როგორც გარანტორი
3. საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები გაერო, ეუთო) როგორც გარანტორი
4. საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები, ხოლო დასავლეთი როგორც გარანტორი
5. საქართველო-რუსეთი და დასავლეთი (ევროპა, აშშ) როგორც გარანტორი
6. საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო) როგორც გარანტორი
7. საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები, ხოლო დასავლეთი როგორც გარანტორი
8. მიჭირს პასუხის გაცემა
9. სხვა.

მიღებული შედეგები წარმოდგენილია მე-8 ცხრილში (იხ. ასევე დანართი 10, ნახ.11)

**შეთანხმების მხარეები**

პასუხები	სიხშირე
უშუალოდ საქართველო და აფხაზეთი	24%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი	16%
საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	8%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	8%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი	20%
საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	7%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	12%
მიჭირს პასუხის გაცემა	4%
საქართველო-რუსეთი- აფხაზეთი და დასავლეთი	1%

ცხრილი 9

**შეთანხმების მხარეები**

პასუხები	ყოფილი მეომარი	დევნილი	ინტელიგენცია	ჟურნალისტი	სტუდენტი
უშუალოდ საქართველო და აფხაზეთი	28%	26%	27%	17%	19%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი	11%	16%	13%	38%	15%
საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	6%	12%	6%	10%	6%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	13%	9%	6%	3%	8%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი	28%	18%	25%	17%	6%
საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	9%	5%	4%	7%	15%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	6%	7%	13%	7%	25%
მიჭირს პასუხის გაცემა	0%	5%	5%	0%	4%
საქართველო-რუსეთი- აფხაზეთი და დასავლეთი	0%	2%	1%	0%	2%

ცხრილი 10

**შეთანხმების მხარეები**

პასუხები	ქალები	მამაკაცები
უშუალოდ საქართველო და აფხაზეთი	23%	26%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი	18%	14%
საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	10%	6%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	7%	10%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი	16%	25%
საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	9%	6%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	12%	12%
მიჭირს პასუხის გაცემა	5%	2%
საქართველო-რუსეთი- აფხაზეთი და დასავლეთი	2%	0%

ცხრილი 11

**შეთანხმების მხარეები**

პასუხები	18-30 წელი	31-44 წელი	45-60 წელი	60 წელზე მეტი
უშუალოდ საქართველო და აფხაზეთი	14%	28%	35%	0%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი	19%	16%	13%	20%
საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	10%	5%	10%	7%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	11%	10%	3%	7%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი	6%	24%	23%	47%
საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	13%	6%	4%	7%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	19%	9%	9%	7%
მიჭირს პასუხის გაცემა	5%	1%	4%	7%
საქართველო-რუსეთი- აფხაზეთი და დასავლეთი	3%	0%	1%	0%

როგორც ვხედავთ, გამოკითხულთა 24% თვლის, რომ შეთანხმება უნდა დაიდოს უშუალოდ აფხაზეთთან; 32% გვთავაზობს ამ შეთანხმებაში ჩაერთოთ დასავლეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც გარანტი. ანუ, გამოკითხულთა 54%-ის აზრით, აფხაზეთი უნდა იყოს შეთანხმების მხარე. ამრიგად, რესპონდენტთა მთელი სიმრავლის ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ აფხაზეთი შეთანხმების მხარე უნდა იყოს. რესპონდენტთა 39% მიიჩნევს, რომ მხარე უნდა იყოს რუსეთი და არა აფხაზეთი, ხოლო დასავლეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები როგორც გარანტორები. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მოცემულ შემთხვე-

ვაში იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებსაც ამ საკითხთან დაკავშირებით არ გააჩნიათ ჩამოყალიბებული მოსაზრება, ძალიან უმნიშვნელოა (3%).

ცხრილი 12

**შეთანხმების მხარეები**

პასუხები	საშუალო	უმაღლესი	სამეცნიერო ხარისხი
უშუალოდ საქართველო და აფხაზეთი	32%	21%	39%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი	16%	17%	13%
საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	5%	8%	10%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	5%	9%	3%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი	21%	20%	16%
საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	5%	8%	6%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	5%	13%	6%
მიჭირს პასუხის გაცემა	11%	2%	6%
საქართველო-რუსეთი- აფხაზეთი და დასავლეთი	0%	1%	0%

ცხრილი 13

**შეთანხმების მხარეები**

პასუხები	კერძო სექტორი	სახელმწიფო სექტორი	უმუშევარი	სტუდენტი
უშუალოდ საქართველო და აფხაზეთი	20%	28%	33%	19%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი	20%	17%	10%	15%
საქართველო-აფხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	9%	9%	7%	6%
საქართველო-აფხაზეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	7%	4%	17%	8%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი	28%	23%	13%	6%
საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები	4%	4%	13%	15%
საქართველო-რუსეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები	9%	10%	7%	25%
მიჭირს პასუხის გაცემა	3%	5%	0%	4%
საქართველო-რუსეთი- აფხაზეთი და დასავლეთი	1%	1%	0%	2%

ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიხედვით მონაცემები მე-9 ცხრილშია მოყვანილი (იხ. დანართი 10, ნახ. 12). მონაცემთა მათემატიკურ-სტატისტიკურმა დამუშავებამ ცხადყო ცალკეულ მიზნობრივ ჯგუფებს შორის განსხვავების მნიშვნელობა ( $\chi^2=44.058=0.049$ ). კერძოდ, უშუალოდ აფხაზეთთან შეთანხმებაზე ხელმოწერის მომხრეები ყოფილ მეომრებში, იძულებით გადაადგილებულ პირებსა და ინტელიგენციაში უფრო მეტია, ვიდრე ჟურნალისტებსა და სტუდენტებს შორის. მათ შორის, ვინც ამ პროცესში დასავლეთისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობას აუცილებლობად მიიჩნევს, ყველაზე დიდ წილს ჟურნალისტები შეადგენს – 52%; დანარჩენი მიზნობრივი ჯგუფების მაჩვენებლები გაცილებით დაბალია (იძულებით გადაადგილებული პირები – 37%; ყოფილი მეომრები – 30%; სტუდენტები – 29%; ინტელიგენცია – 25%). მათ შორის, ვინც მიიჩნევს, რომ შეთანხმება რუსეთთან და არა აფხაზეთთან უნდა დაიდოს, დაახლოებით თანაბრად არიან წარმოდგენილი სტუდენტები, ყოფილი მეომრები და ინტელიგენცია – 46, 43 და 42% შესაბამისად; ჟურნალისტთა (31%) და იძულებით გადაადგილებულ პირთა მაჩვენებლები უფრო დაბალია – 31 და 30%. მიუხედავად ამისა, მთლიანობაში ყველა მიზნობრივ ჯგუფში ჭარბობს იმათი რიცხვი, ვინც აუცილებლად მიიჩნევს აფხაზეთის როგორც მხარის მონაწილეობას შეთანხმებაში.

ქვემოთ მოყვანილია პასუხები ქვეჯგუფების მიხედვით, რომელიც გენდერული (ცხრილი 10, ნახ. 13), ასაკობრივი (ცხრილი 11, ნახ. 14), განათლების ცენზის (ცხრილი 12, ნახ. 15) და საქმიანობის სფეროების (ცხრილი 13, ნახ. 16) ნიშნით იქნა გამოყოფილი.

მონაცემთა მათემატიკურ-სტატისტიკურმა დამუშავებამ არ დაადასტურა ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავებათა მნიშვნელობა ( $\chi^2=10.300=0.245$ ), თუმცა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად უტყუარი განსხვავება გამოიყოფა ( $\chi^2=47.930=0.003$ ) (იხ. ცხრილი 11, ნახ.14). კერძოდ, უფროს ასაკობრივ ჯგუფში არავინ არ თვლის შესაძლებლად შეთანხმების უშუალოდ აფხაზეთთან დადებას; ასევე დაბალი მაჩვენებელი ახალგაზრდებს შორის – 14%. ამ უკანასკნელ ასაკობრივ ჯგუფში დასავლეთის და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობას ყველაზე მეტი მომხრე ყავს – 41%; დანარჩენი ჯგუფების მაჩვენებლები გაცილებით დაბალია (31, 25, და 33% შესაბამისად). მთლიანობაში, შეთანხმებაზე ხელმოწერა აფხაზეთის როგორც მხარის მონაწილეობით (გარანტორის ან მის გარეშე) აუცილებლად მიიჩნევს 54, 59, 60 და 33%. ამგვარად, თუკი პირველი სამი ასაკობრივი ჯგუფის სუ-

რათი ემთხვევა მთლიანი შერჩევის შედეგებს, უფროს ასაკობრივ ჯგუფში გამოკითხულ პირთა უმრავლესობა (60%) თვლის, რომ აუცილებელია ხელშეკრულების დადება რუსეთთან და არა აფხაზეთთან. განათლების ნიშნით გამოყოფილ ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო არ აღმოჩნდა ( $\chi^2=41.810=0.115$ ). მთლიანობაში სურათი იმეორებს საერთო შედეგებს. შეთანხმებაში აფხაზეთის ერთ-ერთ მხარედ მონაწილეობას (გარანტირებთან ერთად ან მათ გარეშე) საჭიროდ თვლის 58, 55 და 65%. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ გამოვლინდა ( $\chi^2=39.580=0.124$ ) პროფესიული ნიშნით გამოყოფილ ჯგუფებს შორის (იხ. ცხრილი 14, ნახ. 16). ხოლო აფხაზეთის მონაწილეობას გარანტირების არსებობის პირობებში ან მათ გარეშე მხარს უჭერს 55, 58, 67 და 50% შესაბამისად.

ამრიგად, მიღებულ შედეგებს თუ შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის ნა-ხევარზე მეტი აფხაზეთის როგორც მხარის მონაწილეობას ხსენებულ შეთანხმებაში აუცილებ-ლად მიიჩნევს განურჩევლად იმისა, ამ შეთანხმების შესრულება გარანტირებული იქნება თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციების და, ზოგადად, დასავლეთის მიერ. დანარჩენების აზრით, კონტრაგენტს რუსეთი უნდა წარმოადგენდეს და არა აფხაზეთი. რაც შეეხება გარანტირებას, უდიდესი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ასეთ ამპლუაში ან დასავლეთი (ევროპა, აშშ), ან საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო) უნდა მოგვევლინოს, ან ორივე ერთად. მხოლოდ 35 მიიჩნევს შეთანხმების ხელმოწერის აუცილებლობას სამხრეთ ფორმატში — სა-ქართველო, აფხაზეთი და რუსეთი, მაგრამ იმავე გარანტირების მონაწილეობით.

დაბოლოს, კითხვარის პირველი პლოკის მესამე და უკანასკნელი კითხვა შემდეგნაირად იქნა ჩამოყალიბებული: “საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?” ამ კით-ხვაზე პასუხის გაცემისას რესპონდენტს ქვემოთმოყვანილი სავარაუდო ვარიანტებიდან ერთ-ერთი უნდა აერჩია:

1. დიახ, ეს დიდი ხნით ადრე უნდა გაკეთებულიყო
2. დიახ, ეს ხელს შეუწყობს “ჟენევის პროცესის” ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვას
3. არა, ეს მხოლოდ ერთ-ერთი შედეგი უნდა უყოს “ჟენევის პროცესის” ფარგლებში
4. ჩვენ უკვე დავაგვიანეთ, თუმცა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს
5. ჩვენ უკვე დავაგვიანეთ, ეხლა ეს კაპიტულაციის ტოლფასია
6. ჩვენ უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეხლა ეს არაფერს შეცვლის
7. ეს უკვე არაფერს შეცვლის
8. შეთანხმების ნაჩქარევი ხელმოწერა საქართველოს პოზიციებს გააუარესებს
9. მიჭირს პასუხის გაცემა
10. სხვა.

მიღებული პასუხების განაწილება წარმოდგენილია მე-14 ცხრილში (იხ. აგრეთვე დანარ-თი 10, ნახ. 17). ამ კითხვაზე პასუხი ისევ მხოლოდ შეთანხმების მომხრეებმა გასცეს (ანუ რესპონდენტების 87%-მა).

როგორც ვხედავთ, 81% მიიჩნევს, რომ შეთანხმება რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს ხელმოწერილი. რაც ყველაზე მთავარია, არავინ ფიქრობს, რომ ეს საქართველოს პოზიციას მხოლოდ გააუარესებს. რესპონდენტთა მხოლოდ 1% თვლის, რომ “ახლა ეს კაპიტულაციის ტოლფასია”. დამაიმედებელია მცირერიცხოვნობა “პესიმისტებისა”, რომლებიც არაფერს ელი-ან შეთანხმების ხელმოწერისგან. მათი რიცხვი 3%-ს არ აღემატებიან. სტატისტიკის კანონზო-მიერების გათვალისწინებით (ნორმალური განაწილების კანონის თანახმად) გამონაკლისად შე-იძლება ჩაითვალოს ისინიც, ვისაც მოცემულ საკითხზე ჩამოყალიბებული აზრი არ გააჩნია, ვინაიდან მათი რიცხვი 5%-ს არ აღემატება. ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიხედვით მონაცე-მები მე-15 ცხრილშია წარმოდგენილი (იხ. დანართი 10, ნახ. 18).

ცხრილი 14

**საჭიროა თუ არა შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**

პასუხები	სიხშირე
დიახ, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი	42%
დიახ, ეს შეუწყობს ხელს “ჟენევის პროცესის” ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვას	29%
არა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ “ჟენევის პროცესის” ერთ-ერთი შედეგი	10%
უკვე დავაგვიანეთ, თუმცა მაინც კარგი იქნება	10%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს უფრო კაპიტულაციის ტოლფასი იქნება	1%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს ვერაფერს შეცვლის	2%
ეს არაფერს შეცვლის	1%
სასწრაფოდ ხელმოწერა მხოლოდ გააუარესებს საქართველოს პოზიციას	0%
მიჭირს პასუხის გაცემა	5%

**საჭიროა თუ არა შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**

პასუხები	ყოფილი მეომარი	დევნილი	ინტელიგენცია	ჟურნალისტი	სტუდენტი
დიახ, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი	43%	51%	46%	31%	42%
დიახ, ეს შეუწყობს ხელს "ჟენევის პროცესის" ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართავს	21%	21%	23%	34%	29%
არა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ "ჟენევის პროცესის" ერთ-ერთი შედეგი	17%	11%	10%	7%	10%
უკვე დავაგვიანეთ, თუმცა მაინც კარგი იქნება	9%	9%	11%	21%	10%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს უფრო კაპიტულაციის ტოლფასი იქნება	0%	0%	0%	3%	1%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს ვერაფერს შეცვლის	2%	5%	3%	0%	2%
ეს არაფერს შეცვლის	4%	0%	0%	0%	1%
სასწრაფოდ ხელმოწერა მხოლოდ გაუარესებს საქართველოს პოზიციას	0%	0%	0%	0%	0%
მიჭირს პასუხის გაცემა	4%	4%	8%	3%	5%

**საჭიროა თუ არა შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**

პასუხები	ქალები	მამაკაცები
დიახ, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი	42%	42%
დიახ, ეს შეუწყობს ხელს "ჟენევის პროცესის" ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართავს	33%	23%
არა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ "ჟენევის პროცესის" ერთ-ერთი შედეგი	7%	15%
უკვე დავაგვიანეთ, თუმცა მაინც კარგი იქნება	9%	11%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს უფრო კაპიტულაციის ტოლფასი იქნება	1%	1%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს ვერაფერს შეცვლის	2%	3%
ეს არაფერს შეცვლის	0%	2%
სასწრაფოდ ხელმოწერა მხოლოდ გაუარესებს საქართველოს პოზიციას	0%	0%
მიჭირს პასუხის გაცემა	7%	4%

**საჭიროა თუ არა შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**

პასუხები	18-30 წელი	31-44 წელი	45-60 წელი	60 წელზე მეტი
დიახ, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი	33%	43%	53%	27%
დიახ, ეს შეუწყობს ხელს "ჟენევის პროცესის" ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართავს	44%	21%	19%	47%
არა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ "ჟენევის პროცესის" ერთ-ერთი შედეგი	6%	14%	11%	7%
უკვე დავაგვიანეთ, თუმცა მაინც კარგი იქნება	9%	13%	9%	0%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს უფრო კაპიტულაციის ტოლფასი იქნება	3%	0%	0%	0%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს ვერაფერს შეცვლის	1%	1%	3%	13%
ეს არაფერს შეცვლის	0%	2%	1%	0%
სასწრაფოდ ხელმოწერა მხოლოდ გაუარესებს საქართველოს პოზიციას	0%	0%	0%	0%
მიჭირს პასუხის გაცემა	4%	6%	5%	7%

**საჭიროა თუ არა შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**

პასუხები	საშუალო	უმაღლესი	სამეცნიერო ხარისხი
დიახ, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი	32%	40%	61%
დიახ, ეს შეუწყობს ხელს "ჟენევის პროცესის" ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართავს	21%	30%	23%
არა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ "ჟენევის პროცესის" ერთ-ერთი შედეგი	21%	10%	3%
უკვე დავაგვიანეთ, თუმცა მაინც კარგი იქნება	11%	10%	3%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს უფრო კაპიტულაციის ტოლფასი იქნება	0%	1%	0%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს ვერაფერს შეცვლის	0%	2%	3%
ეს არაფერს შეცვლის	5%	0%	0%
სასწრაფოდ ხელმოწერა მხოლოდ გაუარესებს საქართველოს პოზიციას	0%	0%	0%
მიჭირს პასუხის გაცემა	11%	4%	6%

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიხედვით საერთო სურათი უცვლელი რჩება. ყველა სამიზნე ჯგუფში ჭარბობს შეთანხმებაზე რაც შეიძლება სწრაფად ხელმონერის მომხრეები – 72, 81, 80, 86 და 80% შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ იმ პირთა შორის, რომელიც თვლის, რომ ეს გაცილებით ადრე უნდა გაკეთებულიყო, ყველაზე ნაკლებია ჟურნალისტები – დახლოებით ერთი მესამედი. მათ შორის კი ყველაზე მეტი პრაგმატიკოსები არიან (ამ სიტყვის კარგი გაგებით!), ვინც თვლის, რომ ხელმონერა საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ რეალური სამშვიდობო მოლაპარაკებები “ჟენევის პროცესის” ფარგლებში. მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს უტყუარ განსხვავებას მიზნობრივ ჯგუფებს შორის ( $\chi^2=51.063$ ;  $p=0.115$ ), თუმცა, შინაარსობრივად ეს ფაქტიურად არაფერს ნიშნავს.

ცხრილი 19

**საჭიროა თუ არა შეთანხმების სასწრაფად ხელმონერა?**

პასუხები	კერძო სექტორი	სახელმწიფო სექტორი	უმუშევარი	სტუდენტი
დიახ, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი	34%	51%	40%	42%
დიახ, ეს შეუწყობს ხელს “ჟენევის პროცესის” ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართავს	32%	19%	23%	29%
არა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ “ჟენევის პროცესის” ერთერთი შედეგი	12%	12%	10%	10%
უკვე დავაგვიანეთ, თუმცა მაინც კარგი იქნება	16%	9%	10%	10%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს უფრო კაპიტულაციის ტოლფასი იქნება	1%	0%	0%	1%
უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს ვერაფერს შეცვლის	1%	3%	7%	2%
ეს არაფერს შეცვლის	1%	0%	3%	1%
სასწრაფოდ ხელმონერა მხოლოდ გაუარესებს საქართველოს პოზიციას	0%	0%	0%	0%
მიჭირს პასუხის გაცემა	3%	7%	6%	5%

როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიხედვით საერთო სურათი უცვლელი რჩება. ყველა სამიზნე ჯგუფში ჭარბობს შეთანხმებაზე რაც შეიძლება სწრაფად ხელმონერის მომხრეები – 72, 81, 80, 86 და 80% შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ იმ პირთა შორის, რომელიც თვლის, რომ ეს გაცილებით ადრე უნდა გაკეთებულიყო, ყველაზე ნაკლებია ჟურნალისტები – დახლოებით ერთი მესამედი. მათ შორის კი ყველაზე მეტი პრაგმატიკოსები არიან (ამ სიტყვის კარგი გაგებით!), ვინც თვლის, რომ ხელმონერა საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ რეალური სამშვიდობო მოლაპარაკებები “ჟენევის პროცესის” ფარგლებში. მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს უტყუარ განსხვავებას მიზნობრივ ჯგუფებს შორის ( $\chi^2=51.063$ ;  $p=0.115$ ), თუმცა, შინაარსობრივად ეს ფაქტიურად არაფერს ნიშნავს.

დემოგრაფიული ნიშნით გამორჩეული ჯგუფების შედეგები წარმოდგენილია მე-16-19 ცხრილებში (იხ. შესაბამისი დიაგრამები დანართში 10, ნახ. 19-22). სურათი, ფაქტობრივად, მთლიანად ემთხვევა საერთოს. მიუხედავად რიცხობრივი მაჩვენებლების განსხვავებებისა, შედეგების შინაარსობრივი მხარე უცვლელი რჩება: გამოკითხულ პირთა დიდი უმრავლესობა სქესის, ასაკის, განათლების და მოღვაწეობის სფეროს მიუხედავად, აუცილებლობად თვლის მოცემულ შეთანხმებაზე ხელმონერას შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში.

ამრიგად, კითხვარის პირველი ბლოკის შედეგების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აცნობიერებს შეთანხმებაზე ხელმონერის აუცილებლობას. ამასთანავე, აუცილებლობად თვლის მასზე ხელმონერას შეძლებისდაგვარად სწრაფად. რაც შეეხება შეთანხმებაზე ხელმონერ მხარეებს, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს საქართველო და აფხაზეთი. მათივე ნახევარის აზრით, გარანტორების მონაწილეობა აუცილებელია. მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ მსგავსი შეთანხმება უნდა გაფორმდეს საქართველოსა და რუსეთს შორის, გარანტორების მონაწილეობით. გარანტორებად ყველა შემთხვევაში მოიაზრება დასავლეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

**5.2.2. შეთანხმების ხელმონერის მოსალოდნელი შედეგები**

ჩვენ შევეცადეთ, აგრეთვე, გამოგვევლინა განსხვავებულ მოსაზრებათა დიაპაზონი შეთანხმების ხელმონერასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შედეგების შესახებ. შესაბამის შეკითხვაზე პასუხისას რესპონდენტებს ეძლეოდათ საშუალება ქვემოთჩამოთვლილი ვარიანტებიდან ერთი ან რამდენიმე ამოერჩიათ:

1. რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხის ნეიტრალიზაცია



2. კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია
3. დევნილთა კონფლიქტის ზონაში დაბრუნება
4. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აღმშენებლობითი პროცესების სტიმულირება
5. აფხაზური საზოგადოების ნდობის დაბრუნება და, შესაბამისად, მასთან დიალოგის აღდგენა
6. აფხაზეთის დამოუკიდებლობის ფაქტიური აღიარება
7. აფხაზეთის საბოლოო დაკარგვა
8. მიჭირს პასუხის გაცემა
9. სხვა.

მიღებული შედეგები მთლიანი შერჩევის მიხედვით მე-20 ცხრილშია მოცემული (იხ. შე-საბამისი დიაგრამა დანართში 10, ნახ. 23). აქ და შემდგომში შეფარდებითი სიხშირეები რეს-პონდენტთა საერთო რაოდენობიდან არის გამოთვლილი.

ცხრილი 20

- საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა შეთანხმებაზე ხელმოწერისგან დადებით შედეგებს ელის. მეტიც, გამოკითხულ პირთა თითქმის ნახევარი ამაში ახლახან ომგადატანილ ქვეყნისათვის ყველაზე საჭირო როგორც პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობას ხედავს – რუსეთის მხრიდან აგრესიის საშიშროების ნეიტრალიზებას. ნეგატიური მოლოდინები მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას აქვს. თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ მოცემულ შეთანხმებაზე ხელმოწერა საშუალებას მისცემს აფხაზეთი საზოგადოების ნდობის დაბრუნებას და, ამგვარად, დიალოგის აღდგენას.
- ქართულ საზოგადოებაში შეთანხმებაზე ხელმოწერასთან დაკავშირებით მკაფიოდ ჩამოყალიბებული მოსაზრება არსებობს ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის სამხედრო, ძალისმიერი გზით გადაწყვეტის დაუშვებლობისა და ქართველებსა და აფხაზებს შორის დიალოგის აღდგენის აუცილებლობის თაობაზე.
- გამოკითხულ პირთა დიდი უმრავლესობა თვლის, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემთხვევაში შედეგები უარყოფითი აღმოჩნდება, ამასთან, როგორც საქართველოსთვის, ისე აფხაზეთისთვის (“მუდმივი დესტაბილიზაცია ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ”). უმრავლესობა თვლის, რომ მოცემული ხელშეკრულების არარსებობის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდება აფხაზეთი საზოგადოების ნდობის დაბრუნება და, ამგვარად, ქართველებსა და აფხაზებს შორის ფაქტიურად შეწყვეტილი დიალოგის აღდგენაც. ისინი, რომლებიც მოცემული შეთანხმების არარსებობაში პოზიტიურ შესაძლებლობებს ხედავენ (“აფხაზეთის მხარეზე ფსიქოლოგიური ზენოლის ბერკეტის შენარჩუნება”; “აფხაზეთის სამხედრო გზით დაბრუნების შესაძლებლობის შენარჩუნება”), ამკარა უმცირესობაში აარიან.
- დიდი უმრავლესობა მიზანშეწონილად არ თვლის შეთანხმებაზე ხელმოწერას მასში დამატებითი პირობების ჩადების გარეშე. კერძოდ, გაბატონებულია მოსაზრება, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერის წინაპირობას წარმოადგენს:
  - 2008 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით სტატუს კვოს აღდგენა
  - კონფლიქტისი ზონებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარების გაყვანის თაობაზე შეთანხმების დადება

- შეთანხმება იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო დაბრუნების თაობაზე.
7. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია:
    - მოცემული ხელშეკრულების ყველა დებულების და ვალდებულების მკაფიოდ და ცალსახად ფორმულირება, რათა გამოირიცხოს სხვაგვარად ნაკითხვის (ინტერპრეტაციის) შესაძლებლობა
    - “რუსეთის საოკუპაციო ჯარების შეცვლა საერთაშორისო სამშვიდობო (საპოლიციო) ძალებით”
    - “აფხაზურ მხარესთან რეალური დიალოგის დაწყება”
    - გარანტიორად ნეიტრალური მხარის (დასავლეთის, საერთაშორისო ორგანიზაციების) ჩართვა.
  8. ქართულ საზოგადოებაში რუსეთის მიმართ უნდობლობა დომინირებს: შეთანხმების შეუსრულებლობის ან დარღვევის თვალსაზრისით ყველაზე მეტ საშიშროებას რუსეთის მხარე იწვევს. უმრავლესობა გამოირიცხავს მოცემული შეთანხმების აფხაზური მხარის მიერ დარღვევის შესაძლებლობას; მოსახლეობის მხოლოდ მეოთხედი თვლის, რომ ეს შეთანხმება შესაძლოა არ შესრულდეს აფხაზური მხარის მიერ. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ენდობა საერთაშორისო გარანტიორებს (დასავლეთს და საერთაშორისო ორგანიზაციებს), თვლის რა, რომ ისინი შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს. დიდი უმრავლესობა არ უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ შეთანხმება შესაძლოა არ შესრულდეს საქართველოს მხრიდან. თუმცა, გამოვლინდა გარკვეული განსხვავებებიც:
    - ჟურნალისტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს შორის იმ პირთა რიცხვი, რომლებიც თვლიან, რომ შეთანხმებას ქართული მხარე დაარღვევს, რამდენადმე მაღალია;
    - სამეცნიერო ხარისხის მქონეთა თითქმის ნახევარი არ გამოირიცხავს შეთანხმების შეუსრულებლობის ან დარღვევის შესაძლებლობას ქართული მხარის მიერ;
    - ახალგაზრდებს შორის იმ პირთა რაოდენობა, ვინც არ ენდობა რუსეთსა და აფხაზებს, მეტია, ვიდრე მოსახლეობის დანარჩენ ფენებს შორის. თუმცა, გაცილებით ნაკლებნი არიან ისინი, ვინც ქართული მხარის მიერ შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შესაძლებლობას უშვებს.
  9. დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოცემული შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგები საკმაოდ ტრაგიკული იქნება. პირები, რომლებიც თვლიან, რომ შეთანხმების დარღვევის ან შეუსრულებლობის შედეგები შესაძლოა პოზიტიური იყოს (“რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება”), აშკარა უმცირესობაში აღმოჩნდნენ.
  10. დაახლოებით ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ მოცემული შეთანხმების დარღვევა გამოიწვევს:
    - რუსეთთან ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს;
    - საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას;
    - ქვეყნის ტერიტორიის შემდგომ დანაწევრებას.
 დაახლოებით მეოთხედი აცნობიერებს, რომ ამის შედეგად საქართველოს ტერიტორია, შესაძლოა, სამხედრო მოქმედებების პოლიგონად გადაიქცეს (ავღანეთის მსგავსად). გამოიკვეთა გარკვეული განსხვავებები, კერძოდ გამოკითხულ ჟურნალისტთა, 60 წელზე უფროსი ასაკის და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა შორის პოზიტიური შედეგების შესაძლებლობას არცერთი არ უშვებს.



## საერთო დასკვნები და რეკომენდაციები

ქათულ და აფხაზურ მხარეებს შორის მოლაპარაკებების დღის წესრიგში ყოველთვის იდ-გა სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის გარანტიების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე ზავისა და ძალის გამოუყენებლობის თაობაზე მხარეთა მოვალეობებს შემ-ცველ რამდენიმე შეთანხმებას და სხვა დოკუმენტს მოენერა ხელი, საკითხის აქტუალობა არ იკლებს. საქმე იმაშია, რომ თავად მოლაპარაკებების პროცესი, რომლის მსვლელობისასაც და-ზავების პირობები თანხმდებოდა, სრულყოფისაგან შორს იყო. ნაკისრი ვალდებულებები ხში-რად არ სრულდებოდა, და ხელმოწერილი დოკუმენტებიც ფაქტიურად ძალას კარგავდნენ. ნა-ნილობრივ, ეს განპირობებული იყო იმით, რომ ქართული და აფხაზური მხარეები არასდროს ენდობოდნენ ერთმანეთს. ისინი მოლაპარაკებებზე ერთმანეთს აღიქვამდნენ არა პარტნიორე-ბად, არამედ – მონინაალმდეგეებად და, შესაბამისად, საკუთარ სტრატეგას “ნულოვანჯამიანი თამაშის” პრინციპზე აწყობდნენ. თავის მხრივ რუსეთი, მასზე დაკისრებული მედიატორისა და მშვიდობისმყოფელის როლის სანინაალმდეგოდ, არასდროს იყო დაინტერესებული მხარეებს შორის ნდობის რეალურ აღდგენაში და მანიპულირებდა რა სიტუაციით, კონსტრუქციული დი-ალოგის მიმართ მხარეთა მოტივაციის დაქვეითებას ცდილობდა. თავის მხრივ, გაერომ და სხვა საერთაშორისო აქტორებმა ვერ შესძლეს ხელი შეეწყობათ ეფექტიანი სამშვიდობო პროცე-სებისათვის.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობები რეგიონის შიგნით თუ გარეთ მიმდინარე პროცესე-ბისა და ცვლილებების მიმართ ზემოქმედობიარობით ხასიათდება. რეგიონალურმა და მსოფ-ლიო გეოპოლიტიკის “წყალობით” კონფლიქტს ბევრმა სხვადასხვა პოლიტიკურმა მოთამაშემ — დიდმა თუ პატარამ - საკუთარი ინტერესები დაუკავშირა. ხსენებულ სუბიექტებს, ხშირად, განსხვავებული ფასეულობები და მიზნები ამოძრავებთ. ამ ინტერესებისა და მიზნების კონ-ფრონტაციულობამ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების თავისთავად რთული პრობლემა, რომელიც ბოლო ათწლეულების მანძილზე არაერთხელ იმყოფებოდა განვითარების უკიდურე-სად სამიმ ფაზაში, კიდევ უფრო გააღრმავა.

2008 წლის აგვისტოს ომი ერთ-ერთი ასეთი გამოცდა იყო. მთლიანობაში, მისი შედეგები ქართულ-აფხაზური ურთიერთობისათვის იმდენად მძიმე იყო, რომ ჩანს კიდევ დიდი ხანი უნ-და გავიდეს, რათა მხარეებმა შერიგების გზების ძიების აუცილებლობა რეალურად გააცნობი-ერონ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ომის შედეგებმა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე არა-ერთგვაროვანი გავლენა მოახდინა. კერძოდ, ერთი მხრივ, გაცნობიერდა, რომ სამხედრო გზით შეუძლებელია კონფლიქტის გადაწყვეტის ურთიერთმისაღები გზის მოძიება; მეორე მხრივ – საქართველოს ხელისუფლებამ სერიოზული ფაქტობრივი სამხილი მიიღო იმისა, რომ რუსეთი იყო არა ნეიტრალური მშვიდობისმყოფელი, არამედ კონფლიქტის მხარე. აფხაზეთში რუსეთის მუდმივი და ფართომასშტაბიანი სამხედრო ყოფნა, რომელიც საქართველოში როგორც ქვეყ-ნის უსაფრთხოებისათვის მუდმივ რისკფაქტორად აღიქმება (საეჭვოა ასეთი აღქმა უახლოეს მომავალში შეიცვალოს), შეიძლება განიხილულ იქნეს როგორც რისკფაქტორი თავად აფხაზე-თისთვისაც, რადგან ამით მისი სუვერენიტეტი არსებითაც იზღუდება. აფხაზეთში რუსეთის ფაქტორის ზრდასთან ერთად – პირველყოფლისა სამხედრო თვალსაზრისით – ეს რისკები კი-დევე უფრო გაიზრდება. შედეგად, უკანა პლანზე გადაინევს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებ-ში არსებული რეალური და მძიმე პრობლემები, რომელთაც უეჭველად ესაჭიროება დარეგუ-ლირება. აქედან გამომდინარე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზება ქართულ-რუსული, უფრო ფართედ კი, რუსულ-დასავლური ურთიერთობების “მძევალი” ხდება.

შესაბამისად, შეიცვალა ძალთა განლაგებაც: რუსეთის მხრიდან აღიარებამდე აფხაზეთი წარმოდგებოდა როგორც საქართველოსთან სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის თაო-ბაზე შეთანხმების ხელმოწერაში უფრო მეტად დაინტერესებული მხარე (აფხაზეთის მხრიდან საქართველოს მიმართ აგრესიის შესაძლებლობას სერიოზულად არავინ განიხილავდა, მაშინ, როდესაც აფხაზეთის მხარე მუდმივად ამახვილებდა ყურადღებას საქართველოს მხრიდან შე-საძლო აგრესიაზე). მას შემდეგ, რაც რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელი მოენერა შესაბამის ხელშეკრულებას და დაიწყო ამ უკანასკნელის ტერიტორიის გამოყენება რუსეთის შეიარაღე-ბული ძალების სხვადასხვა სახის ჯარების განლაგებისათვის, ეხლა უკვე თავად აფხაზეთი გა-ნიხილება დანარჩენი საქართველოსათვის საფრთხის წყაროდ. ამასთან, აფხაზეთის მხარესთან სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის თაობაზე შეთანხმების დადებას ქართული მხარე სერიოზულად ვეღარ აღიქვამს (სხვაგვარად არც შეიძლება იყოს) როგორც აფხაზეთის ტერი-ტორიიდან უსაფრთხოების გარანტიას, რადგან პოტენციურ აგრესორად რუსეთი განიხილება, რომლის გადაწყვეტილებებზე აფხაზეთს ზეგავლენის მოხდენის არც საშუალება და არც მექა-

ნიშნები არ გააჩნია. ამგვარად, საქართველოსთვის ერთგვარად აზრი ეკარგება აფხაზეთის მხარესთან მსგავსი ხელშეკრულების დადებას, ყოველ შემთხვევაში – მოცემულ ვითარებაში.

მიუხედავად ამისა, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ნორმალიზების ამოცანა უეჭველად Dდღის წესრიგში რჩება, და შესაბამისი შეთანხმების დადებისაკენ სწრაფვა ორივე მხარის ინტერესებში უნდა შედიოდეს. მოცემული კვლევის ფარგლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვა აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შეთანხმებაზე ხელმოწერას საჭიროდ მიიჩნევს. ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი ჯგუფიც კი – მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები – არ უარყოფს ამგვარი დოკუმენტის არსებობის მიზანშეწონილობას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შეთანხმების ისეთ პარამეტრებთან დაკავშირებით, როგორც არის ხელმოწერილი მხარეები და ხელმოწერის პირობები, შეინიშნება აზრთა შესამჩნევი სხვადასხვაობა. შექმნილი ვითარების ყურადღებით ანალიზი, ასევე საზოგადოებისა და მისი ელიტის შეხედულებებისა და განწყობის შესწავლა საშუალებას გვაძლევს განვაგრძოთ ეს შეხედულებები და მოცემულ საკითხზე ქართული მხარის პოზიცია ჩამოვაცალიბოთ:

1. შეცვლილ ვითარებაში რუსეთი ქართულ-აფხაზურ და ქართულ-სამხრეთოსურ კონფლიქტებში ძირითად სამხედრო ძალას წარმოადგენს. ამას გარდა, აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის რუსეთი კონფლიქტის მთავარ მხარედ იქცა. ამიტომ, შეთანხმება შეიძლება და უნდა დაიდოს მხოლოდ რუსეთთან. ამასთან, შეთანხმებამ უნდა გაითვალისწინოს ქართული, აფხაზური და სამხრეთოსური მხარეების ვალდებულებები უსაფრთხოების ურთიერთგარანტიების თაობაზე.

2. შეთანხმების საგანი უნდა გახდეს სიტუაციის სტაბილიზაცია და ზავის რეჟიმის შენარჩუნება არა მხოლოდ ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური ურთიერთდაპირისპირების ზონებში, არამედ საქართველოსა და რუსეთს შორის ძალის გამოყენებაზე უარის თქმა. ორმხრივი ურთიერთობების უკიდურესი დაძაბულობის გამო, სამხედრო მოქმედებების განახლების საფრთხე შეიძლება მომდინარეობდეს არა მხოლოდ (და არა იმდენად) უშუალოდ კონფლიქტური ზონებიდან.

3. ხელშეკრულებაზე ხელმოწერა უნდა იყოს ნაწილი, ერთ-ერთი კომპონენტი უფრო ფართო, პაკეტური გადანყვეტილებისა, რომელიც გარკვეულ სამშვიდობო პროცესს უნდა გულისხმობდეს და შეიცავდეს:

- “სარკოზი-მედევევის გეგმის” შესრულებას - პირველ რიგში რუსული ჯარის გამოყვანის შესახებ პუნქტისა და სტატუს კვოს აღდგენას 2008 წლის 6 აგვისტოს მდგომარეობის მიხედვით;
- ყველა იძულებით გადაადგილებულ პირთა უპირობო და უსაფრთხო დაბრუნებისათვის პირობების შექმნა;
- კონფლიქტის ზონებში ადამიანის უფლებების დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა (ამისათვის საჭიროა კონფლიქტურ რეგიონებში საერთაშორისო საპოლიციო და სამხედრო ძალების შეყვანა, ხოლო მდინარე ენგურის გასწვრივ – საერთაშორისო სამშვიდობო ძალების);
- გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ყველა ზემოხსენებული ელემენტის შემცველი რეზოლუციის მიღება.

სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის შეთანხმებაზე ხელმოწერისათვის ყველაზე მისაღებ ფორმატს (ზემოხსენებული პაკეტური გადანყვეტილების ფარგლებში) “ჟენევის პროცესი” წარმოადგენს. თუმცა, სავარაუდოდ, ახლო მომავალში ყოვლისმომცველი და მრავალმხრივი გარანტიების შესახებ შეთანხმების მიღწევა არარეალურია. “ჟენევის პროცესი”, სამწუხაროდ, საკმაოდ გრძელვადიანი ჩანს. თუმცა, ამ ფორმატის ‘ჩავარდნის’ შემთხვევაში საკითხის განხილვის დონე გადატანილ იქნება გაეროს უშიშროების საბჭოში, სადაც რუსეთს მისთვის არასასურველი გადანყვეტილებების დაბლოკვის საშუალება აქვს. აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია უკვე ეხლავე ზომების მიღება, რათა მოლაპარაკებებისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები შეიქმნას. ამისათვის მოცემულ ეტაპზე საჭიროა: ა) კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის გაზრდა; ბ) დაპირისპირების ხაზის გასწვრივ სიტუაციის სტაბილიზირება და გ) გადანყვეტილების მიღების პროცედურების სრულყოფა.

ქვემოთ მოტანილია რეკომენდაციები, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც შესაძლებელია ხელსაყრელი ატმოსფეროსა და სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის თაობაზე შეთანხმების ხელმოწერისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ეს პირობები წარმოადგენს არა მხოლოდ ხსენებული შეთანხმების შემუშავების, არამედ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მხარეების მიერ მისი განუხრელი შესრულების აუცილებელ წინაპირობას.

## *რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებას*

### **1. “სარკოზი-მედვედვის” გეგმის შესრულებისათვის ხელშეწყობა**

“შეცვლილ რეალიებზე” აპელირებით რუსეთი პრაქტიკულად არ ასრულებს შეთანხმების ძირითად პუნქტებს. საჭიროა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პოლიტიკური და დიპლომატიური რესურსები ყველა საერთაშორისო ფორუმსა და/ან პარტნიორებთან ორმხრივი კონსულტაციების ფორმატში მოცემულ საკითხის აქტუალიზაციისათვის.

### **2. კონფლიქტის მოგვარების პარადიგმის შეცვლა**

ბოლო დროის მოვლენებმა ცხადყო კონფლიქტის დარეგულირებისადმი ადრე არსებული მიდგომის მანკიერება, რომელიც კონფლიქტის მეორე მხარეზე ფსიქოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ ზენოლაზე იყო დაფუძნებული. ახალი მიდგომა ურთირთპატივისცემის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს და ნებაყოფლობით შერიგებაზე იყოს ორიენტირებული.

### **3. შესაბამისი კომუნიკაციური სტრატეგიის შემუშავება**

მიუხედავად აგვისტოს მოვლენების მწარე გაკვეთილებისა, ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არსებობს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის ცალსახა არჩევანი. შესაბამისად, ყველას მიერ არ არის გაცნობიერებული ამგვარი შეთანხმების არსებობის აუცილებლობა. საჭიროა ქმედითი საინფორმაციო სტრატეგიის შემუშავება და შესაბამისი განმარტებითი მუშაობის გზით სათანადო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

### **4. სახალხო დიპლომატიის განვითარების ხელშეწყობა**

აფხაზურ მხარესთან ოფიციალურ დონეზე დიალოგის ქმედითი მექანიზმების არარსებობის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სახალხო დიპლომატიის ფარგლებში არსებული ურთიერთობის გაფართოება და ახალი ფორმატების შექმნა. იგივე ეხება რუსეთთან ურთიერთობასაც.

### **5. რუსეთთან დიალოგის გამართვა სტრატეგიის ჩამოყალიბება**

რუსეთთან დიალოგის არარსებობამ შესაძლოა ისედაც მყიფე სტაბილურობა შეარყიოს, მათ შორის დაპირისპირების ხაზის გასწვრივაც. ამას გარდა, რუსეთში მიმდინარე მტრული პროპაგანდის პირობებში საქართველოს მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრია შექმნილი. ობიექტური რეალიების თავისებურებების გათვალისწინებით, აუცილებელია ალტერნატიული არხების ძიება, პირველყოვლისა, არასამთავრობო, რათა რუსეთის საზოგადოებამდე ქართული მხარის თვალსაზრისმა მიაღწიოს.

## *რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას*

### **1. შერიგების იდეის პოპულარიზაციის ხელშეწყობა**

არაჯანსაღი ნაციონალიზმი წარმოადგენს ერთაშორისი დაძაბულობის წყაროს. საზოგადოებრივი დებატებითა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით საჭიროა საზოგადოების ფართო ფენებში შემწყნარებლობისა და შერიგების იდეის გავცელება. ამგვარი კამპანიის მიზანი, რომელიც სინამდვილეში ყველა პოლიტიკური ძალის და მთელი საზოგადოების სტრატეგიული კურსი უნდა იყოს, ამასთანავე უნდა ეხმარებოდეს საზოგადოების მიერ ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი, ნდობის აღდგენისა და ნებაყოფლობითი შერიგების გზით გადაწყვეტის აუცილებლობის გაცნობიერებას.

### **2. საქართველოს გრძელვადიანი განვითარების ალტერნატიული მოდელების შემუშავება კონფლიქტების შესაძლო გადაწყვეტის ვარიანტების გათვალისწინებით**

აგვისტოს მოვლენების ერთ-ერთ შედეგს საქართველოს სახელმწიფოს განვითარების მოდელისა და გრძელვადიანი მიზნების მიმართ ქვეყნის დეზორიენტაცია წარმოადგენს. საერთაშორისო პარტნიორებიც დაბნეულნი არიან, ისინი ჯერ კიდევ მომხდარის გააზრების პროცესში იმყოფებიან. საჭიროა სათანადო კვლევების ჩატარება და საზოგადოებრივი დისკუსიების ინიცირება მოვლენების განვითარების საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი შესაძლო სცენარების თაობაზე და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

### **3. აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებთან დიალოგის გაფართოება**

აფხაზურ საზოგადოებასთან დიალოგი – ნდობის აღდგენისა და კონფლიქტის კომპრომისული გადაწყვეტის გზების ერთობლივი ძიების აუცილებელი პირობაა. მოვლენების განვითარება ადასტურებს, რომ კონტაქტების არსებული მასშტაბი არ არის საკმარისი. აუცილებელია ამ მასშტაბების გაფართოება, ფორმების და დიალოგის ფორმატის გამრავლფეროვნება, ახალგაზრდების აქტიურ მონაწილეობაზე განსაკუთრებული აქცენტით.

#### **4. რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან დიალოგის გაფართოება**

ორმხრივი ურთიერთობების უაღრესად გამწვავების, შეწყვეტილი დიპლომატიური კავშირის, ასევე უკიდურესად არასასურველი საზოგადოებრივი განწყობის ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემოქმედებითი ინტილიგენციის წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებსა და ექსპერტებს შორის დიალოგის გამართვა. ეს ხელს შეუწყობდა ორივე მხარის მიერ საკუთარი შეცდომების გაცნობიერებას და კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის გზების ძიებას.

*რეკომენდაციები “ჟენევის პროცესის” საერთაშორისო შუამავლებს*

##### **1. “ჟენევის პროცესის” სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობა**

შეეჩვია რა მომრიგებელი მოსამართლის როლს, რუსეთი “ჟენევის პროცესს” მოლაპარაკებისათვის კომფორტულ ფორმატად არ თვლის, სადაც იგი კონფლიქტის ერთ-ერთ მხარედ არის წარმოდგენილი. სავარაუდოდ, რუსეთი შეეცდება “ჟენევის პროცესის” თემატიკის გადატანას გაეროს უშიშროების საბჭოში, სადაც მას ვეტოს უფლება აქვს. რუსეთის მხარის ამგვარ განზრახვას უცილობლად წინააღმდეგობა სჭირდება.

##### **2. რუსეთის დარწმუნება ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის კონფლიქტის ზონებში დაშვების აუცილობლობის თაობაზე**

ვინაიდან ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიას კონფლიქტის ზონის სიღრმეში შეღწევის საშუალება არ ეძლევა, მხარეთა დაპირისპირების ხაზის გასწვრივ სიტუაცია დაძაბული რჩება. პირველ რიგში, საჭიროა რუსეთის დარწმუნება ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიასთან მემორანდუმზე ხელისმონერის მიზანშეწონილობაში, როგორც კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის გზაზე პირველ ნაბიჯში. შემდგომში, აუცილებელია ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიის მანდატის კონფლიქტის ზონების ტერიტორიაზე ფაქტიური გავრცელების მიღწევა.

*რეკომენდაციები საერთაშორისო მშვიდობისმყოფელ ორგანიზაციებს*

##### **1. მხარეების კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზების ძიების მიმართულებით წახალისება, ნდობის აღდგენისათვის ერთობლივი პროექტების მხარდაჭერის გაგრძელების ჩათვლით**

წლების მანძილზე დაპირისპირებამ ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის გაუცხოება სულ უფრო იზრდებოდა. ეს, ნაწილობრივ, იმ ერთობლივი პროექტების შეზღუდული რაოდენობისა და მასშტაბების შედეგს წარმოადგენს, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო მშვიდობისმყოფელი ორგანიზაციების მიერ ფინანსდებოდა. აუცილებელია უფრო მეტი რესურსის მიმართვა ამგვარი პროექტების დასაფინანსებლად, რათა ამ პროცესში ქართული და აფხაზური საზოგადოებების რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი ჩაერთოს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი ახალგაზრდობის ჩართვაზე გაკეთდეს.

##### **2. ქართული და რუსული საზოგადოებების წარმომადგენლებს შორის დიალოგის გაფართოების ხელშეწყობა**

რუსეთსა და საქრთველოს შორის შეწყვეტილი ოფიციალური ურთიერთობების ფონზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დიალოგის გამართვის საქმეში ხელშეწყობა ორი ქვეყნის შემოქმედებითი ინტილიგენციის წარმომადგენლებს, აკადემიურ წრეებსა და ექსპერტებს შორის. ცალკეულ უკვე ჩატარებულ ერთჯერად შეხვედრებს თუმცა აქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ აშკარად არასაკმარისია პრობლემის მთელი სიმძაფრის გათვალისწინებით. საჭიროა ხელი შეეწყოს დიალოგის მდგრადი მექანიზმების შექმნასა და მათ ინსტიტუციონალიზაციას.

##### **3. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების პროფესიონალიზმის დონისა და უნარჩვევების ამაღლების ხელშეწყობა ნდობის აღდგენის პროცესში უფრო ეფექტიანი მონაწილეობის მიზნით**

2008 წლის აგვისტოში მომხდარმა მოვლენებმა ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგის აუცილებლობა მთელი სიმძაფრით წარმოაჩინა. ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ცუდი კომუნიკაციის ერთ-ერთ მიზეზს ამ უკანასკნელის პროფესიონალური პოლიტიკური ანალიზის, ქმედითი რეკომენდაციების შემუშავებისა და ადვოკატირების, ანუ საკუთარი მოსაზრებების გადამწყვეტილების მიმღებ პირებამდე მიტანის უნარ-ჩვევების უქონლობა წარმოადგენს. საჭიროა სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავება საჯარო პოლიტიკის შესაძლებლობებისა და კვლევის პოტენციალის განსავითარებლად.

თავი I

1. Газета “Свободная Грузия”, № 112, 5 сентября, 1992.
2. Ведомости Парламента Грузии, 1993, № 9, стр. 223-227.
3. Газета “Свободная Грузия”, № 53, 6 апреля, 1994.
4. Газета “Свободная Грузия”, № 52, 5 апреля, 1994.
5. Газета “Свободная Грузия”, № 57, 12 апреля, 1994.
6. Газета “Свободная Грузия”, № 62, 19 апреля, 1994.
7. Газета “Свободная Грузия”, № 77, 12 мая, 1994.
8. Газета “Свободная Грузия”, № 79, 17 мая, 1994.
9. Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых за период 1992 по 1999 г., Тб., 1999, С. 34-35,
10. Дипломатический вестник РФ, 1991, с. 33.
11. Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г.. Составитель Г. Уридия, Тб., 1999, С. 40-42
12. Газета “Свободная Грузия”, № 142, 7 сентября, 1994.
13. Газета «Свободная Грузия», №182, 17 декабря, 1994.
14. Журнал “Дипломатический Вестник”, 1995, № 6, С. 46-47.
15. Архив офиса специального представителя Генерального Секретаря ООН в Грузии.
16. Газета “Абхазия”, № 2, 17 августа, 1994.
17. Журнал “Дипломатический Вестник”, 1995, № 6, стр. 46-47.
18. Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, С. 58
19. Собрание Законодательства РФ М., 1995, № 36, стр. 6650-6651.
20. Ведомости Федерального Собрания РФ, М., 1995, № 22, стр. 1818-1819.
21. Газета “Свободная Грузия”, № 8, 29 января, 1996.
22. Газета “Свободная Грузия”, № 130, 18 сентября, 1996.
23. Газета “Свободная Грузия”, № 155, 18 ноября, 1996.
24. Газета Газета “Свободная Грузия”, № 164, 7 декабря, 1996.
25. Ведомости Парламента. Еженедельный журнал Парламента Грузии, 1997, № 31-32, С. 20.
26. Газета “Российская Газета”, № 220, 14 ноября, 1997, С. 13.
27. Газета “Свободная Грузия”, № 215, 20 ноября, 1997.
28. Абхазский вопрос в официальных документах. Законодательная, исполнительная власть Грузии, международные организации, 1989-1999 г.г., часть II, 1989-1995 г. г., Тб., 2000, С. 183-185, 252, 258-59.
29. Абхазский вопрос в официальных документах., часть II., С. 190-191.
30. Газета “Свободная Грузия “ № 119, 2 мая, 1998.
31. Абхазский вопрос в официальных документах, часть II., С. 206-208.
32. Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, С. 107.
33. Газета “Свободная Грузия”, № 186, 24 июля, 1998.
34. Абхазский вопрос в официальных документах, часть II, стр. 252-254.
35. Абхазский вопрос в официальных документах, часть II, 252, 258-59.
36. Абхазский вопрос в официальных документах, часть II, стр. 258.
37. Журнал, “Аккорд”, М., 2000, выпуск 7, С. 94-96.
38. Абхазский вопрос в официальных документах, часть II., стр. 271-272.
39. Абхазский вопрос в официальных документах, часть II., стр. 273-275.
40. Абхазский вопрос в официальных документах, часть II., С. 279-280.
41. Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, С. 131-133.
42. Архив офиса Специального Представителя Генерального Секретаря ООН в Грузии.
43. Архив Аппарата Министра по Чрезвычайным Делах Грузии.
44. Газета “Республика Абхазия”, № 14, 9-10 февраля, 2000.
45. Архив Министерства Иностранных Дел Грузии.
46. Вопрос Абхазии в официальных документах, Тб., 2004, т.4, с. 150-152.
47. Газета “Свободная Грузия”, № 197, 4 августа, 1998.
48. Газета “Свободная Грузия”, № 22, 4 февраля, 1999.
49. Архив Аппарата Государственного Министра Грузии по урегулированию конфликтов.
50. Архив Парламента Грузии.
51. Абхазский вопрос в официальных документах, часть III, стр. 270-271.
52. Собрание законодательства Российской Федерации, № 22, 2002, стр. 5481 – 5496.
53. Собрание законодательства Российской Федерации, № 22, 2002, стр. 5481 – 5496.
54. Некоторые документы, касающиеся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятые за период 1993-2003 гг.
55. Абхазский вопрос в официальных документах, часть III., С. 226-227.

56. Абхазский вопрос в официальных документах, часть III., С. 54-55.
57. Газета «Свободная Грузия», № 60, 12 марта 2003 г.
58. Абхазский вопрос в официальных документах, часть III., С. 347-349
59. Архив Парламента Грузии.
60. Абхазский вопрос в официальных документах, часть III., стр. 411.
61. Газета «Республика Абхазия», № 53, 17-18 мая 2005 г.
62. Газета «Свободная Грузия», № 8, 29 января, 1996.
63. Газета «Ахали Таоба» №357, 26.12.08.
64. Архивные материалы Абхазско-Грузинской Координационной Комиссии.
65. Аспекты Грузино-Абхазского конфликта, т.8, С.7.
66. Протоколы Координационного Совета грузинской и абхазской сторон.

## მედი II

1. ICG: 'Abkhazia: Ways Forward', Crisis Group Europe Report No. 179, 18 February, 2007, p. 10
2. *Civil Georgia*, 23 августа 2007г., ([www.civil.ge/rus/article.php?id=14119](http://www.civil.ge/rus/article.php?id=14119))
3. Меморандум парламентских фракций и политических партий о вступлении Грузии в НАТО, ([www.parliament.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=98&info\\_id=15215](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=98&info_id=15215))
4. IRI, USAID, Baltic Surveys / The Gallup Organization, IPM – 'Georgian National Voters Study', September 2007
5. *Civil Georgia*, 26 января 2007г., см. [www.civil.ge/rus/article.php?id=12887](http://www.civil.ge/rus/article.php?id=12887)
6. *Civil Georgia*, 6 февраля 2007г., см. [www.civil.ge/rus/article.php?id=12952](http://www.civil.ge/rus/article.php?id=12952)
7. S.Cornell, D.Smith, F.Starr, 'The August 6 Bombing Incident in Georgia: Implications for the Euro-Atlantic Region', Central Asia – Caucasus Institute, Silk Road Studies Program, Silk Road Paper, October 2007
8. Обзор внешней политики Российской Федерации, МИД, 27 марта 2007г., ([www.in.mid.ru/brp\\_4.nsf/sps/3647DA97748A106BC32572AB002AC4DD](http://www.in.mid.ru/brp_4.nsf/sps/3647DA97748A106BC32572AB002AC4DD))
9. P. Felgenhauer, 'A Potemkin Democracy, a Potemkin Free Market, and a Potemkin Arms Race', Eurasia Daily Monitor, Volume 4, Issue 32, 14 February 2007
10. *Civil Georgia*, 3 апреля 2008г., <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16100&search=>)
11. *Civil Georgia*, 1 апреля 2008г., <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16084&search=>)
12. *Civil Georgia*, 9 и 11 апреля 2008г., <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16147&search=>) и <http://www.civil.ge/rus/article.php?id=16160&search=>) Inosmi.ru, <http://www.inosmi.ru/translation/246184.html>)

## მედი III

1. Б. Коппитерс, М.Эмерсон, М.Хейссен, Т.Ковзиридзе, Г.Нутчева, Н.Точчи, М.Валь. Европеизация и разрешение конфликтов: конкретные исследования европейской периферии», «Весь Мир», Москва, 2005.
2. Andrew Borowiec: "Cyprus: A Troubled Island"; Praeger Publishers, Westport, 2000.
3. Ana-Maria Olteanu: "The European Union and the Local Freeze: the Cyprus Conflict" (<http://www.inclusionexclusion.nl/site/?download=cyprus%20dubrovnik%20ana%20maria%20olteanu.pdf>)
4. ICG: Reunifying Cyprus: The Best Chance Yet, Europe Report N°194, 23 June 2008.
5. ICG: Cyprus: Reversing the Drift to Partition, Europe Report N°190, 10 January 2008.
6. ICG: The Cyprus Stalemate: What Next?, Europe Report N°171, 8 March 2006.
7. Том де Ваал: «Черный сад; Армения и Азербайджан между войной и миром»; изд-во «Текст», Москва, 2005 г.
8. Ариф Юнусов: «Азербайджан в начале XXI века: конфликты и потенциальные угрозы»; изд-во «Адилъоглы», Баку, 2007.
9. Левон Тер-Петросян: «Война или мир? Время призадуматься»; газета «Республика Армения», ноябрь 1997 г.
10. «Карабах обсуждается»; SHR, Conciliation Resources; Баку, 2006.
11. Оксана Антоненко. Саморегулируемая линия прекращения огня». В сборнике «Пределы возможностей лидеров элиты и общества в нагорно-карабахском мирном процессе». ACCORD, Conciliation Resources, 2005
12. ICG: «Нагорный Карабах: рискуя войной», Доклад N°187, Европа, 14 ноября 2007 года.



- პოლიტიკური ასპექტი
- ეკონომიკური ასპექტი
- სამხედრო ასპექტი
- სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი

**რაში მდგომარეობს აშშ-ს დანაკარგი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად?**

- პოლიტიკური ასპექტი
- ეკონომიკური ასპექტი
- სამხედრო ასპექტი
- სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი

**რაში მდგომარეობს დასავლეთ ევროპის დანაკარგი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად?**

- პოლიტიკური ასპექტი
- ეკონომიკური ასპექტი
- სამხედრო ასპექტი
- სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი

**რაში მდგომარეობს დასავლეთ ევროპის სარგებელი 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად?**

- პოლიტიკური ასპექტი
- ეკონომიკური ასპექტი
- სამხედრო ასპექტი
- სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი



**თვისებრივი კვლევის კითხვარი**

1. “სარკოზი-მედვედევის” ნ-პუნქტიანი გეგმის განსახორციელებლად მიმდინარეობს საერთაშორისო მოლაპარაკება (“ჟენევის პროცესი”), რომლის ფარგლებშიც განიხილება კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიების შექმნის საკითხები. ამ პროცესის წარმატებისათვის რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა?
2. ვინ უნდა იყოს შეთანხმების მხარეები?
3. რა კონკრეტული დადებითი და უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მოცემული შეთანხმების ხელმოწერას?
4. რა კონკრეტული დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს დღევანდელ სტატუს კვოს მსგავსი ხელშეკრულების არარსებობის პირობებში?
5. აუცილებელი არის თუ არა “ჟენევის პროცესის” ფარგლებში რეალური მოლაპარაკებების დაწყებისთვის ხსენებული შეთანხმების შეძლებისდაგვარად სწრაფად ხელმოწერა?
6. თუკი მიიჩნევთ, რომ შეთანხმების ხელმოწერა საჩქარო არ არის, მაშ რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას “ჟენევის პროცესის” ფარგლებში რეალური მოლაპარაკებების დასაწყებად?
7. არის თუ არა მიზანშეწონილი შეთანხმების ხელმოწერა ყოველგვარი დამატებითი პირობის გარეშე?
  - 7.1 თუკი, თქვენი აზრით, დამატებითი პირობების დათქმის გარეშე მოცემულ შეთანხმებას ხელი არ უნდა მოეწეროს, მაშინ ჩამოთვალეთ ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში მიზანშეწონილად ჩათვლიდით შეთანხმების ხელმოწერას.
  - 7.2 რა წესით უნდა მოეწეროს ხელი შეთანხმებას, ანუ ხომ არ თვლით საჭიროდ, რომ ჯერ შეთანხმებას წინ უნდა უსწრებდეს ხსენებული პირობების განმსაზღვრელი დოკუმენტი და მერე მოეწეროს ხელი შეთანხმებას, თუ შესაძლებელია ამ ყველაფრის პარალელურ რეჟიმში, ერთიან პაკეტად ხელმოწერა?
8. რა პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ-ეკონომიკური პირობები უნდა შეიქმნას მოცემული შეთანხმების შესრულების უზრუნველსაყოფად (მაგ. კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია, “ჟენევის პროცესის” ფარგლებში რეალური მოლაპარაკებები, ევროკავშირის როლის გაძლიერება და სხვ.)?
9. რა ხასიათის გარანტიებია (პოლიტიკური, უსაფრთხოების კუთხით და ა.შ.) საჭირო შეთანხმების შესრულებისთვის და ვის შეუძლია გახდეს გარანტორი?
10. ვის და რა ვითარებაში შეუძლია შეთანხმების დარღვევა?
11. რა სახის პოლიტიკური, სამხედრო თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შედეგები შეიძლება მოყვეს შეთანხმების დარღვევას აფხაზეთში მხარის მიერ?
12. რა სახის პოლიტიკური, სამხედრო თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შედეგები შეიძლება მოყვეს შეთანხმების დარღვევას ქართული მხარის მიერ?
13. რა სახის პოლიტიკური, სამხედრო თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შედეგები შეიძლება მოყვეს რუსეთის მხრიდან შეთანხმების დარღვევას?
14. რა სახის პოლიტიკური, სამხედრო თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შედეგები შეიძლება მოყვეს დასავლელი გარანტორების მხრიდან შეთანხმების დარღვევას?


**რაოდენობრივი კვლევის კითხვარი**

წინამდებარე გამოკითხვის მიზანია აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების მიმართ დამოკიდებულების შესწავლა. გვინტერესებს თქვენი აზრი და არა ვინაობა, ამიტომაც გამოკითხვა ანონიმურია. წინასწარ გიხდით მადლობას დახმარებისათვის.


1. რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების დადება? (აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
  - 1.1. ძალიან მნიშვნელოვანია
  - 1.2. მნიშვნელოვანია
  - 1.3. საჭირო არ არის (გადადით მე-3 კითხვაზე)
  - 1.4. ამის გაკეთება დაუშვებელია (გადადით მე-3 კითხვაზე)
  - 1.5. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 1.6. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
  
2. ვინ უნდა იყოს ამ შეთანხმების მხარე (მხარეები)? (აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
  - 2.1. უშუალოდ საქართველო და აბხაზეთი
  - 2.2. საქართველო-აბხაზეთი და დასავლეთი (ევროკავშირი, აშშ), როგორც გარანტი
  - 2.3. საქართველო-აბხაზეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო), როგორც გარანტი
  - 2.4. საქართველო-აბხაზეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც გარანტი
  - 2.5. საქართველო-რუსეთი და დასავლეთი (ევროკავშირი, აშშ), როგორც გარანტი
  - 2.6. საქართველო-რუსეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო), როგორც გარანტი
  - 2.7. საქართველო-რუსეთი და დასავლეთი, საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორც გარანტი
  - 2.8. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 2.9. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
  
3. სარკობი-მედევედვის 6-პუნქტიანი გეგმის განსახორციელებლად მიმდინარეობს საერთაშორისო მოლაპარაკება ("ყენევის პროცესი"), რომლის ფარგლებშიც განიხილება კონფლიქტის ზონებში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტიების შექმნის საკითხები. ამ პროცესის წარმატებისათვის რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა განუახლებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა? (აირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი)
  - 3.1. ძალიან მნიშვნელოვანია
  - 3.2. მნიშვნელოვანია
  - 3.3. არაფერს შეცვლის
  - 3.4. პირიქით, გაუარესებს საქართველოს პოზიციას
  - 3.5. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 3.6. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
  
4. საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა? (მხოლოდ ერთი პასუხი)
  - 4.1. დიახ, ეს ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ იყო გასაკეთებელი
  - 4.2. უკვე დავაგვიანეთ, თუმცა მაინც კარგი იქნება
  - 4.3. უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს უფრო კაპიტულაციის ტოლფასი იქნება
  - 4.4. უკვე დავაგვიანეთ, ამიტომ ეს ვერაფერს შეცვლის
  - 4.5. დიახ, ეს შეუწყობს ხელს "ყენევის პროცესის" ფარგლებში რეალური სამშვიდობო მოლაპარაკების წარმართავს
  - 4.6. არა, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ "ყენევის პროცესის" ერთ-ერთი შედეგი
  - 4.7. ეს არაფერს შეცვლის
  - 4.8. სასწრაფოდ ხელმოწერა მხოლოდ გაუარესებს საქართველოს პოზიციას
  - 4.9. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 4.10. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
  
5. ასეთი შეთანხმების ხელმოწერის შემთხვევაში მოსალოდნელია: (ერთი ან რამდენიმე პასუხი)
  - 5.1. რუსეთისგან მომდინარე აგრესიის საფრთხის განეიტრალება
  - 5.2. კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია
  - 5.3. კონფლიქტის ზონაში დევნილების დაბრუნება
  - 5.4. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიებზე აღმშენებლობის პროცესის ხელშეწყობა
  - 5.5. აფხაზური საზოგადოების ნდობის აღდგენა და, შესაბამისად, დიალოგის აღდგენა
  - 5.6. აფხაზეთის დამოუკიდებლობის ფაქტობრივი აღიარება ჩვენი მხრიდან
  - 5.7. აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვა
  - 5.8. მიჭირს პასუხის გაცემა

- 5.9. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
6. ასეთი შეთანხმების არარსებობის პირობებში მოსალოდნელია: (ერთი ან რამდენიმე პასუხი)
- 6.1. კონფლიქტური ზონის ადმინისტრაციულ საზღვართან ვითარების მუდმივი დესტაბილიზაცია
  - 6.2. უნდობლობა აფხაზური საზოგადოების მხრიდან, რაც შეუძლებელს ხდის დიალოგის წარმართვას
  - 6.3. საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობის არსებით დაქვეითებას და, შესაბამისად, მის დანარჩენ ტერიტორიაზე მდგომარეობის გაუარესებას
  - 6.4. საქართველოს, როგორც არასანდო პარტნიორის, იმიჯის შექმნას მსოფლიოში
  - 6.5. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 6.6. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
7. მიზანშეწონილია თუ არა ასეთი შეთანხმების უპირობო ხელმოწერა? (მხოლოდ ერთი პასუხი)
- 7.1. დიახ, ეს შეთანხმება უნდა გახდეს საფუძველი შემდგომი სამშვიდობო პროცესისა, ხოლო პირობების ჩადებისას მისი ხელმოწერა გაურკვეველი დროით გაჭიანურდება (გადადით მე-9 კითხვაზე)
  - 7.2. არა, აუცილებელია გარკვეული წინაპირობების გათვალისწინება
  - 7.3. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 7.4. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
8. ამ შეთანხმებას წინ უნდა უძღოდეს შემდეგი წინაპირობები: (ერთი ან რამდენიმე პასუხი)
- 8.1. 6 აგვისტოსათვის არსებული სტატუს-კვოს აღდგენა
  - 8.2. კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია
  - 8.3. კონფლიქტის ზონებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანის შესახებ შეთანხმება
  - 8.4. კონფლიქტის ზონებში საერთაშორისო სამშვიდობო (ან საპოლიციო) ოპერაციის განხორციელების შესახებ შეთანხმება
  - 8.5. დევნილთა უპირობო დაბრუნების შესახებ შეთანხმება
  - 8.6. დევნილთა ქონების რესტიტუცია
  - 8.7. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 8.8. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
9. ამ შეთანხმებას შესასრულებლად აუცილებელია: (ერთი ან რამდენიმე პასუხი)
- 9.1. მკაფიოდ, ცალსახად ჩამოყალიბება, რათა გამოირიცხოს ინტერპრეტაციის შესაძლებლობა
  - 9.2. ნეიტრალური მხარის (დასავლეთის, საერთაშორისო ორგანიზაციების) ჩართვა, როგორც გარანტისა
  - 9.3. რუსეთის საოკუპაციო ჯარის ჩანაცვლება საერთაშორისო სამშვიდობო (ან საპოლიციო) ძალებით
  - 9.4. აფხაზურ მხარესთან რეალური დიალოგის დაწყება
  - 9.5. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კონფლიქტის ზონების გასწვრივ ორმხრივად სასარგებლო ტრანსსასაზღვრო პროექტების (სავაჭრო-ეკონომიკური, ჰუმანიტარული და სხვ.) მხარდაჭერა
  - 9.6. ევროკავშირის ჩართულობის გაზრდა
  - 9.7. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 9.8. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
10. ამ შეთანხმებას დარღვევა მოსალოდნელია: (ერთი ან რამდენიმე პასუხი)
- 10.1. რუსეთის მხრიდან
  - 10.2. საქართველოს მხრიდან
  - 10.3. აფხაზეთის მხრიდან
  - 10.4. საერთაშორისო გარანტი ვერ/არ უზრუნველყოფს შეთანხმების თავის ვალდებულებათა შესრულებას
  - 10.5. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 10.6. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_
11. ამ შეთანხმებას დარღვევას მოჰყვება: (ერთი ან რამდენიმე პასუხი)
- 11.1. ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები რუსეთთან
  - 11.2. საქართველოს ტერიტორიის შემდგომი დაქუცმაცება
  - 11.3. რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის დაბრუნება
  - 11.4. რუსეთის მიერ საქართველოს სრული ოკუპაცია
  - 11.5. საქართველოში პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია
  - 11.6. ეკონომიკის სრული კოლაფსი
  - 11.7. საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ დაკარგვა
  - 11.8. საქართველოს ტერიტორიის გადაქცევა სამხედრო მოქმედებათა პოლიგონად (ავღანეთის მსგავსად)
  - 11.9. მიჭირს პასუხის გაცემა
  - 11.10. სხვა (ჩანერეთ) \_\_\_\_\_


რადიკალიზაციის კვლევის შედეგები  
 ცნობები რესპონდენტთა შესახებ




ნახ. 1



ნახ. 2




ნახ. 3




ნახ. 4

რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება?  
 (შერჩევა მთლიანად)



ნახ. 5


რამდენად მნიშვნელოვანია შეთანხმების დადება?  
 (შედეგები მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 6

**რამდენად მნიშვნელოვანია შუთანხმების დადება?**


(შედეგები გენდერული ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 7

**რამდენად მნიშვნელოვანია შუთანხმების დადება?**


(შედეგები ასაკობრივი ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 8

**რამდენად მნიშვნელოვანია შუთანხმების დადება?**


(შედეგები განათლების ცენხით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 9


**რამდენად მნიშვნელოვანია შუთანხმების დადება?**

(შედეგები საქმიანობის სფეროს მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)




ნახ. 10

**შეთანხმების მხარეები**  
(შერჩევა მთლიანად)




ნახ. 11

**შეთანხმების მხარეები**  
(შედეგები მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 12


**შეთანხმების მხარეები**  
(შედეგები გენდერული ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 13

### შთანხმების მხარეები


(შედგები ასაკობრივი ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 14

### შთანხმების მხარეები


(შედგები ასაკობრივი ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)



ნახ. 15


### შთანხმების მხარეები

(შედგები საქმიანობის სფეროს მიხედვით გამოყოფილი ჯგუფების მიხედვით)




ნახ. 16

**საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**




ნახ. 17

**საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**



ნახ. 18


**საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**



ნახ. 19




**საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**




ნახ. 20

**საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**




ნახ. 21

**საჭიროა თუ არა ამ შეთანხმების სასწრაფოდ ხელმოწერა?**




ნახ. 22

**შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები**




ნახ. 23

**შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები**




ნახ. 24

**შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები**




ნახ. 25

შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები




ნახ. 26

შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები




ნახ. 27

შეთანხმების ხელმოწერის მოსალოდნელი შედეგები




ნახ. 28

შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები




ნახ. 29

შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები




ნახ. 30

შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები




ნახ. 31

შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები




ნახ. 32

შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები



ნახ. 33


შეთანხმების ხელმოწერაზე უარის თქმის მოსალოდნელი შედეგები



ნახ. 34


**მიზანშეწონილია თუ არა შეთანხმების უპირობო ხელმოწერა?**

- დიახ, ეს შეთანხმება უნდა გახდეს საფუძველი შემდგომი სამშვიდობო პროცესისა, ხოლო პირობების ჩადებისას მისი ხელმოწერა გაურკვეველი დროით გაჭიანურდება
- არა, აუცილებელია გარკვეული წინაპირობების გათვალისწინება
- მიჭირს პასუხის გაცემა




ნახ. 35

**შეთანხმების ხელმოწერის წინაპირობები**




ნახ. 36

**შეთანხმებას შესასრულებლად აუცილებელია**




ნახ. 37

**შეთანხმებას დარღვევა მოსალოდნელია**



ნახ. 38

### შეთანხმებას დარღვევას მოჰყვება



ნახ. 39